

37444
2

30768030

8

უცხოური წყაროები საქართველოს შესახებ

წიგნი XXII

ბეორკიკა ტ. VIII

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

Комиссия по публикации иностранных
источников о Грузии

Институт
Востоковедения

FONTES PEREGRINI AD GEORGIAM PERTINENTES

ГЕОРГИКА

СВЕДЕНИЯ ВИЗАНТИЙСКИХ ПИСАТЕЛЕЙ О ГРУЗИИ

ТОМ VIII

Греческие тексты с грузинским переводом издал и примечаниями снабдил
С. Г. Каухчишвили

GEORGICA

SCRIPTORUM BYZANTINORUM EXCERPTA AD GEORGIAM PERTINENTIA

TOMUS VIII

Textum graecum cum versione iberica edidit commentariisque instruxit
Sim. Kauchtschischwili

ИЗДАТЕЛЬСТВО „МЕЦНИЕРЕБА“
ТБИЛИСИ — 1970

SUMPTIBUS „MEÇNIEREBA“
TBILISIIS, MCMLXX

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

საქართველოს შესახებ არსებული
უცხოური წყაროების კომისია

აღმოსავლეთმცოდნეობის
ინსტიტუტი

ი.ნ. ყობახიძის წყაროები

გეოგრაფია

გიზანვილი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ

~~8-K~~ 37444
2

ტომი მერვე

ტექსტები ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო
სიმონ ყაუხჩიშვილმა

გამომცემლობა „მეცნიერება“
თბილისი—1970



9(აი)(001) + 902(495-02)

მთავარი რედაქცია: **ი. აბულაძე**, **ვლ. ფუტუჩიძე**, ს. ყაუხჩიშვილი
ბ. წმინთელი (მთ. რედაქტორი), ს. ჯიქია

ბერძნულ-რომაული წყაროების
სერიის რედაქტორი
ს ი მ. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი

შინაარსი

VIII ტომისა

წინასიტყვაობა	VII
ეგსტათი თესლონიკელი	1
ქალაქი ადა 1. — სიტყვა <i>μᾶλιν</i> 4. — იასონი 10. — აისონი და იასონი 11. — არგონავტები 11. — მედეა 11. — აქილევსი და კ. სკიროსი 12. — იბერიის ქალაქი „ოდისეია“ 13. — იბერები ბიზანტიის ჯარში 14. — იბერული ქუდი ხურავს წარჩინებულ ბიზანტიელს 15. — ლაზური თავსაბურავი 16.	
თეოდორე ბალსამონი	17
იბერიის ეკლესიის ავტოკეფალია 17.	
ღუკა	21
თურქთა თარეში. სკვიტები და აბაზგები 25. — თემურხანმა შეკრიბა ჯიქები და აბაზგები 26. — ლაზების მეზობელი ყარაიულუკი 27. — უზუნ-ჰასანი კოლხეთში 29. — ლაშქრობა სინოპში, არმენიაში, კავკასიაში, ფაზისზე 29. — ლაშქრობა ელახეთში 33.	
გიორგი სფრანძესი	36
შესავალი 38. — სფრანძესის ტექსტის ახალი გამოცემა 44. — გიორგი სფრანძესის ელჩობა იბერიაში და ტრაპიზონში 49. — ბიზანტიის კეისარის მოციქული იბერიაში 63. — გიორგი სფრანძესის ელჩობა იბერიაში და ტრაპიზონში 74.	
ლაონიკე ხალკოკონდილე	89
ცნობები იბერიის ისტორიიდან 91. — ტრაპიზონის მეფის ძმა დავითი 93. — სკვიტები და პელაზგები 100. — სკვიტები, ჩერქეზები და მეგრელები 102. — იბერიის სპილენძი 106. — კოლხეთი—ტრაპიზონის სამეფო 106. — თემურლენგი იბერიაში 108. — კოლხეთი—ტრაპიზონის სამეფო 100. — კავკასია 118. — არაბეთი და მისი საზღვრები 118.	
მათე ბლასტარესი	119
იბერთა ეკლესია 119.	

ათონის ივერთა მონასტრის აქტები (ხრისობულები, სიგელ-გუჯრები, პრაქტიკონები) X—XIV საუკუნეებისა	122
დამატება: ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონი	271
საძიებლები	311
საკუთარ სახელთა საძიებელი 311. — ტერმინებისა და საგანთა საძიებელი 340.	

წინასიტყვაობა

„გეორგიკის“ VIII ტომში მოთავსებულია, ისევე როგორც VII ტომში, XII—XV საუკუნეთა მასალები. ამ მასალებს შორის ჩვენს განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გიორგი სფრანძესის „ისტორიაში“ არსებული ცნობები საქართველოს და ბიზანტიის ურთიერთობათა შესახებ. იშვიათ შემთხვევად ჩანს, რომ წარჩინებული ბიზანტიელი მოხელე (გიორგი სფრანძესი), რომელიც ამავე დროს ბრწყინვალე მწერალი იყო. იგზავნება საქართველოში (როგორც ძირითად „დიდ“ საქართველოში, ისე ტრაპიზონის იმპერიაში) სერიოზული პოლიტიკური დავალებებით.

* * *

ამავე ტომში მოვითავსეთ X—XIV საუკუნეთა აქტები „ათონის ივერთა მონასტრისა“ (ხრისობულები, სიველ-გუჯრები, პრაქტიკონები). ქვემოთ, თავის ალაგას, მკითხველი გაეცნობა ამ აქტების მოპოვების ისტორიას და დარწმუნდება ამ აქტების მნიშვნელობაში, როგორც საქართველოს ისტორიისათვის, ისე ბიზანტიის რიგი სამიწათმფლობელო საკითხების გარკვევისათვის. აქ ვათავსებთ ჩვენ მხოლოდ ამ აქტების ერთ ნაწილს როგორც ნიმუშს. განზრახული გვაქვს ცალკე ტომად გამოვაქვეყნოთ ეს მასალები, შეძლებისდაგვარად სრულად.

* * *

მსგავსად VII ტომისა, ეს VIII ტომიც შეიცავს დამატების სახით „ბიზანტიურ-ქართული დოკუმენტირებული ლექსიკონის“ გაგრძელებას.

სიჩ. ყაუხჩიშვილი

ევსტათი თესალონიკელი

ევსტათი 1175 წელს იყო თესალონიკის მიტროპოლიტი. გარდაიცვალა 1194 წელს. მისი სამწერლო მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო:

1) მან დასწერა კომენტარები ანტიკური ბერძნული ნაწარმოებების შესახებ: პირველ რიგში ცნობილია მისი კომენტარები „ილიადისა“ და „ოდისეისათვის“.

2) მას ეკუთვნის რიგი თეოლოგიური ტრაქტატისა, წერილები, სიტყვები.

3) მას ეკუთვნის ერთი ისტორიული შრომა: ქალაქ თესალონიკის ნორმანების მიერ 1185 წელს დაპყრობის ისტორია

და ზოგიერთი სხვა თხზულებაც (მაგ., დიონისე პერიეგეტის პოემის სქოლიოები...).

სხვა საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ შევისწავლეთ ევსტათის კომენტარები „ილიადისა“ და „ოდისეისათვის“. ჩვენი ყურადღება მიიქცია ზოგიერთმა მათგანმა. აი, მაგალითად:

ქალაქი აჰა

Τὸ δὲ ἦς γαίης, ἦς πατρὶ-
δος εἶπεν ἡποκατιῶν¹. Κίρκη δὲ
γὺν μὲν ὑσγῆμας ἀρριον ὄνομα,
ἐξ ἧς πους καὶ Κίρκαιον πεδῖον.
"Ὅτι δὲ καὶ ὄρυσθις ὄνομα ἦ
κίρκη² δῆλοσιν οἱ παλαιοί. Ὡς
καὶ ὁ Ἀλκιανός. Ἄλλο δὲ τι ἦ
τοιᾶντη παρὰ τὸν κίρκον.

ამით ამბობს პოეტი: თავის ქვეყანაში, თავის სამშობლოში შეუმჩნევლად მივიდეს. ხოლო კირკე, ჩვეულებრივ, საკუთარი სახელია, საიდანაც არის „კირკეს დაბლობი“. მფრინვლის სახელიც არის „კირკე“, მოწმობენ ძველები. ამათ შორის აგრეთვე ელიანე. ხოლო ეს (ე. ი. კირკე) სხვა არის ვიდრე „კირკოს“.

¹ ეს, ალბათ, ეხება ჰომეროსის სიტყვებს (Od. 5,26): ἦν πατρὶδα γαῖαν ἰκη-
ται „თავის მშობლიურ ქვეყანაში მივიდეს“.

² Κίρκη „ein Vogel: Ael. H. A. 4,5 u. 59“ (Pape), ხოლო κίρκος „ძერა“ (თუ „შვეარდენი“).

Τὸ δὲ Αἰαίη, ἀντὶ τοῦ Κολ-
χικῆ κατὰ ἐπωσυμίαν τοπικῆν.
Αἶα γὰρ πόλις Κολχίδος παρὰ
τε ἄλλοις καὶ παρὰ Λυκόφρονι.
Ἦς ὁ πολίτης Αἰαῖος. Καὶ ἡ
πολίτις Αἰαία. Καὶ ἡ νῆσος δὲ
τῆς Κίρκης Αἰαία, διὰ τὴν τοι-
αύτην Κίρκην.

Ἄλλως γὰρ εἶπερ πρωτο-
τυπίαν ἔχει ἡ Αἰαία νῆσος διὰ
τῶν δύο αἱ, ὧφειλεν ἡ ἀπ' αὐτῆς
Κίρκη ἔχειν καὶ τρίτον αἱ, ἵνα
ἦν Αἰαία, ὅπερ οὐκ ἔστι διὰ
τε τὸ κακόφωνον καὶ διὰ τὴν
ῥηθεῖσαν ὀμωνυμίαν.

Ὁ δὲ γεωγράφος Αἶαν εἰπὼν
πόλιν περὶ τὸν Φᾶσιν λέγει καὶ
ὅτι περὶ τὴν τοιαύτην Κολχικῆν
Αἶαν καὶ Αἰαίη νῆσος ἡ τῆς
Κίρκης. Ὅτι δὲ καὶ Αἰήτης ὁ
ἦρας ἀπὸ τῆς τοιαύτης Αἶας
ἐκλήθη, δηλοῦσιν οἱ παλαιοὶ
(Eust. Conim. in Odysseam I
[1825], 1614; გვ. 321),

ამ პასაჟში განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ შემდეგ
ადგილს: Τὸ δὲ Αἰαία ἀντὶ τοῦ Κολχικῆ κατὰ ἐπωσυμίαν τοπικῆν—
„ხოლო «აეაეე» კოლხიკეს ნაცვლად ადგილობრივი სახე-
ლის მიხედვით“,

მაშასადამე, ჩვენნი ავტორი ფიქრობს, რომ *Αἰαίη* არის ნახმარი
ნაცვლად *Κολχική*-სი.

ეს გეოგრაფიული სახელი სამ ადგილას არის ნახმარი „ოდი-
სეაში“:

10,135: Αἰαίην δ' ἐς νῆσον ἀφικόμεθι' მოვედით კუნძულ
აეაეაში

11,70: νῆσον ἐς Αἰαίην στήσεις εὐεργέα νῆα კუნძულ აეაეში
დაბრუნდები კარგად გამოყვანილი ხომალდით

ხოლო „აეაეე“ კოლხი-
კეს ნაცვლად ადგილობრივი
სახელის მიხედვით. აეა ხომ
კოლხიდის ქალაქია. სხვებთანაც
და ლიკოფრონთანაც მის მოქა-
ლაქეს ჰქვია აიელი, ხოლო ქალს
ჰქვია აიადია. ხოლო კირკეს
კუნძულს „აიადია“ იმავე კირკეს
გამო.

სხვათა შორის, თუ ძირეული
სიტყვაა კუნძული „აიადია“ ორი
აი-ს გამო, მისგან „კირკეს“ უნდა
ჰქონდეს აგრეთვე მესამე აი, რა-
თა იყოს „აიადიადი“, რაც არ არის
მისი არაკეთილხმოვანების გამო
და სხენებული თანასახელის გამო.

ხოლო გეოგრაფოსი რომ ამ-
ბობს „აია“ ქალაქიანო ფასის-
თან, ამით იმას ამბობს, რომ
ამ კოლხური აიას მახლობლად
არის აგრეთვე კირკეს კუნძული
„აიადი“. გმირი აიეტეც ამავე
აიასგან იწოდება ამ სახელითო,
ამტკიცებენ ძველები.

12,3: ...ἀπὸ δ' ἔπειτα κῆμα μαλασσῆς εὐρυπόρουσιν νῆσον τ' Αἰαίην ... ფართოდ სავალი ზღვის პირას მივედით და კუნძულ ააააეზე.

აი, ამ ააააეზე ამბობს ევსტათი, რომ ის „კოლხიკეს“ ნაცვლად არის ნახმარი. ესე იგი: ევსტათი იცნობს ამ ქვეყანას Κολχική-ს სახელწოდებით, ხოლო ჰომეროსი „კოლხიკეს“ ნაცვლად ხმარობს ა.ი.ა.-სო.

ევსტათის ეს მსჯელობა, რომელსაც მე ყურადღება მივაქციე ამ ბოლო ხანებში, როდესაც „გეორგიკის“ VIII ტომში შესატან მასალად ვამზადებდი ევსტათის ნაწერებს, შესანიშნავად ადასტურებს წინათ ჰიპოთეზურად გამოთქმულ აზრს. სახელდობრ, წამოყენებული იყო ასეთი სქემა. დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ სხვადასხვა ქართველი ტომები: კოლხები, ლაზები, აბაზგები, აფსილები, ჰენიოხები, სანიგები, სანები || ჭანები და სხვები. დასავლეთ საქართველოს ჯერ, ისტორიულ ხანაში, ეწოდებოდა „კოლხეთი“ (Κολχίς, Κολχική), როდესაც ქვეყნის სათავეში, დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოს სათავეში აღმოჩნდნენ კოლხები. შემდეგ დასავლეთ საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში დაწინაურდნენ ლაზები დაახლოებით ახ. წ. I საუკუნიდან (შესაძლებელია უფრო გვიანაც) და იმ დროიდან ბერძნები დასავლეთ საქართველოს უწოდებენ ლაზეთს, Λαζική, მაგრამ მაშინაც ახსოვთ ბერძნებს, რომ ამ ქვეყანას Κολχική ეწოდებოდა და მცხოვრებლებს, ე. ი. ამ სახელმწიფოს მოქალაქეებს კოლხები. VI საუკუნის მწერალი იოანე ლიდე ამბობს: «კოლხიკე, რომელსაც ახლა ლაზიკეს ეძახიან»—Κολχική, ἦν νῦν προσαγορευοῦσαι Λαζικήν (გეორგიკა II, 242). იგივე იოანე ლიდე წერს: კოლხეთს «ამჟამად ლაზიკეს ეძახიან ჰეგემონისაგან» (ἐξ ἡγεμόνος). ცხადია, ეს მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ: „კოლხიდას“ (Κολχίδος) იმიტომ ჰქვია ამჟამად „ლაზიკე“, რომ ამ ქვეყანაში ჰეგემონობა ლაზებს მოეპოვებათ (გეორგიკა II, 236).

VII საუკუნიდან ჰეგემონობა მოიპოვეს აბაზგებმა და ამიტომ მთელ დასავლეთ საქართველოს ეწოდება „აფხაზთა სამეფო“ ან ბერძნულად Ἀβασγία, მის მმართველს Ἀβασγός და მოქალაქეებს Ἀβασγοί. ასეთ სქემას რომ ვადგენდით: Κολχική, Λαζική, Ἀβασγία, თანვე ვსვამდით საკითხს, რა ეწოდებოდა ამ ქვეყანას მანამდე, სანამ კოლხები მოიპოვებდნენ ჰეგემონობას და ამ ქვეყანას დაერქმეოდა Κολχική, Κολχίς. ამ კითხვას ვსვამდით და ამავე დროს ვიგონებდით იმას, რომ ჰომეროსმა არ იცის სახელი Κολχική, მაგ-

რამ ჰომეროსი იცნობს *Αἰήτης* (აიეტს), იცნობს მის დას *Κίρκη*-ს, აიელ დედოფალს. და აქედან ჰიპოთეზურად ვასკვნიდით, რომ მთელ ქვეყანას ერქვა *Αἶα*, მისი მეფე იყო „აიელი“ (*Αἰήτης*), მისი დედოფალიც იყო *Αἰαίη* („აიელი“).

ახლა ევსტათი თესლონიკელის სქოლიოების გაცნობა ამ ჩვენს ძველ ჰიპოთეზას ხორცს ასხამს და ამბობს: *Τὸ δὲ Αἰαίη ἀντί τοῦ Κολχική κατὰ ἐπανυμίαν τοπικήν.*

* * *

ევსტათის „კომენტარებში“ ჩვენს ყურადღებას იპყრობს მისი მსჯელობა სიტყვის შესახებ მწლს.

სიტყვა მწლს

“Ὅτι πολλὰ εἰσι ὀνόματα παρὰ τῷ ποιητῇ, τουτέστι ὄνομασι καλοῦμενα· καὶ τῶν τοιούτων ὀνομάτων τὸ μὲν ὁ ποιητῆς εἰς θεοὺς ἀναφέρει, τὸ δὲ ἀνθρώποις ἀπονέμει, δὴ γλῶν ὅτι μουσοτραφῆς ὢν οἶδε καὶ τὰ θεῖα καὶ τῆς τῶν θεῶν ἐπαίει¹ διαλέκτου. Παρασημειοῦνται δὲ οἱ παλαιοὶ ὅτι τὸ μὲν ἕλως κρείττον τῶν ὀνομάτων θεοῖς δίδωσιν ἢ ποιησὶς ἢς θεϊότερον, τὸ δὲ μὴ τοιοῦτον ἀνθρώποις· ἢς περ ἐνταῦθα τὸ Βριάρεως εὐγενέστερον τοῦ Αἰγαίου ἐστὶ καὶ σεμνότερον, ἔτι δὲ καὶ ἰγχερότερον εἰς φωνήν. Διὸ καὶ εἰς θεοὺς ἢς θεῖον τ· ἀνάγεται. უფრო ზვიადია. ამიტომ ღმერთებამდისაც აღვალს როგორც რალაც ღვთაებრივი.

ბევრ ორმაგ სახელს ვხვდებით პოეტთან, ესე იგი ორი სახელით წოდებულს. და ასეთ სახელთაგან ზოგს პოეტი ღმერთებს მიაკუთვნებს, ზოგს კიდევ ადამიანებს მიაწერს და ამით ცხადყოფს, რომ იგი მუხების მიერაა გაწვრთნილი და იცის ღვთაებრივი რამეებიც და ესმის კიდევ ღმერთების ენა. ძველებივე აღნიშნავენ, რომ სახელთაგან სრულიად ძლიერს ღმერთებს აძლევს პოეზია როგორც უფრო ღვთაებრივ, ხოლო არა ასეთს—ადამიანებს; ასე, აქ² სიტყვა „ბრიარეოს“ უფრო კეთილშობილია და უფრო სათნო, ვიდრე სიტყვა „აეგაეონ“, მოსასმენდაც ხომ

¹ ზმნისაგან *αἶω* (აქედან *ἐπ-αἶω*) „მესმის“, „ვერკვევი“.

² აქ: ივულისხმება „ილიადა“ 1,404, სადაც სწერია: „შენ ოლიმპოზე მოიხმე ასხელო ღვებ; რომელსაც ღმერთები ეძახიან *Βριάρεως*, ხოლო ადამიანები—*Αἰγαίου*.“

Οὕτω καὶ ἐν τοῖς ἔξῃς ἔχον-
 θιον μὲν τινα ποταμὸν καλοῦσι
 φεοί, ἄνδρες δὲ Σκάμανδρον· καὶ
 ἄρην τινα φεοί μὲν χαλκίδα κα-
 λήσκουσιν, ἄνδρες δὲ κρύμνδιν·
 ἐν δὲ Ὀδυσσεΐα τὸ μῶλυ φεοί
 μόνοι οὕτω καλοῦσιν, ἄνθρωποις
 δὲ οὕτε ἔγγασται οὕτε ἀνόμασ-
 ται (Eustathii Commentarii ad
 Iliadem I, Lipsiae 1828, p. 103;
 124,31).

ასევე ქვემოთ მოყვანილ სი-
 ტყვეებშიც: ერთ მდინარეს ქსან-
 თოსს უწოდებენ ღმერთები, ხო-
 ლო ადამიანები სკამანდროსს;
 ერთ ფრინველს [ძერას] ღმერ-
 თები უწოდებენ *χαλκίς*, ხოლო
 ადამიანები *κρύμνις*; „ოდისეაში“
 კი მხოლოდ ღმერთები ასე ეძა-
 ხიან *μῶλυ*-ს, ხოლო ადამიანების-
 თვის ეს არც ცნობილია და არც
 სახელი იციან *μιν*.

* *
 *

„ოდისეის“ X სიმღერაში მოთხრობილია დედოფალ კირკეს მიერ
 ოდისეესის ამხანაგების ღორებად გადაქცევის შესახებ. როგორც კი
 ოდისეესმა გაიგო ევრილოხესაგან ეს ამბავი, მაშინვე გაემართა ამხა-
 ნაგების გამოსახსნელად.

გზად შემოხვდა ჰერმესი, რომელმაც არ ურჩია კირკეს სასახლეში
 მისვლა

«გინდა რომ ისინი იხსნა? შენ თვითონაც მგონია ვეღარ
 «დაბრუნდე იქიდან საღი, იქ ღარჩები როგორც რომ სხვები!
 ἦ τοὺς λυσόμενος δεῦρ' ἔρχεαι; οὐδὲ σέ φημι

285. ἀπτόν νοστήσειν, μενέεις δὲ σὺ γ' ἔνθα περ ἄλλοι.

რახან ოდისეესმა ხელი არ აიღო თავის განზრახვაზე, ჰერმესმა
 გადაწვევითა დახმარებოდა მას. მან ურჩია, მე მოგცემ შენ წამალსო:
 როგორც კი კირკე გაგიმასპინძლოდებ და შემდეგ თავის ჯადო კვერთხს
 მოიქნევს შენს დასაღუპავად, იშიშვლე მახვილი და ეცი ვითომ მოსა-
 კლავად, შიშით მუხლები ჩაეკეცება და მოგიხმობს საწოლისაკენ. შენ
 უარი არ უთხრა, ხოლო ფიცი ჩამოართვი, რომ ცუდს არაფერს
 მოგაწევს. ასე უთხრა და გადასცა იქვე მოწვევითი ბალახი, რომ-
 ლის ბუნებაც აუხსნა: ძირი შავი ჰქონდა, ფერით რძესავით თეთრი
 იყო; მას უკვდავნი ეძახიან *μῶλυ*.

ρίζῃ μὲν μέλαν ἔσκει, γάλακτι δὲ εἴκειλον ἄνθος·

305. μῶλυ δὲ μιν καλέουσι φεοί.

«ძირში ეს ბალახი შავი, შესახელად რძესავით თეთრი,
 «ღმერთები მას არქმევენ *μῶλυ* ს.

* შტრ. Lycophr. 679.

რას ამბობს მეცნიერება ამ სიტყვის შესახებ?

1) ვეისმანის ლექსიკონი: μῶλυ, საჲ, τὸ μοли, чудодѣйственный цвѣток (πολαγαίον: allium nigrum, чеснок?) Od. 10,305.

2) Pape-ს ლექსიკონში ვკითხულობთ: μῶλυ hiess nach Homer in der Sprache der Götter ein fabelhaftes Kraut mit schwarzer Wurzel u. weisser Blüthe, mit geheimer Zauberkraft...—მერმე სწერია, რომ თეოფრასტე და დიოსკორიდე ამ სიტყვით გამოხატავენ ნიორს (Knoblauch).

სხვაგანაც რამდენჯერმე უბრუნდება ევსტათი μῶλυ-ს საკითხს და ყველგან ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს სიტყვა თუ სახელი უცნობია:

Ἄλέξανδρος δὲ ὁ Πάριος μυθολογεῖ, Πικρόλοον ἓνα τῶν Γιγάντων φυγόντα τὸν κατὰ Διὸς πόλεμον τὴν τῆς Κίρκης νῆσον καταλαβεῖν, καὶ πειρᾶσθαι ἐκβαλεῖν αὐτήν. Τὸν πατέρα δὲ Ἕλιον ὑπερασπίζοντα τῆς θυγατρὸς ἀνελεῖν αὐτὸν καὶ τοῦ αἵματος ῥύεντος εἰς γῆν φθναί βοτάνην, καὶ κληθῆναι αὐτήν μῶλυ διὰ τὸν μῶλον¹ ἦτοι πόλεμόν ἐν ᾧ ἔπεσεν ὁ ῥηθεις Γίγας. Εἶναι δὲ αὐτῷ ἄνθος ἵκελον γάλακτι διὰ τὸν ἀνελόντα λευκὸν Ἕλιον, ῥίζαν δὲ μέλαιναν διὰ τὸ τοῦ Γίγαντος μέλαν αἷμα, ἣ καὶ διὰ τὸ μὴν Κίρκην φοβηθεῖσαν ὠχρῆσαι. Οὐ λέγει δὲ ὁ ποιητῆς καὶ πῶς οἱ ἄνθρωποι καλοῦσι τὸ μῶλυ, ἐπειδὴ ἀγνωστὸν ἔστιν αὐτοῖς (Eustathii Commentarii ad Odysseam I (1825), გვ. 381).

ალექსანდრე პაფიელი მოგვითხრობს, რომ ერთი გიგანტთაგანი პიკოლოონს ზევსის წინააღმდეგ ომს რომ გაექცა, კირკეს კუნძული დაიკავა და ცდილობდა იგი (ე. ი. კირკე) იქიდან გაეგლო, მოგვითხრობს, რომ მამა ჰელიოსი გამოექმთაგა ქალიშვილს და იგი (ე. ი. გიგანტი) მოკლა და, სისხლი რომ მიწაზე დაიღვარა, აღმოცენდა ბალახი, რომელსაც ეწოდა მოლზ „მოლოსის“¹ ანუ ბროძლის გამო, რომელშიც ხსენებული გიგანტი დაეცა. მას რძის მსგავსი ყვავილი აქვს თეთრი (ე. ი. მბრწყინავი) ჰელიოსის გამო, რომელმაც მოკლა გიგანტი, ხოლო ძირი შავი გიგანტის შავი სისხლის გამო, ანუ კირკეს გამო, რომელიც შიშისაგან გაფითრდა. არ ამბობს პოეტი, თუ აღამიანები რას ეძახიან „მოლზს“, რადგან ეს მათთვის უცნობია.

¹ μῶλος ნიშნავს „ბროძლის“, „ომს“.

სტეფანუსის ლექსიკონში ვკითხულობთ (H. Stephanus, Thesaurus linguae Graecae. Vol. V, 1842—1845, Sp. 1330):

Mṓλυ, Moly [Secta, Gl.]: herba de qua Diosc. 3,54, Plin. 25,4: Laudatissima herbarum est Homero, quam vocari a diis putat Moly, et inventionem eius Mercurio assignat, contraque summa veneficia demonstrat. Nasci eam hodie circa Pheneum et in Cyllene Arcadiae tradunt, specie illa Homericaradice rotunda nigraque, magnitudine caepae, folio scillae: effodi autem difficulter [Haec ex Theophrasto H. Pl. 9,15,7] Graeci auctores florem eius luteum pinxere, quum Homerus candidum scripserit. Locus Homeri est Od. K, [305] ubi Ulysses dicit sibi contra Circes veneficia a Mercurio datum pharmacum ex terra effossum, declarata simul eius natura, subjungens:

Ῥίζη μὲν μέλαν ἔσχε, γάλακτι
 δὲ εἴκλον ἄνθος.
Mṓλυ δὲ μιν καλέουσι θεοί·
χαλεπὸν δὲ τ' ὄρυσσεν
 Ἄνδράσι γε θνητοῖσι.

[Producta secund, Lycoph. 679: Ἄλλὰ τὴν βλάβης μṓλυ σαώξει ἴζη, ubi est var. μṓλος et ἡ μṓλυσ ponitur ab schol. «V. Olympiodor. in Alcibiad. I, sect. 27, ibique annot.» Creuzer, Philostr. Her. p. 665: λόγον τε καὶ σπουδῆσ' τοῦτι γὰρ ἡγεῖσθαι προσήκει τὸ μṓλυ.

Mṓλυ, Moly: ბალახი, რომლის შესახებ იხ. Diosc. 3,54; Plin. 25,4: ბალახებს შორის ვეელაზე უფრო შექებულია ჰომეროსთან, ღმერთების მიერ—ფიქრობს ის—წოდებულია Moly და მის მოპოვებას მიაწერს მერკურის (ე. ი. ჰერმესს). დღეს ის იზრდება, როგორც გადმოვეცემენ, არკადიის ფენეის გარშემო და კვილენეში, ჰომეროსის დახასიათების მიხედვით, მრგვალი და შავი ძირი აქვს, ხახვის ოდენა, ზღვის ხახვის ფოთლით: ამოგლეჯა კი ძნელია [ეს ამოღებულია თეოფრასტედან H. Pl. 9,15,7]. ბერძენი ავტორები მის უვავილს აღწერენ როგორც ტალახიანს, იმ დროს როდესაც ჰომეროსს იგი ბრწყინავად აქვს აწერილი. ჰომეროსის აღგილია ოდისეა 10,305, სადაც ოდისევსი ამბობს, რომ მას კირკეს საწამლავის საწინააღმდეგოდ მერკურიმ მისცა წამალი, რომელიც მიწიდან ამოგლეჯა, ამასთანავე ახსნილია მისი ბუნება: «ძირში ეს ბალახი შავი, შესახედად რძესავით თეთრი, ღმერთები მას არქმევენ *μṓλυ*, მისი ამოგლეჯა ძნელია მოკვდავი კაცებისათვის» [ლიკოფრონის მიხედვით 679: მაგრამ მას, ვნებისაგან იხსნის *μṓლუს* ძირი, სადაც არის ვარიანტი *μṓλος* და ἡ *μṓლუს* არის დადებული სქოლიასტის მიერ: «იხ. ოლიმპიოდორე, ალკიბიადეს მიმართ I, სექტ. 27, იქვე შენიშვნა» — Creuzer, Philostr. Her. p. 665: „სიტყვისა და მნიშვნელობისთვის: სწორედ რომ საჭიროა ვიკული-სხმით *τὸ μṓλυ*...]

ლექსიკოგრაფები აღნიშნავენ, რომ სიტყვისაგან *μṓλυ* აწარმოეს ზმნა *μṓλυνω*. სტეფანუსი წერს იქვე, V ტომში):

Mṓλυνω sive *Mṓλώω*, a *μṓλυσ* s. *μṓლῆς*, significat Hebetō, Remissionem facio: ut Etym, quoque

Mṓλυνω ან *μṓλώω* სიტყვისაგან *μṓლუს* ან *μṓლῆς*, აღნიშნავს „ვასუსტებ“, „ვაქარწყლებ“: Etym. [Mag-

μαλύνειν expr. ἀμβλύνειν καὶ κωλύειν et μαλύνειν, πρᾶναι καὶ καταστέλλειν. Galen, quoque μαλνόμενα in Lex. Hipp. [p. 530] affert pro κατὰ βραχὺ ἀπομαραινόμενα, Paulatim emarcescentia [Schol. Hom. Od. K, 305: Μᾶλν, βοτάνης εἶδος παρὰ τὸ μαλύνειν ὃ ἐστὶν ἀφανίζειν τὰ φάρμακα. Hesychios: Μαλύεται, γηράσκει. Μεμαλυσμένη, παραιομένη]

num] წერს *μαλύνειν* იგივეა, რაც „შესუსტება“ და „დაბრკოლება“; და *μαλύνειν* ესე იგი „მოთოკვა“, „შეჩერება“. ვალენით ავრეთვე *μαλνόμενα* მოყვანილია „ჰიპოკრატეს ლექსიკონში“ (გვ. 530) ნაცვლად გამოთქმისა „თანდათან გამოშრობა“, ზოგჯერ „დამჟკნარი“ [სხოლიო ჰომეროსის „ოდისეა“ 10,305: *μᾶλν* ერთგვარი ბალახი სიტყვისაგან *μαλύνειν*, რაც ნიშნავს „საწამლავის [ძალის] გაქარწყლებას“. ჰესიხი: *μαλύεται* „ბერდება“. *Μεμαλυσμένη* „უშულებელყოფილი“]

ბევრი თანამედროვე ლექსიკოგრაფი ამ სიტყვის განმარტებისას, როგორც ჩანს, ემყარება XII საუკუნეში შედგენილ ე. წ. *Etymologium Magnum*-ს. საჭიროდ მიმაჩნია მთლიანად მოვიყვანო ამ ლექსიკონში მოტანილი განმარტება.

Μᾶλν, εἶδος βοτάνης, ὅπερ δέδωκεν Ὀδυσσεὺς τοῖς ἐταίροις αὐτοῦ, καὶ ἀπεκατέστησεν αὐτοὺς ἀνιθρόπους ἀπὸ τῆς ἀλλοιώσεως τῆς Κίρκης· παρὰ τοῦ μαλύνειν (τούτέστι πρᾶναι καὶ καταστέλλειν) τὰς φθοροποιούς ἐννοίας. Μαλύνειν δέ ἐστι τὸ ἀμβλύναι καὶ κωλύσαι ἀπὸ τοῦ μὴ ὀλύνειν, ἢ ἀπὸ τοῦ κωλύειν. Ἐχων μὲν ἐν τῇ χειρὶ μᾶλν — ἀντιφάρμακον γὰρ δέδοται (Etymologium Magnum ... opera Frederici Sylburgii veterani. Lipsiae 1816, გვ. 537).

„მოლუ“—ერთგვარი ბალახია, რომელიც ოდისევსმა მისცა თავის ამხანაგებს და აღადგინა ეს აღამიანები, რომლებიც კირქემ გადაასხვავდნენ. წარმოებულია სიტყვისაგან *μαλύνειν* (ესე იგი „მოთოკვა“ და „შეჩერება“) გამხრწნელი აზრებისა. *Μαλύνειν* ნიშნავს „შესუსტებას“ და „დაბრკოლებას“ სიტყვისაგან „არ დალუპვა“, ან სიტყვისაგან „დაბრკოლება“. ხელში ეჭირა *μᾶλν* და მისცა როგორც საწამლავის საწინააღმდეგო საშუალება.

ზემომოყვანილი მასალიდან ნათელია, რომ, საყოველთაოდ მიღებული აზრით, *μᾶλν* ნიშნავს „ბალახს“, რომელსაც ჯადო-ძალა აქვს: მისი შემწეობით შესაძლებელი ხდება საწამლავის ძალასთან შებრძოლება, საწამლავის გაქარწყლება.

რა აზრია ამ სიტყვის ეტიმოლოგიის შესახებ? Élm. Boisacq თავის „ბერძნული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ ასეთ განმარტებას გვაძლევს: „*μᾶλν*—მაგიური მცენარე (ჯ 305), ყვითელ-ყვავილიანი ნიორი (თეოფრ., დიოსკ.); ნათ. *μᾶλν* „ნიორი“; *μᾶλν*ζα (ერთი) თავი ნიორი (ჰიპოკრ.) > *mōul*, სანსკრ. *mūlam* „ძირი“, შდრ. *mūla* = *karma* „მოჯადოება ძირების საშუალებით“ (ეს განმარტებები ემყარება

ბ. კრემერის ნარკვევს KZ 31,386). ი. ჰოფმანი (Etym. Wörterbuch d. Griechischen, 1950) უფრო თავდაპირვით ამბობს: „შესაძლებელია სანსკ. mūlam-თან იყოს დაკავშირებული“.

რამდენადაც ამ ეტიმოლოგიებში მაინც-და-მაინც ინდოევროპულ სიტყვებთან კავშირი დამაჯერებლად არა ჩანს (წარმოდგენილ განმარტებებში ფონეტიკური კანონზომიერება არ დასტურდება), ამდენად უურადლება უნდა მივაქციოთ ვესტატი თესალონიკელის განმარტებას: „ოდისეაში“ კი მხოლოდ ღმერთები ასე ეძახიან **μῦλα**-ს, ხოლო ადამიანებისთვის ეს არც ცნობილია და არც სახელი იციან მისიო“. ესე იგი: ადამიანური ენით გაუგებარია ეს სიტყუაო; გაუგებარია იმიტომ, რომ იგი, მასასადამე, ბერძნული სიტყუა არ არის. ამიტომ უთუოდ ანგარიშგასაწევია ის მოსაზრება, რომ **μῦλα** შეიძლება დაკავშირებული იყოს ქართულ სიტყუასთან „**მოლი**“ (ბალახის მნიშვნელობით): უნდა გვახსოვდეს, რომ ჰომეროსიც ამ სიტყუას ხმარობს კირკეს ეპიზოდში, იმ კირკესი, რომელიც თვითონაც ქართული სამყაროს პერსონაჟია (იგი არის კოლხეთის მეფის აეტის და, მედეას მამიდა).



სიტყუას „მოლი“ იცნობს „ვეფხისტყაოსანი“:

ფატმან მისცა დაწერილი მას გრძნეულსა ხელოვანსა:
„ესე წიგნი მიათვით ქალსა, მზისა დასაგვანსა!“
მან გრძნეულმან **მოლი** რამე წამოისხა ზედა ტანსა,
მასვე წამსა დაიკარგა, გარდაფრინდა ბანის-ბანსა (1276)

თეიმურაზ ბაგრატიონი („განმარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გვ. 231, გ. იმედაშვილის გამოცემა) წერს: «**მოლი**—მწვანე ღაროსავით გრძნეულთა წამოსასხამი შელოცვილი».

ნ. ჩუბინაშვილის აზრით „**მოლი** შავი წამოსასხამი ღართივით (ვეფხისტყაოსანი)“. იქვე: „**მოლი**, **მოლოქი** ახალი ბალახი, ალერდი (ბალ.) (იობ. 24,24) злак».

ამისდა კვალობაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელებიც წერენ:

В плащ зеленый он облекся (კ. ბალმონტი)
Свой плащ зеленый обвивая (შ. ნუცუბიძე).

ჩვენ არ ვიცით, რას ემყარებიან „ვეფხისტყაოსნის“ კომენტატორები, როდესაც სწერენ, რომ შიკრიკმა მწვანე წამოსასხამი მოიგდო ტანზე, ან შავი წამოსასხამი. ერთი კი ცხადია, რომ აქ „მოლი“ უკავშირდება გრძნეულებას და ჩანს ისეთ რამედ, რაც საშუალებას აძლევს შიკრიკს გადალახოს დაბრკოლება სწორედ ამ მოლის შემწეო-

ბით. ამიტომ ჩვენ ვაქცევთ ყურადღებას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის ორ ნუსხაში EZ (1646 წლისა და ოქსფორდისაში) ნაცვლად სიტყვისა „წამოისხა“ სწერია „წამოისვა“ (იხ. ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები. III, გვ. 782):

მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისვა ზედა ტანსა

ე. ი. ტანზე წაისვა გრძნეული ბალახი მოლი-ო და ამის წყალობით გადალახა დაბრკოლება.

„ვეფხისტყაოსნის“ გამოცემებში, ძველსა და ახალში, ყველგან სწერია „წამოისხა“. მხოლოდ უკანასკნელს, ალ. ბარამიძისა და ა. შანიშის (1966) და პ. ინგოროყვას გამოცემაში (1969 წლისა) ვკითხულობთ:

მან გრძნეულმან მოლი რამე წამოისვა ზედა ტანსა (ტ. 1198).

ი ა ს ო ნ ი

᾽Ορμένιον¹ δὲ πόλις Θεσσαλικῆ μεταξὺ, φασι, Φερῶν καὶ Δαρίσσης, ἔμην ὁ Φοῖνιξ̄ δοκεῖ τισὶ φυγεῖν εἰς Φθίαν, ὡς καὶ ἀλλαχοῦν ῥηθῆσεται. ᾽Ωνομάσθη δὲ ἀπὸ ᾽Ορμένου, πατρὸς ᾽Αμύντορος, οὗ παῖς Φοῖνιξ̄ ὁ τὸν ᾽Αχιλλέως τροφεύς...

Ἰστέον δὲ ἔτι ἐντεῦθεν εἶναι δοκεῖ ὁ Θεσσαλὸς Ἰάσων ὁ γόνυ γεωγράφος ἱστορῶν τινὰς τῶν Ἰάσωνι μέχρι Κασπίας συμπλέσαντες φησὶν ἔτι ἕδε ἦν ἐξ ᾽Ορμένου πόλεως τῶν περὶ Βοιβηῖδα λίμνης. (Eustathii Comm. ad *Πιάδην* I Lipsiae 1827, p. 269) 332,12.

ორმენიონი თესალიური ქალაქია, ამბობენ, ფერესა და ლარისას შუა, საიდანაც, ზოგიერთები ფიქრობენ, ფოენიქსი გაიქცა ფთიაში, როგორც ეს სხვაგანაც იქნება ნათქვამი. ასე ეწოდა მას ორმენოსისაგან, ამინტორის მამისაგან, რომლის შვილი ფოენიქსი აქილევსის აღმზრდელი იყო.

საკვირთა ვიცოდეთ, რომ იქიდან არის, ჩანს, თესალიელი იასონი; გეოგრაფოსი ხომ მოგვითხრობს იასონთან ერთად კასპიამდე მცურავთა შესახებ და ამბობს, რომ ის იყო ორმენოსის ქალაქიდან იმათი რიცხვიდან, რომელნიც ბოადეიდის ტბის გარშემო ცხოვრობდნენ,

¹ ქალაქი თესალიის მაგნეზიაში.

ახონი და იახონი

‘Αναγκραμματισθεις γάρ και νυν ὁ χόλος τὸν λόχον ποιεῖ... Ἐν γούν Ὀδυσσεὶζ πατήρ μὲν Αἴσων, Ἰάσων δὲ ὁ υἱὸς κατὰ διάλυσιν τῆς αἰ διφθόγγου και μεταφθεσιν τοῦ ι. Ἐνταῦθα δὲ Αἴμων μὲν πατήρ, Μαίων δὲ υἱὸς τεθείσης τῆς αἰ διφθόγγου ἐν τῇ ἀρχῇ. Μαίων γάρ φησιν Αἰμονίδης (Eustathii Comm. ad Iliadem [Lipsiae 1827, p. 338) 488,23.

ასოების გადასმისას, მაშასადამე, *χόλος*-იდან მიიღება *λόχος*... ასევე „ოდისეაში“¹ მამა ხომ არის „ახონ“, ხოლო შვილი „იახონ“ მიიღება *αι*-დიფთონგის დაშლით და „იოტის“ გადასმით. იქვე (ე. ი. „ილიადაში“)² მამა არის *Αἴμων*, ხოლო შვილი *Μαίων*, თუ *αι*-დიფთონგს დასდებ დასაწყისში, ამბობს: „მაჲონ ჰაიმონიდესი“.

არგონავტები

Οὕτω ποτὲ και οἱ Ἀργοναυται διὰ τοῦ Ἑλλησπόντου εἰς Κολχίδα ἐξ Ἑλλάδος πλεύσαντες περιώδευσαν και διὰ τοῦ Ἰστροῦ εἰς τὴν Ἀδριαάδα διεκπεσόντες μὲν εἰς ἐπανεσώθησαν, φόβῳ τοῦ Αἰήτου μακρὰ πλανηθέντες (Eustathii Comm. ad Iliadem II, Lipsiae, 1828, p. 111; 642,64).

ასევე ერთხელ არგონავტებმაც ჰელესპონტის გზით კოლხიდაში რომ გასცურეს ელადიდან, გარე-შემოუარეს და ისტროსით აღრიაში გაჩნდნენ, ძლივს გამობრუნდნენ, იხეტიალეს რა შორს აიეტის შიშით.

მ ე დ ე ა

Ἰστέον δὲ και ὅτι Νέστορος τοῦ τῶν ἱστοριῶν χορηγητοῦ τοῦ τῷ ποιητῇ τὴν Ἀγαμήδην πολυ-

საცოდნელია ისიც, რომ პოეტთან (ე. ი. ჰომეროსთან) თავისი თხრობებით სახელგანთქმუ-

¹ „ოდისეა“ 11,259:

τοὺς δ' ἑτέρους Κρηθῆι τέκεν βασιλεία γυναικῶν,
Αἴσωνα τ' ἠδὲ Φέρετ' Αμυθιάνα θ' ἰππιόχαρμιν.
 „სხვებიც უშვა კრეთეეს ქალთა დედოფალმა
 აახონიც და ფერეტიც, ცხენთ მხედნელი ამითაონიც“.

² „ილიადა“ 4,394:

Μαίων Αἰμονίδης ἐπιείκελος ἀθανάτοισιν.

φάρμακον ιστορήσαντος ὁ παλαιὸς λόγος τοιαύτην καὶ τὴν Μήδειαν παραδίδωσι καὶ τὴν Θώνος γυναῖκα τὴν Αἰγυπτίαν, ἧς ἐν Ὀδυσσεΐᾳ Ὁμηρος μέμνηται¹.

Ὅτι δὲ πολυφάρμακος ἦ κατὰ τὴν Ἡλιδὰ χώρα, δηλοῖ ὁ εἰπὼν ὡς Μήδεια ἐξ Ἀθηνῶν φυγοῦσα Αἰγέως φόβῳ, διότι τῷ Θησεί αὐτὴ ἐκέρασε φάρμακον, οἰκῆσασά τε τὴν πλησίον Ἡλιδος Ἐφυραν, ἔνθα πού καὶ ὁ Ἀλγείας ἦν, πολυφάρμακα ἐποίησε τὰ ἐκεῖ.

Ἀρρίανὸς δὲ καὶ Κροκοδίην τινὰ ιστορεῖ² οὐδὲν ἤττον γυναικα γοητεύτριαν. Οὐκ ἀπέοικε δὲ τούτων οὐδὲ ἡ λογοποιουμένη Κίρκη. Ἐν δὲ τῷ, ἡ τόσα φάρμακα ἦδῃ ὅσα τρέφει χιτών, φάρμακα μὲν μέσως ἔφη τὰ τε ἀγαθὰ καὶ τὰ μὴ τοιαῦτα (Eustathii Comm. ad Iliadem III, p. 82; 881,59),

ლი ნესტორი რომ გვიყვება მრავალწამალთა მცოდნე აგამედეზე, ძველი გადმოცემა ასეთად მედეას თვლის და თონის მეუღლეს ეგვიპტიას, რომელსაც ჰომეროსი იხსენიებს „ოდისეაში“.

რომ მრავალწამალთა შემცველია ელიდის ქვეყანა, ნათელყოფს პოეტი და ამბობს, რომ მედეა ათენიდან გაიქცა ეგეოსის შიშით, რადგან მან (მედემ) თეზევსს საწამლავი ჩაუტრია, და დასახლდა ელიდის მახლობლად ეფირაში, სადაც იყო ავგიაც, და იქაც მრავალწამალნი აკეთა.

არიანეც გადმოგვცემს, რომ ვინმე კროკოდიკე ამაზე ნაკლები ჯადო ქალი არ იყო. არც თუ განსხვავებულია ამათგან ყბად-ალებული კირკეც. ამ წიგნშიც თქვა: იმდენი წამალი იცოდა, რამდენსაც მიწა აღმოაცენებს, წამლები ზოგი სიკეთის მომტანია, ზოგიც არა ამნაირი.

აქილევის და კ. სკიროსი

Περὶ δὲ τοῦ ἐν Σκύρω τὸν Νεοπτόλεμον τρέφεσθαι τοιαῦτα φασὶν οἱ παλαιοί· ὅτι Θέτις, οἷα πᾶν φιλόπαις, ἔχει πρὸ τοῦ Τρωικοῦ πολέμου τὸν Ἀχιλλέα ἐξέθιτο, ἔνθα καὶ γυναικισόμενον

იმის შესახებ, რომ სკიროსზე იზრდებოდა ნეოპტოლემოსი, ძველები შემდეგს გადმოგვცემენ: რომ თეტიდამ, რადგან ძალიან უყვარდა შვილი, ტროადის ომის წინ იქ გახიზნა აქილევის და

¹ „ოდისეა“ 4,229: აქ იმაზე ლაპარაკი, რომ თონის მეუღლეს ეგვიპტიას მრავალწამალი წამალი ასწავლა მიწამ (πλειστα φέρει ζειδωρος ἄρουρα φάρμακα).

² როგორც Pape-ს ლექსიკონიდან (Eigenn.) ჩანს, არიანე ამბობს „ილიადის“ 11,839 სქოლიოში.

Ὅδυσσεὺς αὐτὸν ἤλεγξεν, ὧς καὶ ὁ Λυκόφρων ἱστορεῖ· καὶ ἔχει τοῦ Λυκόφρονος ψυχαστρί συγγεγονῶς πατήρ γίνεται Νεοπτολέμου τούτου δὴ τοῦ ἐν τῇ πατρίδι Σκύρῳ ἕτι ἐκτρεφομένου. (Eustathii Comm. ad Iliadem, IV, [1830], p. 131; 1187,13).

აქ აღმოაჩინა ოდისევსმა იგი ქალად ქცეული, როგორც ამას ლიკოფრონიც გვიაშბობს: აქ იგი ლიკომედეს ასულს შეეუღლა და მამა გახდა ამ ნეოპტოლემოსისა, რომელიც მამეულ სკიროსში იზრდებოდა.

იბერიის ქალაქი „ოდისეია“

...Αὐτίκα τῆς Ὀδυσσεῶς πλάτης τὸ πολὺ περὶ Σικελίαν γενέσθαι καὶ Ἰταλίαν καὶ ἐπέχεινα τεθρῦλληται συμφώνως τῇ ποιητῇ. Καὶ τοῦτο δηλοῖ δίχα πολλῶν ἄλλων, καὶ ὁ τῆς ἱστορίας Λατίνος, καὶ ὁ Αὔσαν, οἱ ἐξ Ὀδυσσεῶς καὶ Κίρκης κατὰ τινος. Οἱ καὶ τῆς ἡμῶν αὐτοῖς χώρας ἐκράτησαν, καὶ ἀφ' ἑαυτῶν τὰ ἔθνη ἐκάλεσαν. Ὁμοιογεῖ δὲ τούτοις καὶ ἡ ἐν Ἰβηρίᾳ πόλις Ὀδύσεια¹ (Eust. Comm. ad Odysseam I [1825] p. 1 (1379)).

მაგალითად, ოდისევსის ხეტიალის მეტი წილი ამბები ხდება სიკელიის და იტალიის გარშემო და ეს ყველაფერი (?) მოთხრობილია, თანახმად პოეტისა. და ამას ნათელყოფს, სხვა ყველაფრის გარდა, ისტორიის „ლატინოსი“, და „ავსონი“, ზოგიერთების მიხედვით ოდისევსისა და კირკეს შვილები. ამათ დაიპყრეს მათი თანამოსახლე ქვეყანა, და თავიანთი სახელების მიხედვით ხალხებსაც უწოდეს. ამათ ემოწმება აგრეთვე იბერიაში ქალაქი „ოდისეია“¹.

DE THESSALONICA A LATINIS CAPTA

ევსტათის ეს შრომა „თესლონიკის აღება ნორმანების მიერ 1185 წელს“ მოღწეულია ჩვენამდე ერთადერთი ხელნაწერით XIII საუკუნისა: Basileensis 46 [A. III. 20] f. 221^v—255^v. ამ ხელნაწერში ეს შრომა არის სულ ბოლოში; ამის წინ იქ მოთავსებულია

¹ ყველას მიერ აღიარებულია, რომ აქ იგულისხმება ისპანიის „იბერია“ (Pape, Eigenn. „Stadt in Hisp. Baetina [Turditania]; Strabo 3, 149, 157), მაგრამ, რადგან ევსტათი ამას იხსენიებს ოდისევსისა და კირკეს შვილებთან დაკავშირებით, იქნებ ეს საკითხი გადასინჯული უნდა იქნეს.

ევსტათის სხვა 24 ნარკვევი. ხელნაწერი XIII საუკუნისაა (ბომბი-ცინი), ხოლო ბოლო ფურცელი XVI საუკუნის ქალაქია (ახალი აღწერა ამ ნუსხისა იხ. A. Maricq, *Le manuscrit d' Eustathe Thessalonique: La prise de Thessalonique en 1185: Byzantion* 20 [1950] 81—87).

ჯერჯერობით ევსტათის ამ შრომის ხელმისაწვდომი გამოცემა ი. ბეკერისა, რომელმაც იგი ლეონ გრამატიკოსის „ხრონოგრაფიის“ გამოცემას დაურთო:

Leonis Grammatici Chronographia, Ex recognitione Immanuelis Bekkeri, Accedit Eustathii De capta Thessalonica liber. Bonnae 1842 (განმეორებულია Migne, PG 136). ახალი გამოცემისათვის მოსამზადებელი მუშაობა ჩაატარა Maricq-მა (იხ. აქვე ზემოთ).

სერიაში Byzantinische Geschichtsschreiber (ტ. III) ჰ. ჰუნგერმა დაბეჭდა ევსტათის ამ შრომის გერმანული თარგმანი და შენიშვნები დაურთო: *Die Normannen in Thessalouice. Die Eroberung von Thessalonike durch die Normannen (1185 n. Chr.) in der Augenzengenschilderung des Bischofs Eustathios, übersetzt, eingeleitet und erklärt von Herbert Hunger, Graz—Wien—Köln. 1955, გვ. 163.*

იბერები ბიზანტიის ჯარში

Και ὃτε μὲν ἦ κεφαλὴ τῆς πόλεως· τὸ δὲ γε λοιπὸν ἄπαν σῶμα πάντῃ διάφορον ἦν, ἐτεροιοῦμενον εἰς ἀγαθόν. Καὶ οἱ μὲν ἔξωθεν στρατευσάμενοι οὐκ ἂν ἔχοι τις εἰπεῖν ὡς τὸ ἀρεῖον ἐψεύδοντο, οἷς ἐνέπρεπον καὶ οἱ ἐξ Ἑλλήνων καὶ εἰ τινας Ἰβηρας. Οἱ δὲ τῆς πόλεως μαθηγεῖς, τὸ γνήσιον τηροῦντες φιλόπατρι, οὐ πολλοὶ μὲν ἦσαν τὸ γὰρ πλείον ἀνέμοις ἑαυτὸ ἐπιτρέψαν ᾄχετο, καὶ μάλιστα τὸ προέχον κατὰ τὴν χεῖρα, ὡς ἐρρέθη, καὶ τὸ δύνασθαι τὸ ἐλέγχειν τὸν στρατηγόν

ასე იქცეოდა ქალაქის თავი; ხოლო მთელი დანარჩენი სხეული სულ სხვანაირად იყო განწყობილი, უკეთესობისაკენ. არავის არ შეუძლია თქვას, რომ ქალაქის გარეთ მყოფ მოლაშქრეებს გულადობა აკლდათ; მათ შორის გამოირჩეოდნენ ალანები და ზოგიერთი იბერები. ხოლო ქალაქის მკვიდრნი, თესალონიკელები, რომელთაც სამშობლოსადმი ნამდვილი სიყვარული ჰქონდათ, ბევრნი არ იყვნენ; რამეთუ ქარის ქროლას გაჰყოლოდნენ მეტ წილად, და გან-

και συμμετάγειν εις το καλόν. საკუთრებით, როგორც ითქვა, (ed. Bonnae, p. 446, 3—11). ვისაც ხელი მარჯვე ჰქონდა და შეეძლოთ ემხილათ სტრატეგოსი და სიკეთისაკენ თანწყევანათ¹.

იბერული ქუდი ხურავს წარჩინებულ ბიზანტიელს

Ουκ οὐκ ἡμέραι συχναί, αἱ μὲν πρὸ τοῦ σφοδροῦ πολέμου, αἱ δὲ κατὰ τὴν τοῦτου θυμαίην, και οὐδεις ἐκείνους εἶδεν οὔτε ἐν ὄπλοις δεινοῖς δύναντα οὔτε ἴππους εὐγενοῦς ἐπιβάντα. Ἡμισίονος δὲ ᾤχει αὐτὸν ἀπὸ βράχιας και πεδῖνων νεωτερικῶν. Ἔσκεπε δὲ και τὴν κεφαλὴν Ἰβηρικῶτερον ἔκφυλος πῖλος ἐρυσιρός· βάρβαραι ἐκείνους και τεχνῶνται και καλοῦσιν ἢ φιλοῦσι, πολυπτυχον μὲν και οὕτω συνησταμένον κάτω τὴν λοιπὴν περιθεῖσιν, τὰ δὲ περὶ πρόσωπον ἐρυσινόμενον και πρηγεύοντα ἀπολέγοιτο τρυφερευόμενος ἀγλιχίστως (ed. Bonnae, p. 439—440).

ხშირი იყო დღეები, როგორც სასტიკი ომის წინ ისე ამ ომის უმწვერვალეს საფეხურზე, რომ იგი არავის უნახავს არც იარაღ-ასხმული და საომრად გამზადებული, არც ჯიშთან ცხენზე აღმხედრებული. ჯორი მიათრევდა მას ახლებურ შარვალში და სანდლებში გამოწყობილს. თავზე ეხურა იბერიულ ყაიდაზე უცხოური წითელი ქუდი: ის ხომ ბარბაროსებმა შეამზადეს და შეარქვეს, როგორც მოეწონათ, მრავალნაკეციანი და იმნაირად შენაოჭებული ქვევით, დანარჩენ ქობაზე (შემოვლებაზე), რომ სახის გარშემო ჩამოშვებული ნებიერად იცავს მზისაგან².

¹ აქ ევსტათი გადმოგვცემს იმ ვითარებას, რომელიც შექმნილი იყო 1185 წელს, სიცილიელი ნორმანების მიერ ალყაშემორტყმულ თესლონიკეში, როდესაც სტრატეგოსი დავით კომნენოსი («ქალაქის თავი»), ავტორის დახასიათებით, უნიჭო და სულელი, კეისარ ანდრონიკესადმი სიძულვილის გამო ქალაქის ინტერესებს ღალატობდა, ხოლო ხალხი («მთელი დანარჩენი სხეული») სულ სხვანაირად იქცეოდა. ევსტათის ამ ცნობიდან ვკვობილობთ, რომ ამ დროს ბიზანტიის ჯარში ყოფილან ალანები და იბერები. და ეს მოულოდნელი არც იყო. ჩვენ ხომ ვიცით, რომ სწორედ ამავე ხანებისათვის (XI—XII საუკუნისათვის) მიხეილ ატალიატეს და ნიკეატა ხონიატეს მიერ გადმოცემულია ცნობები იმის შესახებ, რომ ბიზანტიის ჯარში იბერები მხატურობდნენ. იხ. გეორგიკა, ტ. VI, გვ. გვ. 23, 127, 132.

² ამ ნაწყვეტში აღწერილია „იბერიულ ყაიდაზე“ დამზადებული ქუდი, რომელიც ხურავს ბიზანტიელ წარჩინებულს დავით კომნენოსს, თესლონიკის დაცვის (1185 წ.) მთავარ სარდალს. ჩვენ აქ დავკმაყოფილდებით იმით, რომ მიუუთითებთ იბერიული ქუდის აღწერას, რომელიც გადმოცემული აქვს ისტორიკოს ნიკეატა ხონიატეს ანდრონიკე კომნენოსის ჩაცმულობის დახასიათების დროს (იხ. გეორგიკა, ტ. VI, გვ. 124—125), იქ ნათქვამია, რომ ქუდი იყო კვამლის ფერტი (*καπνοῖδον*), აქ კი იგი წითელია, გარდა ამისა ევსტათი თესლონიკელს დაწვრილებით აქვს აღწერილი ეს ქუდი, მთელი მისი ნაკეცებით, ნაოჭებით, ქობით და შემოსავლებით.

ლაზური თავსაბურავი

Καὶ τοῦ λοιποῦ, ἕνα μὴ τὴν
 κοσμικὴν ἀγῶνιν ἀδολογησῶν, γίνε-
 ται τῶν κακῶν δρόμος εἰς τὸν
 περιδοχὸν γὰρ τοῦ σωτήρος
 Χριστοῦ τοῦ χαλκίτου, καὶ εὐφη-
 μία τοῦ Ἀνδρονίκου ἄκοντος εἰς
 βασιλεία, ὡς ἂν καὶ αὐτοὶ καὶ
 ἐκείνος εἴποιεν· εἶτα καὶ βία εἰς
 ἐκείνον, ὡς καὶ μὴ ἐθέλων ἀρχη-
 γὸς ἡμῶν γενεῶν, καὶ περιήσεις
 παρασίμων τῆ βασιλείᾳ πεδύλων,
 ἐκείνου μὴ καμισταῶντος τοὺς πό-
 θας, καὶ περιήσεις διαδύματος
 καὶ ῥήψιδ μὲν καπνικοῦ καλὺμ-
 ματος τοῦ περὶ κεφαλῆν, ὅπερ
 Λαζόθεν εἶχε τὴν ἀφορμὴν
 εἰς σύμβολον ὡς ἔμελλε καπνῷ
 φεῖραι, κατεμπρίσας τὸ πᾶν,
 ἀντιφύρησις δὲ ἔρυστροῦ, ἀνιττο-
 μένη ὄσων κεφαλῶν καταψηφειεῖσ-
 θαι μέλλει ἀίματα (ed. Bonnæ,
 p. 410—411).

მაგიერ დაახურეს წითელი, რითაც მიუთითებდნენ, იმაზე, რომ სისხლით მორწყავს იქაურობას, მის შემდეგ რაც სასიკვდილო განა-
 ჩენს გამოუტანს ბევრს¹.

¹ ევსტათი თესლონიკელის ეს ცნობა კვლავ ეხება წარჩინებულ ბიზანტიელთა თავსაბურავის საკითხს. ამის წინ მოტიანილ ნაწყვეტშიც ლაპარაკი იყო „კვამლის-
 ფერ“ და „წითელ“ თავსაბურავზე. ნიკიტა ხონიატეს ცნობაში იმავე ანდრონიკეს
 თავსაბურავის შესახებ ნათქვამია, რომ მას ეხურა კვამლისფერი ქუდი (*καπνοῦραν
 τῆν χροῖαν*), ხოლო მის შემდეგ, რაც იგი მეფედ გამოაცხადეს, «მოხადეს თავიდან
 კვამლისფერი პირამიდული ქუდი და მოახვიეს ცეცხლისფერი». ევსტათის ცნობაშიც
 იგივეა განმეორებული: «მოგლიჯეს კვამლისფერი თავსაბურავი... ხოლო ამის მაგიერ
 დაახურეს წითელი». იქაც და აქაც ეს ქუდი უცხოურად არის გამოცხადებული, ხოლო
 ევსტათი მას „ლაზეთიდან“ მოტიანილად აცხადებს, იმ დროს როდესაც ნიკიტა
 ხონიატეს ის „იბერიულად“ მიაჩნია (თუმცა *τῆς Ἰβηρικῆς φύξης* ტანსაცმელს ეხება,
 მაგრამ რამდენადაც ამას მოსდევს თავსაბურავის აღწერა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ
 აქაც „იბერიულს“ გულისხმობს). თვით ევსტათიც ხომ მეორე ნაწყვეტში ამ თავსა-
 ბურავს თვლის *Ἰβηρικώτερον*. იქნება „ლაზეთი“ და „იბერიული“ ერთმანეთის
 საპირისპირო არც კი იყოს!

თეოდორე ბალსამონი

თეოდორე ბალსამონი (Θεόδωρος ὁ Βαλσαμών) არის სახელგანთქმული იურისტი XII საუკუნისა. იგი დაიბადა კონსტანტინეპოლში, აია-სოფიის ტაძრის დიაკონი იყო. მას ეკავა ნომოფილაქსის თანამდებობასთან ერთად ხარტოფილაქსობა და, მამასადამე, პატრიარქის მთავარი იურიდიული მრჩეველი იყო. დაახლოებით 1185—1191 წლებში ანტიოქიის პატრიარქი იყო. გარდაცვალების წელი უცნობია: 1195 წლის მახლობელ ხანებში უნდა იყოს გარდაცვლილი.

თეოდორე ბალსამონის მთავარი ნაშრომია XIV ტიტულის «სჯულის კანონის» კომენტარი, რომელიც მან დაწერა კეისარ მანუილ I კომნენოსის (1143—1180) და პატრიარქ მიხეილ ანხიალოსის (1169—1177) რჩევით და რომელსაც ის ამუშავებდა მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე. ამ კომენტარში ის განმარტავდა არა მარტო XIV ტიტულს, არამედ აგრეთვე «სჯულის კანონთა» კრებულს, რაშიც ის იოანე ზონარას ემყარებოდა. თეოდორე ბალსამონის „კომენტარის“ მნიშვნელობა იმაშია, რომ ის მრავალ ისეთ საისტორიო საბუთს იყენებს (ზოგი სიტყვა-სიტყვით მოჰყავს, ზოგის მხოლოდ ნაწყვეტები), რომლებიც სხვაგან არსად არ მოიპოვება, ცნობილი არაა¹.

ლიტერატურა

Migne, PG 137, 138.

Gu. Moravesik: Byzantion 8 (1933), 562—566.

Les registres des Actes du patriarcat de Constantinople, par V. Grumel. 1947.

იბერიის ეკლესიის ავტოკეფალია

კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრების (383 წ.) მეორე კანონის განმარტების დროს თეოდორე ბალსამონი ლაპარაკობს იბერიის ეკლესიის ავტოკეფალიაზე.

¹ Hans Georg Beck, Kirche und theologische Literatur im Byzantinischen Reich. M. 1959, გვ. 657—658.

Εἰ δὲ καὶ ἐτέρως ἐκκλησίας ἀυτοκεφάλους ἐνρίσχεις ἄς τὴν Βουλγαρίας, τὴν Κύπρου, τὴν Ἰβηρίας, μὴ θαυμασῆς. Τὸν μὲν γὰρ ἀρχιεπίσκοπον Βουλγαρίας ἐτίμησεν ὁ βασιλεὺς Ἰουστινιανός. Καὶ ἀνάγνωθι τὴν ρα' νεαράν αὐτοῦ χειμένην ἐν βιβλίῳ τῶν Βασιλικῶν ε', τίτλῳ γ', κεφ[άλαιον] α', καταστρωθεῖσαν εἰς τὴν ἑρμηναίαν τοῦ ε κεφ. τοῦ α' τίτλου τοῦ παρόντος συντάγματος· τὸν ἀρχιεπίσκοπον Κύπρου ἐτίμησεν ἡ γ' σύνοδος. Τὸν δὲ Ἰβηρίας ἐτίμησε διάγνωσις τῆς ἐν Ἀντιοχείᾳ συνόδου. Ἀέγεταὶ γὰρ ὅτι ἐπὶ τῶν ἡμερῶν τοῦ ἀγιοτάτου πατριάρχου θεοδολεως μεγάλης Ἀντιοχείας, κυροῦ Πέτρου γέγονεν οἰκονομία συνοδικῆ ἐλευθέραν εἶναι καὶ αὐτοκέφαλον τὴν ἐκκλησίαν τῆς Ἰβηρίας, ὑποχειμένην τότε τῷ πατριάρχῃ Ἀντιοχείας (PG, 137, 317—320).

სუფალი და ავტოკეფალური ეკლესია იბერიისა, რომელიც მაშინ ექვემდებარებოდა ანტიოქიის პატრიარქს.

თეოდორე ბალსამონის ტექსტით მოცემული ცნობა იბერიის ეკლესიის მიერ თავისუფლების მოპოვების შესახებ ჩვენს ისტოგრაფიაში უუპრადღებოდ არ ღარჩენილა. ჯერ კიდევ 1913 წელს სერგი გორ-

ნუ გაიკვირვებ, თუ სხვა ეკლესიებსაც იბოვი ავტოკეფალურად, როგორც, [მაგალითად], ბულგარეთის ეკლესიას, კვიპროსისა და იბერიისას. ბულგარეთის არქივებისკოპოსი — პატივში აიყვანა იუსტინიანე მეფემ. წაიკითხე მე-131-ე მისი ნოველა¹, რომელიც მოთავსებულია «ბასილიკების» მეხუთე წიგნში, მუხლი მესამე, თავი პირველი, რომელიც განკუთვნილია წინამდებარე თხზულების პირველი მუხლის მეხუთე თავის განმარტებისათვის. კვიპროსის არქივებისკოპოსი პატივში აიყვანა მესამე [მსოფლიო] კრებამ. ხოლო იბერიის არქივებისკოპოსი პატივში აიყვანა ანტიოქიის კრების დადგენილებამ. ამბობენ, რომ მაშინ, როდესაც ღვთაებრივი ქალაქის დიდი ანტიოქიის უწმინდეს პატრიარქად იყო უფალი პეტრე², გამოტანილ იქმნა კრების დადგენილება, რომ იქნეს თავი-

¹ იუსტინიანეს 131. ნოველის მეხუთე მუხლში ხაზგასმით არის აღნიშნული წმინდა ეკლესიებისათვის სრული თავისუფლების მინიჭების საქიროება.

² ეს არის ანტიოქიის პატრიარქი პეტრე III (1053—1057 წწ.), თუმცა ე. ჰონიგმანს ეს საბოლოოდ დამტკიცებულად არ მიაჩნია; Ob er (ე. ი. ბალსამონი) damit Petros ὁ γαφεύς oder Petros III meint, lässt sich schwer entscheiden („ბალსამონი პეტრე მკაწრველს თუ პეტრე III-ს ჰგულისხმობს, ეს ჯერ კიდევ ძნელი სათქმელია“). იხ. E. Honigmann, Die Ostgrenze... გვ. 211.

გაძე წერდა თავის „წერილებში საქართველოს ისტორიიდან“: „დღეს უკვე მრავალი ფაქტითა და ისტორიული საბუთით დამტკიცებულია, რომ ვალსამონის მოწმობა შეეხება... ანტიოქიის პატრიარქს... პეტრე III-ს (1053—1057), რომლის დროსაც საქართველოს ეკლესია სრულიად განთავისუფლდა ანტიოქიის პატრიარქთა დამოკიდებულებისაგან“ (ძველი საქართველო, ტ. II, განყოფილება II, გვ. 76—77). სოლო ე. თაყაიშვილმა „ძველი საქართველო“ მომდევნო ტომში აღწერა „მარტვილის ხელნაწერები“, რომელთა შორის ერთ-ერთი არის „სიტყუს-გებაჲ ლათინთა მიმართ ჩნ მართლ-მადიდებელთა მიერ“, სადაც ბოლოს იკითხება: «რამეთუ ესრეთ შესასწავლებელ არს ტახტიკონსა შინა კონსტანტინეპოლისასა, ვითარმედ მას ქამსა წმიდა მეექუსე კრებასა [680 წ.] კონსტანტინე პოლონატისასა [668—685 წ.წ.] და აღათონ რომთა პაპისსა [678—681 წ.წ.], გიორგი კონსტანტინეპოლისასა [678—683 წ.წ.] და თეოფანე ანტიოქელისასა [681—685 წ.წ.] და მათ თანა ასოცდაათთა მამათაგან გაპატიოსნდა კათალიკოზი ქართლისა და ყვეს მამათმთავრად და თავისუფლად და უფლად ყოველსა ზედა საქართველოსა. და მერმე კვალადვე კრებასა შინა ანტიოქიისასა განთავისუფლდა და განპატიოსნდა, რამეთუ არღარავისგან ხელქვეშ არს, არამედ თავისუფალ და მამათმთავარი არს» (ძველი საქართველო, ტ. III, განყოფ. I, გვ. 117)¹.

როგორც ჩანს, XI საუკუნის შუაწლებში ანტიოქიის პატრიარქის პეტრე III-ის დროს (1053—1057 წ.წ.) კვლავ აღძრულა საკითხი საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის შესახებ და საკითხი გადაწყვეტილა ანტიოქიის კრებაზე საქართველოს სასარგებლოდ, რაც დასტურდება თეოდორე ბალსამონის ზემოთ მოყვანილი ცნობით.

* * *

თეოდორე ბალსამონის ცნობას საგანგებო ყურადღება მიაქციეს 1906 წელს პეტერბურგში სინოდის სსდომაზე, სადაც დასმული იყო საკითხი „Об устройении церковных дел на Кавказе“ და სადაც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ მოხსენებებით გამოვიდნენ ნ. მარრი (მთავარი მომხსენებელი), ალ. ცაგარელი, ი. სოკოლოვი და ალ. ხახანაშვილი (იხ. Журналы заседаний II

¹ ყველა ეს ცნობა, როგორც ჩანს, ემყარება ეფრემ მცირის შრომას „უწყებაჲ მიზეზისა ქართველთა მოქცევისასაჲ, თუ რომელთა წიგნთა შინა მოიხსენების“ (იხ. ქრონ. I 75—76), საიდანაც ჯუნშერის „ისტორიაშიც“ ჩაურთეს „ქართლის ცხოვრების“ XVIII საუკუნის რედაქტორებმა. იხ. ქ. ცხ. I (1955), გვ. გვ. 226 და 231.

Отдела Высочайше учрежденного Присутствия при Святейшем Синоде для разработки подлежащих рассмотрению на Поместном церковном Соборе вопросов (СПБ 1907, გვ. გვ. 1—318). კერძოდ, ამ სხდომაზე მითითებულ იქმნა ბალსამონის მიერ ნახმარ გამოთქმაზე λέγεται, რომელიც სხდომის ზოგიერთ მონაწილეს მიაჩნდა იმის საბუთად, რომ, მაშასადამე, ბალსამონს ხელთ ჰქონდა უტყუარი დოკუმენტიო; სხვების აზრით კი ამით მხოლოდ ზეპირთქმაზეა ლაპარაკი (გვ. 136). პროფ. ალ. ცაგარელმა მოითხოვა, ბოლოს და ბოლოს ელინისტებმა მოგვეცენ ბალსამონის ტექსტის სანდო თარგმანიო, ხოლო პროფ. ი. სოკოლოვმა ამის საპასუხო გამოსვლაში, სხვათა შორის, თქვა: „როგორადაც არ უნდა თარგმნოთ და განმარტოთ ბალსამონი, მისი ცნობიდან არავითარ შემთხვევაში არ გამომდინარეობს უარყოფითი პასუხი საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიაზეო“ (გვ. 148—149)¹.

¹ საჭიროდ ვთვლი აღვნიშნო, რომ საქართველოს ეკლესიის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებულ ცნობებს და სათანადო ლიტერატურას (თეოდორე ბალსამონის ჩათვლით) კარგად გადმოგვეცემს ევ. ნიკოლაძე, საქართველოს ეკლესიის ისტორია, ქუთაისი, 1918, გვ. 41—49.

დ უ კ ა

(ca. 1400—1470)

თვით დუკას ($\Delta\upsilon\kappa\alpha\varsigma$) შრომიდან ირკვევა შემდეგი: ისტორიკოსი დუკა არის შეილიშვილი იმ მიხეილ დუკასი, რომელიც ნათესავი იყო დუკათა სამეფო ოჯახისა და რომელიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა იოანე VI კანტაკუზენის და იოანე V პალეოლოგოსს შორის ატეხილ დავაში და, როგორც თავგამოდებულ დამცველი კანტაკუზენისა, ამ უკანასკნელის დამარცხების შემდეგ, ე. ი. 1345 წლის ზაფხულიდან, იძულებული გახდა გაქცეულიყო კონსტანტინეპოლიდან და გადასახლებულიყო სამუდამოდ სელჯუკთა ემირთან ეფესოში.

დუკას დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები ჩვენთვის უცნობია, მაგრამ დაახლოვებით მაინც შეიძლება ითქვას: უნდა დაბადებულიყო იგი XIV საუკუნის ბოლოს, ან XV საუკუნის დასაწყისში და გარდაცვლილიყო 1462 წლის შემდეგ, ესე იგი იმ წლის შემდეგ, როდესაც თურქებმა აიღეს მიტილენე, სადაც ბოლოს ცხოვრობდა ჩვენი ისტორიკოსი.

არც გარდაცვალების თარიღის დადგენა შესაძლებელი: თხზულება წყდება დაუმთავრებელ წინადადებაზე¹, რომელიც ეხება თურქების მიერ წარმოებულ სამხედრო სამზადისს ქ. მიტელენის ასაღებად, და შემდეგ რა მოუვიდა დუკას: ქალაქის აღებისას მოჰკლეს, თუ ცოცხალი გადარჩა და ვაქცევით თავს უშველა, სახელდობრ რომელ ქალაქს შეაფარა თავი, რამდენ ხანს იცოცხლა და სხვ., აი კითხვები, რომელთა შესახებ პასუხები ჯერჯერობით სპეციალურ ლიტერატურაში არ არსებობს.

ისტორიკოს დუკას მუდმივ უცხოვრია ფოკეაში, ყოფილა გენუის მთავრის მდივანი. კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ დუკა ასრუ-

¹ ეს გაწყვეტილი წინადადება ასე იკითხება: $\epsilon\delta\delta\mu\tau\epsilon\zeta\ \sigma\upsilon\mu\ \text{ou}\ \epsilon\chi\alpha\tau\epsilon\zeta\dots$ —იხილეს რა [ქალაქის] შიგნით მყოფებმა... (Ducea, გვ. 346_{1a}).

ლებს ლესბოსის მმართველთა ბრძანებით დესპანის მოვალეობას და მოლაპარაკებას აწარმოებს სულტან მუჰამედ II-სთან (1430—1481) ლესბოსის მომავალი ბედის შესახებ. 1455 წელს ლესბოსის მთავრის დორინო გატელუციას სახელით ის მიესალმა ლესბოსში შესულ თურქეთის ფლოტის მხედართმთავარს—ხამზას და მიართვა ძალიან მდიდრული ძღვენი ადრიანოპოლში; იმავე დორინოს ბრძანებით მან ხამზასვე 1456 გაუმართა სადილი.

დუკას „ისტორიის“ შესავალი გადმოგვცემს მსოფლიო ისტორიას ადამიდან, ხოლო 1204 წლამდე კმაყოფილდება მეფეთა და მპყრობელთა ჩამოთვლით; 1204—1359 წლების ამბების თხრობის დროს კი განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ოსმალთა ბატონობის გავრცელებას. ისტორია 1391 წლამდე შედარებით უფრო დაწვრილებით არის გადმოცემული. შემდეგ დაწვრილებით არის მოთხრობილი სამი უკანასკნელი კეისრის ისტორია: მანუილ II პალეოლოგოსისა (1391—1423), იოანე VIII პალეოლოგოსისა (1423—1448) და კონსტანტინე XI პალეოლოგოსისა (1448—1453). თხრობა წყდება 1462 წელზე (კუნძულ ლესბოსის აღებაზე მუჰამედ II-ის მიერ).

ამბები 1421 წლამდე აღწერილი აქვს დუკას წერილობითი წყაროების მიხედვით (მისთვის ცნობილი არიან ნიკეტა ხონიატე, იოანე ანაგნოსტე და ნიკიფორე გრიგორასი).

ბერძნულის გარდა ის ფლობდა იტალიურსა და თურქულ ენებს, იმდენად კარგად სცოდნია მას თურქული ენა, რომ თურქულ სახელებს ზედმიწევნით გადმოგვცემს.

იმავე ეპოქის ამბებს აგვიწერენ, დუკას გარდა, გიორგი სფრანძესი და ლაონიკე ხალკონდილე. ამ სამ ავტორს შორის დუკა, მკვლევართა ერთიანი აღიარებით, დანარჩენებზე უფრო სანდო წყაროა, როგორც შინაარსის ისე ქრონოლოგიის მხრით (იხ. Dölger: BZ 31,23).

ცალკე დგას დუკას უნიატობის საკითხი.

რომ დუკას „თავამოდებული“ მართლმადიდებლები კი არ ეზიზღება, არამედ ებრალება, ეს კარგად ჩანს მისი თხზულების ერთი ადგილიდან: «დაკეტეს კარები საკეტებით,—წერს იგი აია სოფიაში თავმოყრილ ქრისტიანების შესახებ,—იღგენ და ელოდნენ ხსნას. ოი, უბედურნო რომაელნო; ოი, საცოდავნო! ეკლესიას, რომელსაც გუშინ და გუშინწინ თქვენ ეძახდით მწვალებელთა ქებასა და სამსხვერპლოს და რომლის შიგნით არც ერთი თქვენგანი არ შედიოდა რომ არ წაბილწულიყო იმიტომ, რომ შიგნით წირავდნენ

უნიის მომხრენი. ახლა, ღვთის რისხვის გამოჩენის გამო, თქვენ მასში თავისგადამრჩენ საშუალებას ეძებთ. მაგრამ, როცა მოვიდა სამართლიანი ღვთის რისხვა, თქვენი გულები მაინც ვერ აღძრა შესარიგებლად. ვინაიდან იმ დიდ საშიშროების დროსაც კი ანგელოზიც რომ ჩამოფრენილიყო ციდან და ეკითხა თქვენთვის: «თუ მიიღებთ უნიას და ეკლესიების მშვიდობიან მდგომარეობას, მე გავრეკავ შტრებს ქალაქიდანო», თქვენ, ალბათ, არ დასთანხმდებოდით, რომ გესურვებინათ შერიგება, შეიძლებოდა შერიგება. ეს იცოდა მათ, რომლებიც რამდენიმე დღის წინ ამბობდნენ: «უმჯობესია თურქების ხელში ჩავცვივდეთ, ვიდრე ფრანგების ხელშიო» (XXXIX, 290_გ).

ძველი შეხედულებით დუკა ითვლება პროლათინური ორიენტაციის ისტორიკოსად:

1) პ. დ. პოგოდინის აზრით¹ დუკას უნიატური პოზიცია გამოწვეული იყო იმით, რომ ის მტრულად იყო განწყობილი ბიზანტიისადმი და დასავლეთს სწყალობდა. ე. ჩერნოუსოვი კი ფიქრობს², რომ დუკა დასავლეთის ორიენტაციისა სრულიადაც არ ყოფილა, ხოლო მისი მომხრეობა რომთან უნიისა იმით იყო გამოწვეული, რომ ის დიდი პატრიოტი იყო და ეს პატრიოტიზმი უკარნახებდა მას რომთან უნიის გზით ეხსნა დაღუპვის გზაზე შემდგარი ბიზანტია.

2) დღეს უფრო მეტად გაზიარებულია ის აზრი, რომ დუკა უნიის მომხრე იყო, ხოლო პოლიტიკური მოსაზრებებით³.

3) ამავე დროს ზოგიერთები პროლათინური ორიენტაციის ისტორიკოსად თვლიან, განსაკუთრებით საბჭოთა ბიზანტინისტები.

ს. კრასავინას დასკვნით, თუმცა დუკა გულახდილად გამოხატავს თავის პროლათინურ პოზიციას, მაგრამ ის სფრანძესზე არანაკლები პატრიოტია და მართლმადიდებელი. უნიამ ვერ გადაარჩინა ბიზანტია: ეს მოხდა იმიტომ, რომ უნიამ დიდი განხეთქილება შემოიტანა კონსტანტინეპოლში და ამით შეასუსტა ქალაქის დამცველთა ძალები. ბიზანტიის კრიტიკულ მდგომარეობაში (თურქები ქალაქის კედლებს ემუქრებოდნენ უკვე) უნია მას (და სფრანძესსაც)

¹ П. Д. Погодин, Обзор источников по истории осады и взятия Византии турками в 1453 г.: ЖМНП, 1889 авг.

² Е. Черноусов, Дука, один из историков конца Византии: ВВр. XXI (1914), 216—220.

³ V. Grecu: Archives de l'Orient Chr. I. Bucarest 1946, 137—138.

მიიჩნდათ დასავლეთიდან სამხედრო დახმარების მიღების საშუალებად¹.

დუკა თავის „ისტორიაში“, სახელდობრ 21. თავში დაწვრილებით აგვიწერს 1416—1418 წლების აჯანყებას ბერკლიჯი-მუსტაფას მეთაურობით.

მართალია, დუკა არ გვიჩვენებს ამ აჯანყების მიზეზებს, მაგრამ, საფიქრებელია, რომ აჯანყების ერთი მთავარი მიზეზთაგანი იყო გადასახადებისა და საგლეხო ბეგარების გაზრდა, რასაც ადგილი ჰქონდა მის შემდეგ. რაც მცირე აზიაში (კერძოდ, მცირე აზიის იონიაში) დამკვიდრდა მუჰამედი (Ducae Historia Byzantina: PG 157, 889—892).

დაახლოებით ასევეა გადმოცემული ამ აჯანყების ამბავი სფრანძის სახელით მოღწეულ Chronicon Mains-ში (PG 156, 709).

* * *

დუკას „ისტორია“ მოღწეულია ორი ხელნაწერით: P (=Parisinus gr. 1310, XV საუკუნისა) და F (=Parisinus gr. 1766, XVII საუკუნისა). დადასტურებულია, რომ F არის გადმოწერილი P ნუსხიდან (იხ. Moravcsik: BZ 29 [1929], 289, გუსტავ სოიტერის წიგნის „Byz. Geschichtsschreiber und Chronisten“ რეცენზიაში).

ლიტერატურა

Ducae Michaelis Ducae nepotis historia Byzantina, rec. I. Bekkerus: Bonnae 1834 (განმეორებულია: PG 157).

Ducae Historia Turco-byzantina (1341—1462), ex recensione Basilii Gressu. 1958.

А. С. Степанова, Византийские историки Дука и Франдзи о падении Константинополя: ВВр. VI (1953), 385—410 (Дука: гл. 35—40; 42).

Е. Черноусов, Дука, один из историков конца Византии: ВВр. 21 (1914), 171—221.

Gu. Moravcsik: Byz. Zeitschrift 29 (1929), 289.

Gu. Moravcsik, Byzantinoturcica² I (1953), 247—251.

Fr. Dölger, Johannes VII, Kaiser der Rhomäer 1390—1408: BZ 31, (1931), 21—36. (ბევრგან არის მოცემული დუკას შეფასება როგორც საისტორიო წყაროს).

¹ С. К. Красавина, Дука и Сфрандзи об унии православной и католической церкви: ВВр. XXVII (1967), 149. ს. კ. კრასავინას (ყაზანი) დამზადებული აქვს დუკას „ისტორიის“ თარგმანი კომენტარებითა და ნარკვევით. იხ. ВВр. XXVIII (1968), გვ. 14.

თურქთა თარეში. სკვითები და აბაზგები

VIII. Οί δὲ Τοῦρκοι¹ τὸ πολε-
μεῖν ἀφέντες τὸ σκυλευεῖν τὰς κώ-
μας κατέτρεχον, καὶ δὴ ὀρμαθὸς
ἀναρμήτους ἔξ ἄλυσσων ἀνθρῶ-
πους συμπλέξαντες εἰς τὴν Κων-
σταντίνου ἀνδρᾶς τε καὶ γυναῖ-

ბრძოლის დამთავრების შემ-
დეგ, თურქები საძარცვავად შე-
ესივნენ დასახლებულ ადგილებს
და დაუსრულებელ ნაკადად მიე-
დინებოდნენ კონსტანტინეპოლში
შებოროკილნი და ერთმანეთზე გა-

¹ ეს ამბავი მოთხრობილი აქვს დუკას 1344 წლის ქვეშ. ნათქვამია, რომ თურ-
ქები ბრძოლის დაშთავრების შემდეგ (უმთავრესად მცირე აზიის დასავლეთ და
ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში) საძარცვავად შეესივნენ დასახლებულ ადგილებს და
აქ შეპყრობილ ტყვეებს, შებოროკილებს, აგზავნიდნენ კონსტანტინეპოლში გასასყიდად.
და აქ ჩვენი ავტორი, დუკა, ამბობს: «ცხვრებივით [მიერეკებოდნენ] გასასყიდად ისე,
როგორც სკვითებსა და აბაზგებსო» (δὲς Σκῦμας ἢ Ἀβασγῶσδ). ალბათ,
დუკას სიტყვები ასე უნდა გავიგოთ: თურქები ისევე ეპყრობოდნენ დამარცხებულ
და დამონებულ ბიზანტიელებს, როგორც სხვაგან და სხვა დროს ეპყრობოდნენ სკვი-
ზემოთ (გვ. გვ. 49—73) დაბეჭდილია ტექსტის ტრადიციული ვარიანტი იმ. ბუკერის გამოცემით (Bonnae, 1838, გვ. გვ. 206—225), როდესაც ჯერ კიდევ გამორკვეული არ იყო Chronicon Minus-ისა და Chronicon Maius-ის ურთიერთობა. ქვემოთ ვებეჭავთ ცალკე Chronicon Minus-ს ვ. გრეკუს გამოცემით.

ჰქონდეს შუამავლის თანამდებობა: და ამას გეუბნები, რომ შენ მოგანიჭო ეს (თანამდებობა). მაგრამ შეუფერებელი იქნება, რომ ის გადავყენო უცბად; თუ ამას არ გადავდებთ მანამდე, სანამ ის თავისი სურვილით არ გადადგება. და მას ჰქონდეს კვლავ პირველობა მდგომარეობისა და ბჭობისა, ჯამაგირი სხვადასხვა ადგილიდან, რადგან საჭიროა მეც მყავდეს ორი მთავარი მრჩეველებად, როგორც ჰყავს ჩემს ძმას მეფეს, რათა ისინი იყვნენ ჩემთან მთელი დღის მანძილზე, სასახლეში და თვალყური ადევნონ წესიერებას და გააკეთონ აუცილებელი საქმეები, შეასრულონ სამეფოს სამსახური და გეგმები“.

და ასე ეუწყა დიდს ღუკას ჩემი მეშვეობით და მისი თანაშობილის, მღვდელმონაზონისა და სულიერი მამის ნეოფიტეს მეშვეობით, იმ ნეოფიტესი, რომელიც ხარსიანიტის მონასტერშია. ნოტარამ რომ შეიტყო ამ თანამდებობის შესახებ, კმაყოფილდარჩა, არ ვიცი—ხალისით თუ უნებურად.

¹ ὁωρήσω AB.

² τὰς ἀναγκαῖας δουλείας AB.

გიორგი სვრანძესის ელჩობა იბერიაში და ტრაპიზონში

XXX, 1. Ἦν γὰρ ἰδῆ τοῦ Ὀκτωβρίου μηνὸς τὸν αὐτοῦ ἔτους ἐστάλην ἐγὼ εἰς τε τὸν τῆς Ἰβηρίας μέγαν, ἡγουν βασιλέα Γεώργιον, καὶ τὸν βασιλέα Τραπεζούντος κύρ Ἰωάννην τὸν Κομνηνὸν μετὰ χαρίτων ἀξιολόγων¹ καὶ παρασκευῆς ὅτι πολλῆς καὶ καλῆς, μετὰ ἀρχοντοπούλων καὶ στρατιωτῶν καὶ ἱερομονάχων καὶ ψαλτῶν καὶ ἰατρῶν καὶ τεχνιτῶν κρατούντων καὶ ὄργανον οἶ καὶ ἡκουον ὄνομα μὲν αὐτό, τί δὲ ἔστιν, οὐκ εἶδον καὶ ἐπιθυμοῦσαν ἰδεῖν καὶ ἀκοῦσαι οἱ Ἰβηρες². Καὶ διὰ τοῦτο καὶ συνέτρεχον ἐκ τῶν περάτων αὐτῆς δὴ τῆς Ἰβηρίας, ἵνα ἀκούσωσιν αὐτοῦ.

2. Ἀπῆλθον δὲ διὰ συμπεθερίον³, ὅπου ἄρα με φανῆ⁴ ἐκ τῶν δύο γενῶν. Ἐδέησεν⁵ οὖν, ἵνα διὰ τὸ ἀναίτιόν μου πλέον δηλώσω τῷ αὐθέντῃ μου τῷ βασιλεῖ τὰ κατὰ ἀμφοτέρων τῶν μερῶν καὶ τὰ ἐναντία· καὶ πάλιν, ὡσάν ὀρίσει. Καὶ ἔστειλα γραφὰς μετὰ ἀνθρώπων, καὶ πάλιν ἄλλους ὁ αὐθέντης μου ἀπολογησάμενος· καὶ ἐρχόμενος περὶ

1. იმავე წლის ოქტომბრის თვით თოთხმეტ რიცხვში გაგზავნილ ვიქმენ იბერიის მეფესთან, სახელდობრ, გიორგი მეფესთან და ტრაპიზუნტის მეფესთან ბატონ იოანე კომნენოსთან მნიშვნელოვანი საჩუქრებით და დიდი და კარგი ძღვენით; თან მასლდნენ წარჩინებულები და მხედრები, ბერმონაზონები და მგალობელნი, და ექიმები და ოსტატები ორღანოზე დაკვრისა. მათ სმენიათ სახელი, ხოლო თუ რა არის, არც უნახავთ და არც სმენიათ იბერებს, და ამიტომაც იყო რომ მოიბრძინეს იბერიის მხარეებიდან, რათა მოესმინათ ის.

2. წავედი დამძახლების მიზნით, თუ იმ ორი ოჯახიდან რომელს უფრო მოვიწონებდი. საჭირო იყო, რათა მე აღარაფერი დამბრალებოდა, მეცნობებინა ჩემი ბატონისთვის, მეფისათვის, ორივე მხარის სიკეთე და საწინააღმდეგო (ავი და კარგი) და კვლავ, როგორც ის განსახლავდა. და ვუგზავნიდი წერილებს კაცების ხელით, და კვლავ

¹ χαρισμάτων αξιοπαίων V(all.).

² Ἰβηροι V.

³ συμπεθερίον V, συμπενθερου συμπεθερίου O(tob.), συμπενθεριαν f(ranzius).

⁴ με φανῆ O, μοι φανήσεται V.

⁵ ἐδέησεν O, ἔδει V.

τὴν Ἀμισὸν ἐναυάγησαν¹. Καὶ
ξῶς οὗ νὰ μάθῃ τοῦτο ἔ ἀμφέν-
της μου ἔ βασιλεύς νὰ² στείλῃ
ἄλλους, διεβίβασα εἰς τὰ μέρη
ἐκεῖνα χρόνους β' παρὰ³ ἡμέ-
ρας λ'³.

3. Ἐθρῖσκομένου μου⁴ οὗν
ἐκείσε τῇ κγ⁷ Μαρτίου μηνός.
τοῦ αὐτοῦ ἔτους τέθνηκεν ἡ ἐν
μακαρίᾳ τῇ λήξει γενομένη ἀοιδί-
μος καὶ ἀγία δέσποινα, ἡ διὰ
τοῦ θείου καὶ ἀγγελικοῦ⁵ σχή-
ματος μετονομασθεῖσα Ὑπομονή
μοναχί· καὶ ἐτάφη εἰς τὴν μο-
νήν τοῦ Παντοκράτορος πλησίον
τοῦ μακαρίτου καὶ ἀοιδίμου βα-
σιλέως καὶ ἀνδρὸς αὐτῆς.

4. Καὶ τὸν Φεβρουάριον τοῦ
γθ⁸ ἔτους ἀπέθανεν ἔ ἀμηράς
ἔ Μουράτης. Καὶ τοῦτο οὐκ ἀκού-
σαντός μου εἰς τὴν Ἰβηρίαν⁶,
ὥς ἴκλιθον εἰς τὴν Τραπεζοῦντα
λέγει μοι ἔ βασιλεύς· „Ἄρχον
ἀποκρισιάρη⁷, νὰ σε⁸ εἴπωμεν
καλὰ μαντάτα, μόνον νὰ μᾶς

სხვებს ჩემი ბატონი (ჰიგზავნიდა)
თავისი პასუხით. რომ მიველით
ამისოს მახლობლად, ხომალდი
დაგვემსხვრა. და ვიდრე ამას შე-
იტყობდა ჩემი ბატონი მეფე, რა-
თა გამოეგზავნა სხვები, დავა-
ყოვნე იმ მხარეებში ორი წელი-
წადი 30-დღე ნაკლებ².

3. იქ რომ ვიყავი შე, იმავე
წლის მარტის თვის ოცდასამ
რიცხვში გარდაიცვალა ნეტარი
სიკვდილით სახელოვანი და წმინ-
და დედოფალი, რომელსაც ღვთი-
ური და ანგელოზებრივი სქიმის
გამო გადარქმეული ჰქონდა სა-
ხელი და ეწოდებოდა ჰიპომონე
მონაზონი; და დაიმარხა იგი პან-
ტოკრატორის მონასტერში, მახ-
ლობლად თავისი მეუღლის ნე-
ტარი და სახელოვანი მეფისა.

4. და 59 (ე. ა. 6959) წლის
თებერვლის თვეში გარდაიცვალა
ამირა მურატი. და ეს მე არ
მსმენია იბერიაში ყოფნის დროს
და, როგორც კი ტრაპეზუნტში
მივედი, მეფემ მითხრა: „უფალო
ელჩო, უნდა ვითხრათ კარგი
ამბები, ხოლო უნდა მოგცე შენ

¹ ἐναυάγησαν OT(aurin.), ἀρμένισα V (ἀρμενιζα „აფრებს ვაფრიალებდი“).

² ამ ადგილის შესახებ იხ. ზემოთ გვ. 48.

³ ἵνα ἀποστείλῃ ἀνθρώπους διεβίβασα ἐν τοῖς μέρεσιν ἐκεῖνοισ ἐτη δύο καὶ ἡμέρας τριάκοντα V.

⁴ ἐθρῖσκομένου] ὄντος V.

⁵ εὐαγγελικοῦ V.

⁶ οὐκ — Ἰβηρίαν OT, ἀκούσας ἐγὼ ἐν τῇ Ἰβηρίᾳ ἐθρῖσκομένος V.

⁷ ἀποκρισιάρη OT, ἀποκρισιάρη V.

⁸ νὰ σε — Καί! OT, εἴπωμέν σοι καὶ καλὰς ἀγγελίας, εἰ μὴ δῶρον χαρᾶς.

δύσσης τὰ συγχαρίαια“¹. Καὶ ἀναστὰς προσεκύνησα εἰπὼν· „Νὰ ποιήσῃ ὁ θεὸς πολυχρόνιον τὴν βασιλείαν σου, ὅπου² πᾶσι τρόποις εὐεργετεῖς ἡμῖν καὶ θέλεις εὐεργετήσῃς καὶ νῦν τὰ καλὰ μαντάτα. Ἀμὴ ἡμεῖς τί ἄξιον ἔχομεν νὰ ἀποδώσωμεν τῇ βασιλείᾳ σου“. Καὶ λέγει μοι τὸν θάνατον τοῦ ἀμηρᾶ καὶ ὅτι ἐγένετο καὶ ὁ υἱὸς αὐτοῦ ἀνθέντης καὶ δέδωκε πολλὰ τὸν βασιλέα καὶ ἔοπερξεν, ἵνα ἔχῃ καὶ τὴν ἀγάπην, ἣν μετὰ τοῦ πατρὸς του εἶχε τὸ ὁσπίτιον ἐκεῖνο.

5. Καὶ ἀκούσας τοῦτο ἐγενόμην ἄφρονος καὶ οὕτως ὀδυνηθεὶς, ὥσπερ νὰ μὲ ἔλεγεν θάνατον τῶν ἐμῶν φιλιτάτων καὶ μέχρι τινὸς καταφιάσας λέγω· „Δέσποτά μου, τοῦτο οὐ χαριέν μαντάτον, ἀλλὰ καὶ ὀδυρόν ἴκων“. „Καὶ λέγει· „Πῶς καλῆ“. Καὶ εἶπον· „Διότι ἐκείνος ἦν γέρων καὶ τὸ κατὰ τῆς Πόλεως ἀπειρασθη αὐτῷ καὶ πλέον οὐδὲν ἤθελεν ἐπιχειρισθεῖν τοιοῦτόν τι, ἀλλ’ ἤθελε μόνον τὴν ἀγάπην καὶ εἰρήγην· ἀμὴ οὕτως, ὅπου ἐγένετο νῦν ἀνθέντης, ἔτι νέος καὶ παιδιόθεν ἐχθρὸς τῶν Χριστιαν-

მოსალოცი საჩუქრები“. მეც აღდექი, თაყვანი ვეცი მას და ვუთხარი: „ღმერთმა გიმრავალყამიეროს სამეფო შენ, რომელიც ყოველნაირად გვწყალობ ჰვენ და გვსურს გვწყალობდე ახლაც კარგი ამბებით, მაგრამ ჰვენ არაფერი გვაქვს ღირსეული, რომ შენ მეუფებას მოვუძღვნათ“, და მან გადმომცა ამირას სიკვდილის ამბავი და რომ მისი ვაჟი გახდა ბატონი და მისცა მეფეს მრავალი საჩუქარი და მოუსიყვარულა, რათა მასაც ჰქონდეს ის სიყვარული, რომელიც ჰემს მამასთან ჰქონდა შენს სახლს და ოჯახსო.

5. ეს რომ მოვისმინე, უბმო გავხდი და იმნაირად დავწუხბრიდი, თითქოს ჰემთვის ეთქვას ჰემი უსაყვარლესი ადამიანების სიკვდილის შესახებ; და ერთგვარად დაღონებულმა ვუთხარი: „ჰემო ბატონო, ეს სასიყვარულო ამბავი კი არ არის, არამედ ძალიან სამწუხარო“. „როგორ, ჰემო კარგო“ მითხრა მან, მეც მივუგე: „იმიტომ რომ ის მოხუცი იყო და კონსტანტინეპოლის წინააღმდეგ მას ბევრჯერ უცდია და არ უსურვებია ხელყოფა მისი რითივე, არამედ სურდა მხოლოდ სიყვარული და მშვიდობა; მაგრამ

¹ τὰ συγχαρίαια ჰორველად ნახმარი აქვს თეოფანეს (Chron. 335,11: ὁ βασιλεὺς τῶν Ἰνδῶν πέμπει συγχαρίαια τῷ Ἡρακλείῳ ἐπὶ τῇ τῶν Περσῶν νίκῃ „ინდთა მფეე უგზავნის ირაკლის მოსალოცი საჩუქრებს სპარსელებზე გამარჯვების გამო“).

² ὅπου ხალხურ ენაშო იგივეა, რაც 85.

νων¹, νὰ νβρίξῃ καὶ νὰ ἐπαπει-
λῆται, ὅτι θέλει ποιῆσαι τὰ καὶ
τὰ κατὰ τῶν Χριστιανῶν.

6. Καὶ ἡ Πόλις, ἡπερ¹ ἄλλο-
τε ἔνι ἀπὸ τὴν ἀσθενείαν τοῦ
ἀσθεντός μου τοῦ βασιλέως, τοῦ
γαμβροῦ σου, ἡπορημένη καὶ
χρῆος εἰς τὰ εἰσοδήματα³ ἐκεί-
νης πολὺ καὶ ἀπορία εἰς πάντα.
Καὶ ὁ ἀσθεντής μου ὁ βασιλεὺς
νέος ἀσθεντής καὶ θέλει καιρὸν
εἰρηναῖον, νὰ ἐξοικονομήσῃ⁴ τὰ
ἐκείνης· καὶ ἂν παραχωρήσῃ ὁ
θεὸς νὰ νικηθῇ ἀπὸ τῆς νεότη-
τος αὐτοῦ καὶ κακίας καὶ νὰ
ἐρμύσῃ κατὰ τῆς Πόλεως, οὐκ
οἶδα, τί νὰ γένηται; Ναί, ἂν
εἶχεν εὐδοκῆσαι ὁ θεὸς, νὰ ἀπέ-
θνησκεν οὗτος, ὁ υἱὸς αὐτοῦ,
ἰδοὺ εὐφρόσυνος κατὰ ἀλήθειαν
ἀγγελία, ἐπεὶ ἄλλον οὐκ εἶχε
καὶ ἀπὸ τῆς λύπης ἦθελε γενεῖν
καὶ ἀσθενέστερος καὶ ὀλιγοχρο-
νιώτερος· καὶ μέσον τούτου ἦθε-
λεν ἀναβῆσθαι καὶ τὸ ὀσπί-
τιον ἐκείνο καὶ, ἀποθανόντος ἐκεί-
νου, ἦθελεν ὑπάγειν εἰς προτί-
ρησιν μεγάλην“. Καὶ λέγει μοι:
„Ὅν ἦσαι καὶ τῶν φρονίμων καὶ
τῶν πρώτων ἀρχόντων τοῦ ὀσπί-

ეს, რომელიც ახლა ბატონი გახ-
და, ახალგაზრდაა და ბავშვობი-
დანვე მტერაა ქრისტიანებისა,
თავგასულია და იმუქრება, რომ
სურს იმოქმედოს ქრისტიანების
წინააღმდეგ.

6. და კონსტანტინეპოლი, ასე
ვთქვათ სხვა მხრით, ჩემი ბატო-
ნის, მეფის, შენი სიძის ავადმყო-
ფობის გამო, დიდ გაჭირებაში
იყო მის შემოსავალთა მხრით და
ყველაფერში ნაკლებობას განიც-
დიდა და ჩემი ბატონი მეფე ახა-
ლი ბატონია და სურს მშვიდო-
ბიანი ღრო, რათა მისი საქმეები
მოაგვაროს; და თუ ღმერთი გა-
დაგვიდგება, რათა იგი (ახალ-
გაზრდა მეფე) მისი სიახალგაზრ-
დავის და სიბოროტის მიერ და-
მარცხებული იქნება და კონსტან-
ტინეპოლის წინააღმდეგ გამო-
ემართება, არ ვიცი, რა დაგვე-
მართება. ჭეშმარიტად, კეთილ-
მზრახველი იქნებოდა ღმერთი,
რომ გარდაცვლილიყო ეს, მისი
ვაჟი, და ჭეშმარიტად კეთილგო-
ნიერი იქნებოდა ცნობა (ამის
გარდაცვალების შესახებ), რად-
გან სხვა ვაჟი მას არ ჰყავდა და
მწუხარებისაგან დასნეულდებოდა
და სიცოცხლე შეუშოკლდებოდა;
და ამასობაში დასუსტდებოდა
მთელი ის სახლი (ოჯახი) და მისი

¹ ἐχθρός τῶν Χριστιανῶν OT, ἦν χριστιανομάχος καὶ V.

² ἡπερ OT, εἶπερ V.

³ სიტყვების შესახებ εἰσοδήματα, ἐξοικονομῆσιν იხ. ჩვენი შენიშვნები ზემოთ
გვ. 56.

⁴ ἐξοικονομῆσιν OT, οἰκονομῆσιν V.

τίσιν ἐκείνου καὶ θέλεις γινώσκω
καὶ εἰς τὰ τοιαῦτα καλίω· ὅμως
ὁ θεὸς δυνατὸς ἐστὶν γὰρ τὸ ποιήσῃ
διὰ καλόν“. Καὶ εἶπον· „Οὕτως
ἐστὶν, ὡς ὀρίζεις“. Καὶ ἀπέμεινεν
εἰς ἕκαινον (V. Grecu 74—78).
ძლიერა, რომ გააკეთოს კარგად“ და მე ვუთხარი: „სწორედ ეგრეა,
როგორც შენ განსაზღვრავ. ამით დამთავრდა საუბარი (?)“.

XXXI, 1. Ἐγὼ δὲ ὡς ἤκουσα
τοῦτο καὶ ὅτι ἡ γυνὴ τοῦ
ἀμνηᾶ, ἡ θυγάτηρ δεσπότηου
Σερβίας, ἐντίμως καὶ καλῶς ἐπα-
νέστρεψεν εἰς τοὺς γονεῖς αὐτῆς,
ἐπεὶ ἐγὼ ἔμελλον μείναι εἰς τὴν
Τραπεζοῦντα διὰ αἰτία πολλά,
πλεῖσιμον δὲ ἀπερχόμενον εἰς
τὴν Πόλιν, ἔστειλλον καὶ ἄλογα
καὶ παιδία δύο, ἅτινα ὁ βασιλεὺς
Ἰβηρίας ἀπελθὼν περὶ τὸ Σαμα-
χίν¹ ἐκρούσεισε² καὶ ἔστειλέ μοι
χάριν, καὶ ἄλλα τινά, ἃ καὶ
ἐχαρίσθημεν καὶ ἐκτησάμεθα ἄλ-
λοτρόπως· καθίστας ἔγραψα πρὸς
τὸν ἀσθέντην μου τὸν βασιλέα,
ὅσα καὶ εἰς τὴν Ἰβηρίαν ἐπραξα
καὶ ὅσα εἰς τὴν Τραπεζοῦντα
ὑποπτεύω, ὅτι μέλλω πράξειν,
καὶ τὴν αἰτίαν τῆς ἐκείσε προ-
σημονῆς.

2. Ἐγραψα καὶ ἐτέραν ἀνα-
φορὰν, περὶ ὧν μέλλω δηλώσειν·
καὶ ὁσὺς τὰς γραφὰς ἐνὶ τῶν
συν ἔμοι ἀρχοντοπούλων ἔστειλα
αὐτὸν παραγγείλας ὅτι „τὴν μὲν
μίαν δὲ τῇ ἀσθέντῃ ἡμῶν βασι-

გარდაცვალების შემდეგ დიდ პა-
ტივისცემაში გადავიდოდა. და
მან მითხრა: „შენ ხარ იმ ოჯა-
ხის. გონიერ და პირველ მთავარ-
თავანი და შენ საუკეთესოდ იცი-
ეს ამბები, მაგრამ ღმერთი შემ-
დამთავრდა საუბარი (?)“.

XXXI, 1. ხოლო მე როცა შე-
ვიტყე ეს და რომ ამირას ცოლი,
სერბიის ბატონის ასული, დიდის
პატივითდა კარგად დაბრუნდა თა-
ვის მშობლებთან, დავაპირე დავრ-
ჩენილიყავ ტრაპეზუნტში მრავა-
ლი მიზეზის გამო; ვიშოვე კონს-
ტანტინეპოლში მიმავალი ხომალ-
დი და ვავგზავნე ცხენები და ორი
მონა, რომლებიც იბერიის მეფე
შემახისის დარბევისას მოიძოვა
და მე გამომიგზავნა საჩუქრად,
და სხვა რამეებიც, რაც ჩვენ სა-
ჩუქრად მივიღეთ და შევიძინეთ
სხვა გზით; დავჯექი და მივწერე
ჩემს ბატონს, მეფეს, რაც იბე-
რიაში მოვიღვაწე და რასაც ტრა-
პიზონში ვაპირებდი, რომ გამე-
კეთებინა, და შევატყობინე ჩემი
იქ დაყოვნების მიზეზიც.

2. მოვწერე მეორე მოხსენე-
ბაც იმის შესახებ, თუ რის შე-
ტყობინებას ვაპირებდი; წერი-
ლები მივეცი ერთს ჩემთან მყოფ
ჭაბუკ-მსახურთავანს, გავუგზავნე
და დავავალე, რომ „ერთი წერი-

¹ Σαμαχὴν ΟΤΥ.

² ἐκρούσεισε ΟΤΥ: ἐκούσεισε?

λει, ὡσὺν προσκυνήσις ἀπὸ τῆς
καὶ διὰ στόματος πάντα κατ’
ἡμᾶς ἀνάφερε· ἐπὶ δὲ τὴν ἀῦριον
ὁδὸς τὴν ἑτέραν“.

3. Ἐγραφε δὲ οὕτως: „Ἐγὼ
ἔμαθον τὸν θάνατον τοῦ ἀμηνᾶ,
φθῶσας ἐνταῦθα εἰς τὴν Τραπε-
ζοῦντα, παρὰ τοῦ βασιλέως· ἔμα-
θον καὶ τῆς ἐξαθελφῆς ἀπὸ τοῦ
τῆς ἀμηνῆσας ἐπαναστροφῆς εἰς
τὴν πατρίδα καὶ τοὺς γονεῖς
αὐτῆς. Λοιπὸν συλλογισάμενος,
φαίνεται μοι κάλλιον καὶ ωφέλι-
μον εἰς πολλὰ τὸ ἐκείνης, ἢ τὸ
εὐργῆς γὰρ τὸ πράξις παρὰ τὰ
ἐνταῦθα.

4. Ἦέσσω γὰρ μόνον εὐρίσ-
κω τὰ προσιστάμενα· τὸ ἔλαττον
τοῦ γένους, τῆς ἐκκλησίας διὰ
τὴν συγγένειαν, τὸ ὅτι εἶχε
ἄνδρα καὶ ὁὐ ὅτι ἐν χρόνῳ
πλείονος καὶ ἐν λογισμῶς, μήπο-
τε ἐλθόντος καιροῦ τοῦ τεκεῖν
παιδίον κινδυνέσῃ, ὡς οἱ φυσι-
κοὶ γράφουσιν, ὅτι ὡς ἐπὶ τὸ
πλείστον ἐπισυμβαίνει.

8. Ἀποσωθέντων οὖν τῶν
γραμματοκομιστῶν ἐν τῇ Πόλει
τῇ κατ’ ἡμᾶς Μαΐου, τοῦ δὲ βασι-
λέως ὄντος εἰς χοιροκυνήγιον, ὡς
ἐλάληθη, ὅτι ἦλθον οἱ εἰς τὴν
Ἰβηρίαν, σχολάσας ἦλθεν οἰχο-
μεν, χαίρων διὰ τὴν τῆς Σερ-

ლი მიეცი ჩვენს ბატონ მეფეს,
როდესაც მას ეთაყვანები, და სა-
კუთარი პირით მოახსენე ყველა-
ფერი ჩვენი ამბავი, ხოლო მეორე
წერილი გადაეცი მეორე დღეს-
მეთქი“.

3. ის სწერდა ასე: „მე შევი-
ტყე ამირას სიკვდილი, აქ რომ
ჩამოვედი ტრაპიზუნტში, მეფი-
საგან; შევიტყე აგრეთვე მისი
(ე. ი. მეფის) დისწულისაგან ამი-
რისას დაბრუნების შესახებ მის
სამშობლოში თავის მშობლებ-
თან. სხვათა შორის ვიფიქრე და-
იმ დასკვნას დავადექი, რომ უმჯო-
ბესად და სასარგებლოდ მეჩვენ-
ება ყოველნაირად, თუ შესაძ-
ლებლად დაინახავ, აქედან შეარ-
ჩიო (საცოლე?).

4. მხოლოდ ოთხ დაბრკოლე-
ბას ვპოულობ მე; დაბალი გვა-
რიშვილობა, ეკლესიისაგან დაბრ-
კოლება ნათესაობის გამო, ის,
რომ ჰყავდა ქმარი და მეოთხე-
ის, რომ დრო-გადასულია და სა-
ფიქრებელია, მშობიარობის დრო
რომ დადგება, ბავშვი ხიფათში
ჩავარდება; როგორც ფიზიკოსები
სწერენ, ეს უმეტეს წილად ასე
ხდება.

როდესაც წერილების მიმ-
ტანნი დაბრუნდნენ კონსტანტი-
ნეპოლში მისის ოცდარვას, ხო-
ლო მეფე ტახტზე სანადიროდ იყო
გასული, როგორც კი ითქვა,
მოვიდნენ იბერიაში რომ იყვნენ
ისინიო, მეფემ ნადირობას თავი

βίαις δουλείαις, ὡς παρακατωτων ὁ λόγος δηλώσει (V. Grecu, 78 – 80).

XXXII, 1. Καὶ ἐγὼ τῇ 15^ῃ τοῦ Σεπτεβρίου μηνὸς τοῦ 1905^{ου} εἰς τὴν Πόλιν ἀπέσωσα μετὰ τοῦ καραβίου τοῦ καλοῦ Ἀντωνίου Πίτξου τοῦ καὶ ὑστερον μαρτυρήσαντος ὑπὲρ τῆς εἰς Χριστὸν πίστεως αὐτοῦ, τελέσας τῇ μᾶλλον πλέον βεβαιώσας τὸ τῆς Ἰβηρίας συνοικέσιον εἰδὼς τὰ τῆς Τραπεζούντος ἐλάττονα πολλῶ πλέον ἐκείνων.

2. Βιπέ μοι γὰρ ὁ βασιλεὺς τῆς Ἰβηρίας, ὅτι „ἐφ’ ἡμῖν τοῦτο οὐκ ἔστι σύνηθες ὅτι νὰ δίδωσιν αἱ γυναῖκες χρήματα τοῖς μέλλοντας λαβεῖν ἄνδρας, ἀλλ’ οἱ ἄνδρες τὰς γυναῖκας, ὡς καὶ σὺ μαθεῖν² ἤθελες³ ἐνταῦθα. Διὰ τοῦτο ποιῶμεν μετ’ αὐτοῦ καὶ ἀσυμβουλεύσεως ἀπὸ τοῦς ἑμοῦς καὶ δίδω τὴν θυγατέραν μου κνευ τῶν φορεμάτων καὶ σκευῶν τῶν εἰς ὑπηρεσίαν αὐτῆς φλωρία⁴ χιλιάδας λς’ καὶ νὰ ἔχη καὶ κατ’ ἔτος χιλιάδας γ’ διὰ τὸ νὰ δῶναι εἰς τὰς ἐκκλησίας

დაანება და შინ მოვიდა: უხარო-ლა სერბიის საქმის გამო, როგორც ამას ქვემოთ სიტყვა ნათელჰყოფს.

XXXII, 1. [69] 60 წლის სექტემბრის თვის 14-ს დავბრუნდი კონსტანტინებოლში იმ ხომალდიან, რომელიც ეკუთვნოდა კარგ კაცს ანტონი როძოსს, ქრისტეს სარწმუნოებისათვის რომ იქმნა წამებული შემდეგ ხანებში; მე დავასრულე*ან, უკეთ რომ ვთქვა, უკვე განვამტკიცე იბერიის ქორწინების საქმე, რადგან ვიცოდი, რომ ტრაპიზონის ქორწინება ბევრად უფრო მდარე იქნებოდა იბერიისაზე.

2. იბერიის მეფემ მითხრა მე, რომ „ჩვენში არ არის მიღებული, რომ ქალებმა ფული (მზითვეი) მისცენ მამაკაცებს, რომელთაც უნდა მისთხოვდნენ, არამედ მამაკაცებმა ქალებს უნდა მისცენ, როგორც შენ აქვე დარწმუნდები. ამიტომ ამას ვაკეთებთ ჩვენ როგორც სამარცხვინოს და ჩვენებთანაც შეუთანხმებლად, და ვაძლევ ჩემს ასულს, გარდა ტანსაცმელისა და ჭურჭლისა მისი საჭიროებისათვის, 36 ათას ფლურს და ექნება კიდევ ყოველწლიურად სამი ათასი, რათა დაურთოს

¹ ანთონი: სპ. OT, 1452 V.

² მაθεῖν OT, μάθην V.

³ μαθεῖο ἤθελες — ახალი ბერძნულის გამოთქმა მყოფადის აღსანიშნავად (მსგავსად ვერძნულისა du willst cernen).

⁴ φλωρία] χρυσᾶ νοῦμια Maius.

και πτωχοῖς και ὅπου ἂν φανή-
ται αὐτῇ.

3. Σὺ δὲ ἀκούω, ὅτι ἔχεις
παιδία δύο· και τὸ ἀρσενικὸν
ἐβάρπυισέν το ὁ βασιλεὺς και ἔνι
ἐκείνου, τὸ δὲ θυγατρὸν νὰ ἔνι
ἀπὸ τῆν σήμερον τῆς θυγατρὸς
μου και νὰ οφείλῃ νὰ τὸ ὑπανθ-
ρεύσῃ, ὅπου ἂν σὺ κρίνῃς ἄξιον
και εὐρηγῇ μετὰ βίου ἰδικου¹ τῆς.

4. Ὅταν δὲ ἔλθῃς σὺν θειῶ
νὰ τῆν ἐπάρῃς, νὰ ἔχῃς παρ'
ἐμοῦ γομάρια τέσσαρα μετὰξω²
ἔνι δὲ ψιλὸν και, ἄς ἴκῃσιν, ἔχει
τὸ γομარი³ φλωρία³ πεντα-
κόσια“.

5. Ὡς οὖν πάντα τὰ τοῦ
ἀποκρισταρίου ἀπὸ μέρους ἀνέφε-
ρα, ἦλθον και εἰς τὸ τῆς Σερ-
βίας και ἰρώτησα μαθεῖν. Και
ἤρωςέ μοι οὕτως:

„Ἐγὼ θφείλω σοι πολλὰ διὰ
τῆν εἰς ἐμέ σου ἀγάπην παιδιό-
φθην και πίστιν και δουλοσύνην·
ἀλλὰ τοῦτο δὴ τὸ σὸν σήμερον
τὸ περὶ τῆς Σερβίας ἦν βεβαίω-
σις και ἐκσφράγισμα τῆς εἰς ἐμέ
σου ἀγάπης και δουλοσύνης, ὅπου

ეკლესიებსა და ლარბებს, რო-
გორც თვითონ საჭიროდ დაინა-
ხავს.

3. ხოლო მე ვაგებული მაქვს,
რომ ორი შვილი გყავს: ერთი—
ბიჭი, რომელიც მეფემ მონათლა
და ის მისია; ხოლო გოგო დღე-
ვანდელი დღიდან იქნება ჩემი
ასულისათვის და ის ვალდებუ-
ლია გაათხოვოს ის იმ მხარეში,
რომელსაც შენ ღირსეულად მი-
იჩნევ და ჩათვლი მისი საკუთარი
ცხოვრების შესაფერისად.

4. ხოლო როდესაც შენ მოხ-
ვალ, ღვთის შეწევნით, მისი (ე. ი.
ჩემი ასულის) წასაყვანად, მაშინ
ჩემგან გექნება ოთხი საპალნე
აბრეშუმში. ხოლო ის უბრალოა
და, როგორც გვსმენია, საპალნე
ხუთას ფლურად ფასობს.

5. ყველაფერი ეს, ელჩობის
ამბავი⁴, წვრილ-წვრილად მოვან-
სენე, მიველი სერბიის ამბავზე-
დაც და შევეკითხე ამის შესახებ.
და აი, მან მითხრა ასე:

„მე შენგან ბევრად დავალე-
ბული ვარ ბავშვობიდანვე სიყვა-
რულისა, ნდობისა და სამსახუ-
რის ვაწვევის გამო; მაგრამ ის,
რაც შენ ღღეს სერბიის შესახებ
ჰქმენ, იყო განმტკიცება და გა-
მოხატვა შენი ჩემდამი სიყვარუ-

¹ ἰδικου της OTV, ἰδικωτέρου f.

² γομάρην V; γομარი დ ი მ ო ტ ი კ ი, მას უღრის Maius-ში φορτία.

³ φλωρία, როგორც ხეშობაც იყო, უღრის διὰ χρυσῶν νομισμάτων (Maius).

⁴ ელჩობის ამბავი ამის მაგიერ Maius წერს: «ბერბიისა და ტრაპე-
ზუნტის ამბავი».

λέγω και εις ἐμὲ τοῦ νὰ χρεωστῶ
νὰ ἀνταμείβωμαι. Νὰ κοπιάσῃς
γὰρ τοσαῦτα και νὰ πασχίσῃς
και νὰ λίπῃς ἀπὸ τὸ ὀσπίτιόν¹
σου τοσοῦτον δὴ καιρὸν και νὰ
εὔρης, ὅσα εὔρες, και τοσαύτας
και τιαυτάς ἐπαγγελίας εὐεργε-
σιῶν και τιμῶν, ἐὰν μόνον τὸ
ἐκείνων τελέσῃς, σὺ δὲ νὰ προ-
κρίνῃς, τὸ ἐνόησας διὰ συμφέρον
πλέον ἐμόν, και νὰ με γράψῃς
και νὰ με βουλεύσεσαι, ἅπερ μοι
ἔγραψας, τοῦτο ἦν μέγα τι
ἐκμαρτύριον τῆς ἀληθιῆς σου
ἀγάπης εις ἐμὲ και δουλοσύνης
και πίστεως. Καὶ πληροφορήθητι
ἀληθῶς, ὅτι θέλεις ἔξειν και
παρ' ἐμοῦ ἀξίαν τὴν ἀντάμειψιν,
εἴπερ ἐν τοῖς ζῶσιν ἐνρίσκομαι.
როტად დარწმუნებული იყავი, რომ
ჩემგანაც გექნება ღირსეული-
ანაზღაურება, თუ ცოცხლებში ვიპოვები.

6. Τὸ περὶ τούτου οὖν παρ-
ηκολούθησεν οὕτως. Ὡς ἀπέθαι-
νεν ὁ ἀμηρᾶς και τὸ τῆς ψυχασ-
τῆρος ὁμοσπότου Σερβίας οὕτως πα-
ρηκολούθησεν, ἐλθούσα ἡ πρω-
τοστρατόρισα συνέτυχέ μοι περὶ
τούτου και πολλὰς δόσεις και
ἐπαγγελίας εις τὸ μέλλον ὠφε-
λίμους ἔταξεν, ἅπερ και ἐγὼ ἀπὸ
πολλῶν αἰτιῶν ἐνόμισα ἀπὸ
πολλὰ και καλὰ ἀληθῆ και συμ-
φέροντα. Ὅμως δὲ ἤθελε εις
τούτο και ἄλλων βουλήν και σκέ-

ლისა და მომსახურებისა; ამიტომ
მე ვამბობ, რომ ჩემ მიმართ შენ-
გან დავალებული ვარ და სამა-
გიეროს ღირსი ხარ. შენ ხომ
ამდენი იმრომე და დაითმინე
(გადიგანე), ამდენი დრო დაჰყავ
შენს სახლს (და ოჯახს) მოშორე-
ბული და ჰპოვებდი, რამდენიც
გინდოდა და, ამდენ და ასეთ
დაპირებებს გაძლევდნენ², თუ
მხოლოდ მათ შეუსრულებდი
(ქორწინების) საქმეს; ხოლო შენ
განსაჯე და არჩიე ის, რაც ჩემ-
თვის უფრო სასარგებლო იყო;
მომწერე კიდევ და მე მომწერე
მოსათათბირებლად, ეს იყო დიდი
რალაც მოწმობა შენი ჩემდამი
ჭეშმარიტი სიყვარულისა, მომსა-
ხურეობისა და ნდობისა. ჭეშმა-

6. ამის შესახებ ამრიგად წა-
რიმართა. როდესაც ვარდაიცივა-
ლა ამირა და სერბიის მბრძანებ-
ლის ასულის საქმე ეგრე წარი-
მართა, მოვიდა ჩემთან პროტო-
სტრატორისა ამის შესახებ მო-
სალაპარაკებლად, ბევრს საჩუქ-
რებსა და სასარგებლო დაპირე-
ბებს სამომავლოდ აღმითქვამდა,
რაც მე მრავალი მიზეზის გამო
ჩავთვალე ბევრნაირად როგორც
ნამდვილად კარგი და სასარგებ-
ლო. მაინც მან ისურვა ამის შე-

¹ ὀσπίτιον T, σπήτιον O, ὀσπίτη V.

² აქ იგულისხმებიან იბერიისა და ტრავნიზონის მბრძანებლები და მეფეები (იხ-
ზემოთ გვ. 68).

ψιν πῶς ἂν τυχένη γὰ γένηται,
ἵνα καὶ γένηται.

7. „Γίνα οὖν γὰ εὐβουλεύο-
μην¹; Ἡ κυρά μου ἦ δεσποινა
καὶ ἀπέθανεν· ὁ Καντακουζηνός,
ὁποῦ ὡς ἂν πολλῶ τῶν ἄλλων
ἀπροσπάθως ἐβουλεύετο, καὶ
ἐμοίως ἀπέθανεν· ὁ Νοταρχᾶς καὶ
πάντα τὰ ἄλλα, φανερώς καὶ
ἀφανῶς λέγει, ὅτι οὐδὲν ωφελοῦ-
σιν, εἰ μὴ μόνον τὸ ἐκείνου, καὶ
πάντα λίθον κινεῖ, ὡς ὁ λόγος,
ὡς καὶ σὺ καλλίω τῶν ἄλλων,
ἐπιστᾶσαι· ὁ μέγας δομέστικος
διάκειται ἐχθρῶδῶς εἰς τὰ τῆς
Σερβίας.

„Καὶ ἰδοὺ μετὰ Καντακουζη-
νὸν Ἰωάννην ἑμονοήσαντες ἀεὶ
παροτρύνουσί με εἰς τὸ τῆς Ἰρα-
πεζοῦντος. Ποῦ γὰ ἐκούμβιζον;
Εἰς καλογέρους²; Καὶ εἰσι τῶν
τοιούτων ἀπράγμονες. Εἰς ἀρχον-
τας; Καὶ τίνα γὰ εὐρισκον, ἀπρο-
σπάθῃ καὶ γὰ μηδὲν πρόσκειται
εἰς τι ἢ γὰ μηδὲν τὸ ἐξείπη
πρὸς τοὺς ἄλλους; Λοιπὸν ἔδει-
νοπάθουν εἰς τὴν σὴν βρατύτη-
ταν³.

8. Εὐλοῦσης δὲ τῆς γραφῆς
σου, ἰδοὺ καὶ σὲ καὶ τὴν γνώ-

სახებ სხვებთან თათბირი და მო-
ფიქრება, თუ როგორ აჯობებდა
მოქცევა, რათა საქმე მოგვარე-
ბულიყო.

7. ვისლა უნდა დავთათბირე-
ბოდი? ჩემი ქალბატონი დედო-
ფალი გარდაიცვალა; კანტაკუ-
ზენეც, რომელიც სხვებზე უფრო
მეტად მიუდგომლად სჯიდა,
აგრეთვე გარდაცვლილიყო; ნო-
ტარასი, ყველაფერ სხვასაც, და
ამასაც ცხადად და ფარულად
ამბობს, რომ ისინი არაფერს
შველიან, თუ არა მხოლოდ ის
თვითონ. „ყოველგვარ ქვას აამო-
ძრავებს“ როგორც იტყვიან, თუ
არა შენ სხვებზე უკეთ იცი; დი-
დი დომესტიკოსიც განწყობილია
მტრულად სერბიის საქმეთა მი-
მართ.

და, აი, ისინი იოანე კანტა-
კუზენთან ერთად ბჭობდნენ და
მუდამ მიჩიჩინებდნენ მე ტრაპე-
ზუნტის საქმის შესახებ, ვისთვის
მიმემართა? მონაზონებისათვის?
ასეთი საქმეები მათ არ ეხებოდა.
მთავრებისთვის? და ვინ უნდა
მეპოვა ისეთი დაუდევარი, რომ
არაფერი გულთან არ მიეტანა და
სხვებისთვის არაფერი გაემხილა?
ამრიგად, მე მძიმედ განვიცდიდი
შენს დაყოვნებას.

8. შენი წერილი რომ მოვი-
და, შევიტყე შენი ამბავი და შენ

¹ ἐβουλεύομην V.

² καλογερους ხალხურ ენაში ნიშნავს „მონაზონს“.

³ βραδυτητα OT, βραδυτητα V.

μην σου ξγνωχα. Καὶ τὰ εἶχομεν καὶ ἡμεῖς προσιστάμενα, φρονίμως καὶ λαλῶς ἔλυσας. Καὶ εὐθύς τὸν Παλαιολόγον ἔστειλα δι' ἄλλα μὲν τὸ φαινόμενον, ὡς ἀπὸ τῆς θείας του¹ δὲ τῆς πρωτοστρατορίας² εἶπη τοῦτο. Καὶ ἰδοὺ ἠκούσαμεν τὸ αἷτιον τοῦ κωλύματος καὶ ἐπαύσαμεν, Λοικὸν σὺν θεῷ ἄς³ τελέσωμεν τὸ τοῦ βασιλέως τῆς Ἰβηρίας.

9. Καὶ γεγονότος χρυσοβούλλου καὶ ἠπογραφέντος, ὅτι ἐκείνου μὲν ἡ θυγάτηρ νὰ ἔνι γυνη, αὐτοῦ καὶ δέσποινα τῆς Κωνσταντινουπόλεως οὗτος δὲ νὰ ἔνι ἀνήρ ἐκείνης εἰς τὰς συμφωνίας ἄς μετ' ἐμοῦ ἔστησεν ὁ βασιλεὺς Ἰβηρίας. Καὶ κληθεὶς ὁ αὐτὸς σταλαῖς μεθ' ἡμῶν ἐκείνου ἄρχων ἀπὸ τοὺς δευτέρους, ἔμπροσθεν αὐτοῦ ἐποίησεν ὁ βασιλεὺς καὶ ἀμφέντης μου οὐκαιοχείρας σταυροὺς τρεῖς μετὰ κινναβάρους εἰς τὸ ἄνωθεν μέτωπον⁴ τοῦ χρυσοβούλλου εἰς βεβαίωσιν, ὡς ἡ ἐκείνων συγῆθια. Καὶ λαβὼν τὸ χρυσοβούλλον ἀπὸ τῆς χειρας⁵

აზრი, და რაც გვექონდა ჩვენ წინათ ნავარაუდევნი, გონიერად და კარგად გადავიწყვეტია, და მე მაშინვე პალეოლოგოსი გავგზავნე სხვა საქმეების გამოც. და რათა თავისი დეიდისაგან, პროტოსტრატორისაგან ეს შეეცყო, და, აი, შევიტყეთ მიზეზი დაბრკოლებისა და თავი შევიკავეთ. ამრიგად, ღვთის შეწევნით, დავაბოლოვეთ იბერიის შეფესთან დანათესავების საქმეს.

9. და შედგა ოქრობეჭედი და ხელი იქნა მოწერილი, რომ იმის ასული ყოფილიყო მისი ცოლი და კონსტანტინეპოლის დედოფალი, ხოლო ეს ყოფილიყო მისი ქმარი, იმ შეთანხმებათა მიხედვით, რომლებიც ჩემთან დასდო იბერიის მეფემ. და როდესაც ის მიიხმეს, ჩვენთან ერთად გამოგზავნილი მისი მთავარი მეორე ხარისხისა და მეფემ და ჩემმა ბატონმა საკუთარი ხელით მის თანადასწრებით სამი ჯვარი დასხა სინგურით ოქრობეჭდის ზემოთა შუბლზე ნიშნად დამტკიცებისა, როგორც მათი ჩვეულება ამას მოითხოვდა. აილო ხრისობული მისი

¹ του „მისი“, „თავისი“, მსგავსად ახალი ბერძნულისა. Maius-ში მას უღრის ავტომ.

² πρωτορίας D.

³ ἄς მსგავსად ახალი ბერძნულისა.

⁴ μέτωπον+τοῦ χαρτίου, ἦτο V (ე. ო. ჯვრები დასხა ხრისობულის ქალაღის ზედა აშინზეთ).

⁵ ἀπὸ τῆς χειρας — ამას უღრის Maius-ში ἐπὶ τὰς χειρας („ხელში“); τῆς, აღმათ, შეცდომაა, უნდა იყოს τὰς, მაშინ ἀπὸ ბრალდებითი ბრუნვით იქნება მიზანტარტი სიახლე; მაგრამ რადგან ἀπό-ს ეკუთვნის ნათესაობითი ბრუნვა, შესაძ-

αὐτοῦ καὶ ἀκούσας „ἰδοὺ οὗτος“, δείξας ἐμέ, „ὄς σὺν θεῷ τὸ ἐρχόμενον ἔαρ ἔρχεται μετὰ κατέργῳν, ἵνα ἐπάρῃ αὐτῆν“, προσκυνήσας ἀπῆλθεν (V. Grecii, 82—86).

XXXIII, 1. Ἐπεὶ δὲ ἀπὸ τῆς ἀρχῆς τοῦ αὐτοῦ ἔτους ἐψιθυρίζετο ἔτι βούλεται ὁ ἀμηνᾶς ἐλθεῖν εἰς τὸ Στενὸν περὶ τὸν Ἀσώματον κτήσιν κάστρον, ἐβουλεύσατο ὁ βασιλεὺς, ἵνα εἰς τὸ Μορέαν ἀποστείλας φέρῃ, ἕνα τῶν ἀδελφῶν αὐτοῦ, ὃς ἔν καταδέξῃται τοῦτο καὶ τὰ συμπεφωνημένα στέρξῃ, ἵνα χρεῖας τυχὸν ἐπελιούσης, πρὸς τὰ Ἰδωσιν εἰς τὸν ἀμηνᾶν, εἰς ἕκ δύο ἀπέλθῃ εἰς τοὺς τῆς Δύσεως ἀνθίντας.

2. Καὶ τούτου σταθέντος, ὀρίζει πρὸς με μίαν τῶν ἡμερῶν „Πρωτοβεστιαριτα, εἰς τὸ ἐβουλεύσάμεθα, σὺ λέγω¹ νὰ ἀπέλθῃς εἰς τὸν Μορέαν καί, ὡς ἔν κατορθώσης τὸ ἔχεισε, ἔχεινος μὲν νὰ ἔρχεται ἐνταῦθα, οἷος ἂν ἦ τῶν ἀδελφῶν μου, ὅπου θελήσῃ τοῦτο· σὺ δὲ νὰ ἀπέλθῃς εἰς τὴν Κύπρον εἰς τὴν ἀνεψιάν μου τὴν ῥίγηναν. Καὶ ἡμεῖς ἐδῶ

ხელიდან და გაიგონა: „აი, ეს კაცი“ — და მიუთითა ჩემზე — „რომელიც ღვთის შეწევნით, დადგება თუ არა გაზაფხული, წავა კატარღებით, რათა მოიყვანოს იგი (ე. ი. სადღედოფლო)“, თაყვანი სცა და წავიდა.

XXXIII, 1. რადგან იმავე წლის დასაწყისში ხმები დადიოდა, რომ მოსვლას აპირებს ამირა ასომატის გარშემო ვიწრობებში ციხის ასაგებადო, მეფემ გადაწყვიტა მორეაში გაეგზავნა ერთი თავისი ძმათაგანი, რომელიც კი ამისთვის სურვილს განაცხადებდა და დაკმაყოფილებოდა იმით, რაშიაც შეთანხმებული იყვნენ, რათა, თუ საჭიროება მოითხოვდა, ენახათ რის გაკეთებას აპირებდა ამირა, — ერთი ამ ორთაგანი წასულიყო დასავლეთის მთავრებთან.

2. ასეთი ვითარება რომ შეიქმნა, ერთ დღეს მეფემ მიბრძანა: „პროტოვესტიარიტო, რაც ჩვენ მოვითათბირეთ, გეტყვი: „შენ უნდა გაემგზავრო მორეაში და, როგორც კი იქაურ საქმეებს მოაგვარებ, იქ უნდა ჩავიდეს ის ჩემ ძმათაგანი, რომელიც ამას მოსურვებს; ხოლო შენ უნდა გაემგზავრო კვიპროსზე დედოფალთან, ჩემს ძმისშვილთან. ჩვენ

ლებელია ხეივანის იყოს არა ბრალდებითი ბრუნვა, არამედ ა) ან შეცდომა, ნაცვლად იმისა, რომ იყოს ხეივანის, ბ) ან რომელიმე დიალექტური ფორმა: ἡ χείρα, τῆς χείρας (ხეივანის).

¹ λέγω OTV, λέγεις f.

θέλωμεν ετοιμάσειν τὰ εἰσιν ἐν χρεῖα, ὡσὰν ἔλθῃς ἀπὸ τὴν Κύπρον, νὰ ὑπάγῃς εἰς τὴν Ἰβηρίαν¹, ἵνα ἐπάρῃς τὴν μελλοκύραν² σου“.

3. Ἀνέφερον δ' αὐτῷ· „Ἡ ἀγάπη καὶ τὸ χρέος τῆς δουλοσύνης μου ἀπαιτεῖ, ὅτι νὰ εἶπω εἰς τὸν ἑρισμὸν σου· ἀμὴ πάλιν φοβοῦμαι διὰ τὴν δοῦλην καὶ συντέκνησάν³ σου, μήποτε ἀγανακτήσῃ καὶ, ἢ ἀπέλθῃ καὶ γένηται καλογραία⁴, ἢ ἀφήσῃ με καὶ ἐπάρῃ ἄλλον· χθὲς γὰρ ἦλθον, ποιήσας εἰς τὴν Ἰβηρίαν χρόνον καὶ μῆνας ἰα', καὶ πάλιν νὰ ἀπέλθω νῦν, δίκαιον θέλει ἔχει γὰρ ποιήσῃ, ὅσον ἐκ τῶν δύο ποιήσει“.

Καὶ γελάσας ἐρῖζει· „Ἀλλὰ εἰπέ αὐτῇ, ὅτι ταῦτα καὶ μόνον ταξίδι⁵ νὰ σὲ συγχωρήσῃ νὰ ποιήσῃς καὶ νὰ τὴν ποιήσω ἔνορκον πρόσταγμα, ὅτι πλέον νὰ μῆδὲν σε ἐνοχλήσω διὰ τοιοῦτόν τι.“

4. Καὶ μᾶλλον καὶ σὺ ἐπίστασαι, τὶ ἐνθυμούμεθα καὶ

კი აქ დაგიმზადებთ, რაც საჭიროა; როდესაც კვიპროსიდან მობვალ, უნდა გაემგზავრო იბერიაში, რათა მოიყვანო შენი მომავალი ქალბატონი“.

3. მე მას ვუბასუხებ: „სიყვარული და მოვალეობა ჩემი სამსახურისა მოითხოვს, რომ შენი ბრძანების შესახებ შემდეგი გითხრო: მე კვლავ მეშინიან შენი მხევლის და თანამეშვილის გამო, არ გამოიჯავრდეს და ან წავიდეს და მოლოზნანი გახდეს, ან დამტოვოს მე და სხვა ქმარი მოიყვანოს; რამეთუ გუშინ ჩამოვედი, მის შემდეგ რაც იბერიაში დავყავ ერთი წელიწადი და თერთმეტი თვე, და ახლა თუ კვლავ წავალ, სამართლიანი იქნება, თუ ჩაიდენს ერთ-ერთს იმ საქციელთაგან (ზემოთ რომ ვთქვი).“

მეფემ ვაიციანა და ბრძანა: „შენ უთხარი მას, რომ მხოლოდ ამ მგზავრობის ნება დაგროთს და ფიცით ვდებ ბრძანებას, რომ მეტი აღარ შეგაწუხებო შენ ამგვარი საქმისათვის.“

4. და შენც უკეთესად იცი, თუ რას ვიზრახავთ ჩვენ ორივენი.

¹ Ἰβηρίαν OT, Μεσέμβρειαν (?).

² μελλοκύραν OT, καλοგრῆαν V.

³ συντέκνησάν OT.

⁴ καλογραία ὡς καλογραφία „მოლოზნანი“, ხალხური სალაპარაკო ეხიდან, ლიმოჭკვი (უღრის მონაჯი).

⁵ ταξίδι „მგზავრობა“ (ხალხური ეხიდან), უღრის ὁδοιπορία (ὡς. Maius).

ἀμφοτέροι συντυχένομεν καὶ βουλευόμεθα ποιήσαι. Καὶ τοῦτο βεβαίον καὶ χωρὶς ἑνόρκου προστάγματος, ὅτι τὰ διὰ σου ἀποκρισιάρκεια νὰ παύσουν“.

Ἦν δ' ἕπερ συνετυχένομεν καὶ ἐβουλευόμεθα¹, ὅτι νὰ μηγύσω τὸν μέγαν δοῦκαν² τὸν Νοταρᾶν, ὅτι τὸ μεσαστίκιον³ οὐδὲν ἡμπορεῖ νὰ τὸ ἔχη.

„Καὶ οὐδὲν τυχένει νὰ τοῦ τὸ ἐπάρωμεν διὰ τὴν τιμὴν του, ἀμὴ νὰ τὸ ἀφήσῃ ἑκείνος· νὰ ἔχη δὲ καὶ τὸ πρωτεῖον τῆς στάσεως καὶ τῆς βουλῆς καὶ πρόσοδόν τινα δι' ἄλλου τρόπου, ἐπεὶ ἔχω χρεῖαν νὰ ποιήσω ἄρχοντας δύο, ὡς ὁ βασιλεὺς ὁ ἀδελφός μου, οὐχὶ μεσάζοντας, ἵνα ἀπὸ τὴν ἀρχὴν τῆς ἡμέρας ὧσι μετ' ἐμοῦ μέχρι πολλῆς ὥρας τῆς νυκτὸς καὶ τὰς δουλείας μου πράττω“. Ὅπερ καὶ ἐγενετο (V. Grecu, 86—88).

და რის გაკეთებას ვგეგმავთ და ვსაუბრობთ. და ეს არის მტკიცე და გარეშე ფიცით მიცემული ბრძანებისა, რომ შენი მეშვეობით ელჩობანი შეწყდება“.

ხოლო რაც ჩვენ ვისაუბრეთ და დავგეგმეთ, ეს ის არის, რომ დიდ ღუკას ნოტარას დავავალებ, რომ აღარ შეიძლება რომ იგი მთავრობის მდივნის თანამდებობას ასრულებდეს.

„მაგრამ არ შეეფერება წავართვათ მას ის მისი პატივის გამო, გავადლოთ იგი; ჰქონდეს მას პირველობა მდგომარეობისა და ბჭობისა და შემოსავალი წყაროდანაც, რადგან მე მჭირდება მყავდეს ორი მთავარი, როგორც მეფეს, ჩემს ძმას, არა მდივნის თანამდებობაზე, რათა ისინი დღის დასაწყისიდან ვიდრე ღამის მთელ დროს იყვნენ ჩემთან და მე ჩემი საქმეები ვაკეთო“. ასეც მოხდა.

როგორც ვხედავთ, გიორგი სტრანძისის მოციქულობით ძალიან ვმაცხოვრებელი იყო ბიზანტიის მთავრობა: «მეფემ (კონსტანტინე XI-მ) — წერს ისტორიკოსი — გააცინა და ბრძანა: შენ უთხარი მას (ე. ი.

¹ ἐβουλευόμεθα O, βουλευόμεθα T.

² δοῦκαν O, δοῦκ καὶ T.

³ Τὸ μεσαστίκιον, τὸ μεσαστικόν (როგორც Maius-შია, ზემოთ გვ. 73) წარმოსდგება ზმნისაგან μεσάζω („შუაში ვარ“, „შუამავლობ“). ზოგიერთი მკვლევარის აზრით, μεσάζων და μεσαστίκιον უნდა უკავშირდებოდეს „იმპერიის კანცლერის“ თანამდებობას (იხ. BZ 54 [1961], გვ. 199).

სფრანძესის ცოლს), რომ მხოლოდ ამ მგზავრობის ნება დაგვრთოს»; აქ იგულისხმება ხელახალი გამგზავრება იბერიაში საცოლის ჩამოსაყვანად. «როდესაც კვიპროსიდან მოხვალ, უნდა გაემგზავრო იბერიაში, რათა მოიყვანო შენი მომავალი ქალბატონი» (იხ. ზემოთ გვ. 86).

მაგრამ ეს ხელახალი გამგზავრება აღარ მოხდა.

ლაონიკე ხალკოკონდილე

ლაონიკე ხალკოკონდილე (*Λαονίκος Χαλκοκονδύλης* ან *Χαλκοκονδύλης*) მე-15 საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსია¹. იგი დაიბადა დაახლ. 1423 წელს. მისი მამა, გიორგი, ათენის საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ როლს ასრულებდა; 1435 წელს, პოლიტიკური ხასიათის ბრძოლის შედეგად, იგი პელეპონესში გადასახლებულა. 1447 წელს ახალგაზრდა ლაონიკე (ე. ი. ჩვენი ისტორიკოსი) პალეოლოგოსების კარზე, მისტრაში, ყოფილა სამსახურში და, როგორც პლეთონის მოწაფეს, ფილოლოგიურ დისციპლინებში გაწვრთნილს თავი უსახელებია ლათინურისა და ბერძნულის ცოდნით. 1449 წელს კონსტანტინე კეისართან ერთად მისტრიდან კონსტანტინეპოლში წასულა. 1453 წელს თურქებმა რომ კონსტანტინეპოლი აიღეს, ლაონიკე იქ აღარ ყოფილა. თუ სად იმყოფებოდა ის ამის შემდეგ, დანამდვილებით არ ვიცით (იტალიაში, ათენში, კრეტაზე თუ სხვაგან). მისი საისტორიო ნაშრომის ცნობათა კვალზე ჩანს, რომ ის 1490 წლის მახლობელ ხანებში უნდა გარდაცვლილიყოს.

ლაონიკე ხალკოკონდილეს საისტორიო შრომაა *Ἀπὸδείξεις ἱστοριῶν* (*Historiarum demonstrationes*), რომელიც შედგება 10 წიგნისაგან. „ძირითადი განსხვავება წინამორბედ ისტორიკოსთა თხზულებათაგან ის არის, რომ ლაონიკეს „ისტორიის“ თხრობის ცენტრშია არა ბიზანტია, არამედ თურქთა სახელმწიფო. ავტორი მიზნად ისახავს განიხილოს ოსმალოთა ახალგაზრდა სახელმწიფოს ძლიერების თანდათან ზრდა, იმ სახელმწიფოსი, რომელიც ყალიბდებოდა ბერძენთა, ფრანკთა და სლავთა სახელმწიფოების ნანგრევებზე“ (კ. კრუმბახერი).

ლაონიკე ხალკოკონდილეს „ისტორია“ შეიცავს 1298—1463 წლების ამბებს. მაგრამ ის აქა-იქ 1484—1487 წელს მომხდარ ამბებსაც იხსენიებს; ამიტომ საფიქრებელია, რომ მას თავისი შრომა მე-15 საუკუნის 80-იან წლებში ჰქონდეს დაწერილი.

¹ მისი სახელი *Λαονίκος* წარმოადგენს მეტათეზის შედეგად მიღებულ *Λίχο-λάος* (→ *Λαο-νίκος*). სახელი „ლაონიკოს“ ანტიკურ საბერძნეთში იყო გავრცელებული (იხ. P a p e, Eigennamen s. v.; В. Г р е к у, К вопросу о биографии и историческом труде Лаоника Халкокондила: ВВ XIII, 198—210). თვითონ სიტყვა *Χαλκοκονδύλης* ნიშნავს „სპილენძის კალმიანს“, ხოლო *Χαλκοκωνδύλης* — „სპილენძის კანდელიანი“.

რაც შეეხება წყაროებს, შედარება ნათელჰყოფს, რომ ლაონიკეს უსარგებლია ნიკიფორე გრიგორასის „ისტორიით“; უსარგებლია აგრეთვე თურქული წყაროებით (თურქული ენა მან კარგად იცოდა). გარდა ამისა, ჩანს ისიც, რომ გიორგი სფრანძქსთან ერთად საერთო წყაროები უნდა ჰქონოდა. წყაროებს ის კრიტიკულად ეპყრობა, თუმცა შეიმჩნევა ზოგიერთი შეცდომები, რომლებიც მას მოსდის წყაროების გამოყენების დროს.

ძველ ბერძენ ისტორიკოსთაგან ჰეროდოტე და თუკიდიდე განსაკუთრებულ მოწონებაშია ლაონიკეს „ისტორიაში“: ის მათ ჰბაძავს ენასა და სტილში, ცალკეულ გამოთქმათა ხმარებაში, ფრაზეოლოგიასა და ეთნოგრაფიულ ექსკურსებში.

ლაონიკე ხალკოკონდილეს „ისტორიის“ დედანი ჩვენამდე არ მოღწეულა. ეგვენი დარკოს მიერ შესწავლილია ამ „ისტორიის“ 26 ნუსხა XV—XVI საუკუნეებისა და გამოჩვენებულია, რომ ყველაზე სრული და სხვებზე უფრო ძველია Vaticanus Palatinus 266 (A), Laurentinianus Gr. Pl. LVII. Cod. 8 (L) და Coislianus Gr. 314 (C)¹.

ლაონიკეს „ისტორია“ გამოქვეყნდა 60 წლის შემდეგ ავტორის გარდაცვალებისა, 1615 წელს. ამ პირველ გამოცემას (editio princeps) მოჰყვა პარიზის კორპუსის გამოცემა (1650 წ.), ვენეციისა (1729 წ., რაც პარიზის კორპუსის განმეორებას წარმოადგენს) და იმ. ბეკერისა (ბონის კორპუსში, 1843 წ., განმეორებულია Migne-ის პატროლოგიაში, 1866 წელს, ტომი 159). უკანასკნელი გამოცემა ეკუთვნის ევგ. დარკოს: Laonici Chalcocondylae Historiarum Demonstrationes, emend. E. Darkó. Budapestini 1922—1927.

თუ როდის დასწერა ლაონიკემ „ისტორია“, ამის შესახებ თვით ავტორისავე მონაცემით შეგვიძლია ვიმსჯელოთ. თავისი შრომის პირველი წიგნის პირველ თავშივე ლაონიკე იმედს გამოთქვამს, რომ დადგება დრო, როდესაც არა აბუჩად ასაგდებ სამეფოს თვით ელინი მეფე ჩაუდგება სათავეში და მისი მემკვიდრე მეფეები (ὁπίστε δὴ ἀνὰ βασιλείαν οὐ φάσκειν Ἕλληγ γὰρ ἀντὸς βασιλεὺς καὶ ἐξ ἀντὸς ἐσόμενοι βασιλεῖς... ἄς ἀρχίστα πσιλεσίουτο). ამ სიტყვებიდან ჩანს, რომ ბიზანტია უკვე თურქებს ჰქონიათ დაპყრობილი, ე. ი. შრომა იწერება 1453 წლის შემდეგ.

უკანასკნელი ამბები, რომლებიც მოთხრობილი აქვს ლაონიკეს, თარიღდება 1480-იანი წლებით.

¹ დაწვრილებით ლაონიკე ხალკოკონდილეს „ისტორიის“ ნუსხების შესახებ იხ. E. B. Веселаго, Историческое сочинение Лаоника Халкокондила (Опыт литературной характеристики): ВВр. XII (1957), 203—217.

გამოცემები და ლიტერატურა:

Laonici Chalcocondylae Historiarum demonstrationes. Ed. Eugenius D'Arko, I—II. Budapestini 1922—1927.

Laonici Chalcocondylae Atheniensis Historiarum libri decem, ex recognitione Immanuelis Bekkeri. Bonnæ 1843.

Лаоник Халкокондил, „История“ (из книги VIII). Перевод и предисловие Е. Б. Веселого: ВВр. VII (1953), 431—444.

Aus dem Geschichtswerk des Laonikos Chalkokondyles (übersetzt, eingeleitet und erklärt von Franz Grabler): Byzantinische Geschichtsschreiber, hrsg. von Dr. Endre v. Ivánka. Bd. II. Graz-Wien-Köln 1954, 33. 33. 11—97.

Г. Диттен, Известия Лаоника Ханкокондила о России, ВВр. XXI (1962), 51—94.

ცნობები იბერიის ისტორიიდან

IX. Ἡ δὲ Ἰβηρία προσεχῆς ἔστι τῆ τῆς Κολχίδος χώρα, καὶ οἱ βασιλεῖς τούτων οὐκ ἀγενεῖς.

Δίχαι δὲ ἡ χώρα ἀπὸ τοῦ Βαθῖν λεγομένου καὶ ἀπὸ Φασιδος ποταμοῦ ἕως Χαλτζίχί, ἡ τοῦ Γοργούρου ἀβθεντεία¹, καὶ Κορίου καὶ Καχετίου καὶ Τυφλίσιου, σύνεγγυς εἶναι αἱ πόλεις αὐταῖς τοῦ Σαμαχίου, Τούρχων οἰκούντων ἐν αὐτῇ καὶ ἐχόντων χωρὶς κάτωθεν τοῦ Καχετίου πόλεως τοῦ ἐν παραθαλασσίᾳ καὶ τῆς Σεβαστοπόλεως Μιχαρελίων τοῦ Δαδιάννου ἀβθεντεία καὶ Μαμία καὶ Σαμανταύλα καὶ Γουρίας καὶ τῶν ἄλλων τῶν παραθαλασσίῶν πόλεων.

Ἄπὸ γὰρ τῶν πόλεων τῆς ἀνωθεν Ἰβηρίας εἰς καὶ οἱ Ἄλα-

IX. იბერია კოლხიდის ქვეყნის მეზობლად არის და ამათი მეფეები არ არიან უგვარონი.

ეს ქვეყანა გადაჭიმულია ეგრეთწოდებულ ბათუმიდან და მდინარე ფაზისიდან ვიდრე ახალციხემდე [და იქ შედის] საბრძანებელი ყვარყვარესი, გორისა, კახეთისა და თბილისისა; ეს ქალაქები ემეზობლებიან შამახას, რომელშიც მოსახლეობენ თურქები; მათ ეკუთვნის კახეთის ქალაქის ქვემოთ ზღვის სანაპიროზე მდებარე სებასტოპოლისი მეგრელებისა დადიანის მბრძანებლობის ქვეშ, მამია და სამადავლა და გურია, და სხვა ზღვისპირა ქალაქები.

ზემოთა იბერიის ქალაქების მოსახლვრენი არიან ალანები,

¹ ყველა წინანდელი გამოცემებისაგან ვარჩევით ჩვენ *ἀβθεντεία*-ს შემდეგ მძიმეს ვსვამთ და ამგვარად. *ἡ—აბშ*. ხალციხის განსახლვრად მიგვაჩნია.

νοὶ ἄλλοι καὶ οὖνοι καὶ Ἐμβοί. Οἱ δὲ Ἄλλοι δοκοῦσιν εἶναι ὑπὸ τὸν Καύκασον παρατείνοντες. Οὗτοι καὶ ἐς τὰ μάλιστα ἄνδρες νομιζόμενοι τὰ πολέμα κράτιστοι, ποιοῦντες λωρίκια ἐξάιρετα.

Πολιτεύονται δὲ οὗτοι ἐς τὴν τοῦ κυρίου ἡμῶν Ἰησοῦ Χριστοῦ θρησκείαν, διαχωρῶνται δὲ φωνῇ ἰδίᾳ τὸ παράπαν, καὶ ἑπὶ ἐπιτηδεύουσιν ἀπὸ χαλκοῦ, τὰ Ἄλλοι καλούμενα.

Ἰβηρες δὲ καὶ αὐτοὶ ἔθεν μὲν ἐπὶ τὴν χώραν τήνδε ἀφίχοντο, εἴτε ἀπὸ Ἰβήρων τῶν πρὸς ἑσπέραν, οὐκ ἔχω διασημῆναι. δοκοῦσι δὲ αὐτοὶ ἐπὶ μέγα χωρῆσαι δυνάμει, καὶ ἔλθον κτησάμενοι, καὶ πίστιν ἐκ Κωνσταντίνου πόλεως παρὰ μίξ γυναικὸς ἔκεισε διαφορῶσης πίστεως εὐσεβοῦς ἔνεκα τῆς εὐσεβειστάτης. ἦτις καὶ θαυματουργίας τοῦ Ἰβήρας καταπλήξασα μετηλλάξατο τῆς ἀσεβοῦς αὐτῶν πίστεως, καὶ Χριστιανούς ἀπεφίνατο τῆ δολογία αὐτῶν.

Μετὰ δὲ χρόνους πολλοὺς οἱ Σκύθαι οἱ ἄλλοι αὐτῶν πόλεμον ἤρξαντο κατ' αὐτῶν, καὶ τὰς χώρας τῶν Ἰβήρων διερχόμενοι ἐδήρουν καὶ παντελῶς ἰφάνιζον, καὶ ἀνδραποδισάμενοι κατέσχον αὐτοὺς, καταφυγόντων τῶν βασιλέων ἐς τὰ ἄκρα τῶν ὀρέων (ed.

Darkó II, 223,5 — 224,9; Bonnae 467,10—468,15).

ჰუნები და ემბები. ხოლო ალანები, როგორც ჩანს, კავკასიონამდღე არიან გადაჭიმული. ესენი ითვლებიან ყველაზე უფრო მეტად ძლიერებად საომარ საქმეებში, საუკეთესო აბჯრებსაც აკეთებენ.

ესენი მისდევენ ჩვენი უფლის იესო ქრისტეს სარწმუნოებას, ლაპარაკობენ სრულიად თავისებურ ენაზე, და იარაღსაც ამზადებენ სპილენძისას, ევრეთწოდებულ ალანურ იარაღს.

თვითონ იბერები თუ საიდან მოვიდნენ ამ ქვეყანაში, ან თუ დასავლეთის იბერთაგან წარმომავლობენ, დანამდვილებით ვერ ვიტყვი; როგორც ჩანს, იმათ მიღწიეს დიდ ძალას, დოვლათიც შეიძინეს, სარწმუნოებაც კონსტანტინეპოლიდან მიიღეს ერთი დედაკაცის მეშვეობით, რომელიც უაღრესად სათნო ქალი იყო და ჭეშმარიტი რწმენის გულისთვის ხშირად დადიოდა მათთან; მან თავისი სასწაულმოქმედებებით განცვიფრებაში მოიყვანა იბერები და მოაქცია ისინი მათი ურწმუნო რჯულისაგან, და ქრისტიანებად მოავლინა მათივე აღსარებით.

მრავალი წლის შემდეგ მათმა მეზობელმა სკვითებმა ომი აუტყვეს მათ, შეესივნენ იბერთა ქვეყნებს და დაარბიეს, სრულიად გაანადგურეს; თვითონ იბერები ტყვეებად ჩაივდეს, ხოლო მეფეებმა მათათა მწვერვლებს შეაფარეს თავი.

ტრაპიზონის მეფის ძმა დავითი

IX. Ἄλλὰ ταῦτα μὲν ὕστερον τῷ ἔτει τούτῳ ἐγένετο· βασιλεὶ μέντοι ἐξελαύνοντι ἀπὸ Πελοποννήσου ἐς τὰς Φύρας ἀφικετο ὁ βασιλέως ἀδελφὸς Ἰραπεζούνητος Δαβίδ, τὸν τε φόρον ἀπάγων καὶ τὰς σπονδὰς ἐμπεδῶν.

Οἱ γὰρ Κολχίδος βασιλεῖς λέγονται μὲν γενέσθαι πρότερον Βυζαντίου βασιλεῖς, τῆς Κομνηνῶν οἰκίας, τούτους δ' ὡς ἐκπεσεῖν τῆς βασιλείας, Ἰσαάκιον τὸν παῖδα τοῦ βασιλέως διαφυγόντα, τελευτήσαντος ὑπὸ δῆμου τοῦ πατρὸς αὐτοῦ διὰ τὸ ἔχθρος τὸ πρὸς αὐτόν, οἴχεσθαι ἐπὶ τὴν Κολχίδα χώραν καὶ ἐπὶ τὴν Ἰραπεζούνητα.

Ἀφικόμενον δὲ ἐνταῦθα καταστῆναι ὑπὸ τῶν ἐπιχωρίων ἐπὶ τὴν τῆς Κολχίδος ἡγεμονίαν, καὶ τὴν βασιλείαν μετενεγκεῖν ἐπὶ τὴν Ἰραπεζούνητα τῆς Κολχίδος. Καὶ ἀπὸ τοῦδε βασιλεύειν ἐνταῦθα ἕστε ἐφ' ἡμᾶς διαγενομένους, Ἑλληνας τε ὄντας τὸ γένος, καὶ τὰ ἦθη τε ἅμα καὶ τὴν φωνὴν προιέμενους Ἑλληνικήν. Καὶ ἐπιγαμίας μὲν ποιείσθαι πρὸς τοὺς ἐμόρους βαρβάρους τοὺς λευκοὺς Ἀσπροπροβατάντας¹ καλουμένους καὶ δὴ καὶ πρὸς Τεμήρεω υἱδοῦς τοὺς ἀπὸ Ἰζοκίη

მაგრამ ეს მოხდა შემდეგ, მომდევნო წელს. როდესაც მეფე პელოპონესიდან გამოდიოდა, კარიბჭესთან მოვიდა ტრაპიზონის მეფის ძმა დავითი, რომელსაც მოჰქონდა ხარკი და ზავს აბრკოლებდა.

ამბობენ, რომ კოლხეთის მეფეები წინათ იყვნენ ბიზანტიონის მეფეები, კომნენოსთა ოჯახიდან, ხოლო ესენი რომ გადმოვარდნენ სამეფო ტახტიდან, კეისრის შვილი ისააკი¹, მის შემდეგ, რაც მოიკლა მისი მამა ხალხის მიერ მისი ზიზლის გამო მის მიმართ, გაემართა კოლხეთის ქვეყანაში და ტრაპიზონში.

ის რომ იქ ჩავიდა, ადგილობრივმა ხალხმა დააყენა ის კოლხეთის მთავრად და ამგვარად სამეფო ტახტი გადაიტანა კოლხეთის ტრაპიზონში. და ამ დროიდან მოყოლებული ვიდრე ჩვენ დრომდე მეფობენ ისინი, ტომით ელინნი და ზნეჩვეულებებისა და ამასთანავე ელინური ენის შემნარჩუნებელნი. და ქორწინებითაც უნათესავდებიან მეზობელ ბარბაროსებს, ეგრეთწოდებულ თეთრბატკიანებს. და თემურის შვილიშვილებსაც ჩოკისა და ყარაიუსუფის შვილებს,

¹ Ἀσπροπροβατάντας Tafel, ἀσπροβατάντας codd.

² „ისააკი“ შეცდომით არის, უნდა იყოს „აღექსი“.

και Καραϊσούφω παιδω, ὥστε μὴ πράγματα ἔχειν διηουμένης τῆς χώρας ὑπὸ τούτων. Καὶ πρὸς τε τοὺς Ἑλληνας Βυζαντίου ἐπιγαμίως ποιεῖσθαι, τὰ τε ἄλλα, καὶ τὴν θυσιατέρα ἐκδεδωκότος Ἀλεξίου βασιλέως Κομνηνοῦ Ἰωάννη τῷ βασιλεῖ Βυζαντίου.

Μετὰ¹ δὲ ταῦτα γερονέαι τι καὶ τοιοῦτον. Ὡς γὰρ ἐν ὑποψία γενομένη τῷ βασιλεῖ Ἰωάννη² περὶ τῆς μητρὸς αὐτοῦ, ὡς τοῦ πρωτοβεστιάριου συγγενομένου τῇ μητρὶ αὐτοῦ τῇ Καντακουζηνῇ, καὶ πάσχοντι κατὰ θυμὸν τούτου ἕνεκα, ἀπέκτεινέ τε τὸν πρωτοβεστιάριον καὶ τὸν πατέρα αὐτοῦ, καὶ μητέρας ἀπέκλεισεν ἄμφω ἐν τῷ αὐτῷ κοιτῶνι, βουλόμενος ἀνελεῖν καὶ τὴν μητέρα. Οἱ δὲ ἐν τῇ πόλει ἄρχοντες, ἰκατεύοντες τῷ Ἰωάννῃ, ἵνα μὴ τοῦτο γένηται, ἀπέπεμφαν τοῦτον εἰς τὰ μέρη τῆς Ἰβηρίας, δუსωπήσαντες αὐτόν.

Τῇ κακίᾳ δὲ τοῦ Ἰωάννου πεποιθήκει ὁ βασιλεὺς Ἀλέξιος τὸν υἱὸν αὐτοῦ τὸν δεύτερον βασιλέα, τὸν Σκαντάριον λεγόμενον, καὶ ὑπάνδρευσε αὐτὸν μετὰ τὴν θυσιατέρα τοῦ ἡγεμόνος Μυτιλήνης Γαταλιούζου, ὃν ἀπέπεμφεν αὐτοῦ ἐν τῇ Μυτιλήνῃ.

რათა ამათ მიერ არ იყოს დარბეული მათი ქვეყანა. ვარდა ამისა ბიზანტიონის ელინებთანაც დაქორწინებას აწყობდა. სხვათა შორის მეფემ ალექსი კომნენოსმა თავისი ქალიშვილი მიათხოვა ბიზანტიონის მეფეს იოანეს³.

ამის შემდეგ მოხდა ასეთი ამბავი. რამეთუ ექვი დაებადა მეფე იოანეს მისი დედის შესახებ, თითქოს პროტოვესტიარის მის დედასთან კანტაკუზენესთან ახლო კავშირში იყო; იოანე ამის გამო ძალიან განრისხდა და მოკლა პროტოვესტიარიც, და მისი მამა და დედაც, ორივენი, ჩაკეტა საწოლ ოთახში, და სურდა მოესპო დედაც. ხოლო ქალაქის თავ-კაცებმა სთხოვეს იოანეს არ ჩაეღინა ეს, შეარცხვინეს ის და გაგზავნეს იბერიის მხარეში.

იოანეს ბოროტების გამო მეფე ალექსიმ თავისი ვაჟი, რომელსაც სკანდარიოსი ეწოდებოდა, მეორე მეფედ გახადა და მას მიათხოვა მიტილენის მთავრის გატალიუზეს ქალიშვილი და გაგზავნა იქვე მიტილენში.

¹ აქედან დაწყებული ვიდრე ამ თავის ბოლომდე ლაონიკესი არ არისო—სწორია რამდენიმე ხელნაწერის აშთახე.

² იოანე—ტრაპიზონის მეფე, ალექსი კომნენოსის ვაჟი.

³ ივულისხმება ალექსი IV-ის (1412—1453) ასული მარიაში, რომელიც მისთხოვდა იოანე VIII-ს (1423—1448).

‘Ο δὲ βασιλεὺς Ἰωάννης ἀπελ-
θὼν ἐν Ἰβηρίᾳ ἔσχε γυναικα τὴν
τοῦ βασιλέως Ἀλεξάνδρου Μυγα-
τέρα.

Μετὰ δὲ ταῦτα ἀπῆλθεν ἐν
τῇ Καφῶ¹ ἀναζητῶν ἐκείσε τινα
τὸν ἔχοντα καράβιον, καὶ ἐλθεῖν
ἐν τῇ Τραπεζοῦντι πολεμικῶς
κατὰ τοῦ ἰδίου πατρὸς Ἀλεξίου.
Ἐνθε δὲ ἐκείσε Ἰανυίτην² ἄνθρω-
πον ἔχοντα καράβιον μέγα, ὅπλα
παντοῖα φέρον, τὸ λεγόμενον
..... ὃν καὶ ἐχειροτονήσατο πρω-
τοστράτορα³:

Ἀρματώσαντες⁴ οὖν τὸ κα-
ράβιον καλῶς τε καὶ ὡς ἐχρήν,
ἦλθον ἐν Τραπεζοῦντι κατὰ βα-
σιλέως Ἀλέξιου τοῦ πατρὸς αὐ-
τοῦ. Ἰξελθόντες οὖν ἕξω ἐν τῇ
ξηρᾷ, ἐν τῇ τοποθεσίᾳ τοῦ ἁγίου
Φωκά, καὶ ἐν τῇ μονῇ αὐτοῦ
ἐσκηνώσαντο αὐτόν, σχόντες διὰ
μέσου⁵ καὶ βοηθούς χρυφίως πω-
τοῦς Καβασιτάνας, οἵτινες αὐτὸν
προδεδῶκασιν.

Ἐχόντες γὰρ οὗτοι τὴν φυλα-
κὴν τοῦ βασιλέως ἐς τοῦ Ἀχαν-
τοῦ προαστείου, τοῦ βασιλέως

ხოლო მეფე იოანე, იბერიაში
რომ წავიდა, ცოლად ჰყავდა
ალექსანდრე მეფის ასული.

ამის შემდეგ ის წავიდა კავა-
ში, ეძებდა იქ ვინმეს, ნავის
მქონეს, და ჩავიდა ტრაპიზონში
იმ მიზნით, რომ შებრძოლებოდა
საკუთარ მამას ალექსის. იქ იპო-
ვა მან ერთი კაცი იანუიტე²,
რომელსაც ჰქონდა დიდი ნავი,
სადაც იყო ყოველგვარი იარაღი,
ეგრეთწოდებული და იგი
დანიშნა მთავარსარდლად³.

ნავი რომ კარგად აღჭურვს,
როგორც საჭირო იყო, მივიდ-
ნენ ტრაპიზონში მისი მამის მეფე
ალექსის წინააღმდეგ საბრძოლ-
ველად. ქალაქარეთ რომ გავიდ-
ნენ ხმელეთზე, წმინდა ფოკას
ტაძრის მიდამოებში, მის [ფოკას]
მონასტერში დაბანაკდნენ იქვე.
ამასოსაში დამხმარეებიც მოიპო-
ვეს ფართულად, კავასიტები⁶, რომ-
ლებმაც მას [მეფეს] უღალატეს⁷.

ამათ [ე. ი. კავასიტებს] და-
ვალეებული ჰქონდათ მეფის მცვე-
ლობა ახანტის⁸ პრასტინში, რად-

¹ კავაში—ე. ი. ყირიმში, თეოდოსიაში.

² უნდა ნიშნავდეს „გენუელს“ (Ф. Успенский, Очерки из истории Трапез. 126).

³ „პროტოსტრატორი“ — სამხედრო თანამდებობა ბიზანტიის სამეფო კარზე („მთავარსარდალი“!).

⁴ ἀρματώω—ლათინური სიტყვისაგან armo.

⁵ διὰ μέσου „ამასოზაში“.

⁶ „კავასიტები“ წარჩინებულთა გვარი ტრაპიზონის სამეფოში, ხალდიის ღუკები..

⁷ ე. ი. მეფე ალექსის.

⁸ სანახები Ἀχαντακα იხსენიება მიქელ პანარეტოსის „ქრონიკაში“ (იხ. გეორ-
ვიკა VII, გვ. 176 და 201).

Ἰαλεξίου ἐκείσε καὶ αὐτοῦ σκη-
νώσαντος μετὰ ἄρμάτων τε καὶ
πολεμικῶν, κατὰ¹ τοῦ Ἰωάννου
συνεκατέθειντο, παραχωρήσαντες
τὴν κατὰ¹ Ἰαλεξίου ἔλευσιν, ὃν
καὶ εὐρόντες εἰ τοῦ Ἰωάννου
ἄρχοντες ἐν τῇ σκηνῇ ἀνυπό-
πτως, καὶ μετὰ βίας ἀπεκτείναν
αὐτὸν ἐν ὄρχ μεσονυχτίου.

Ἐὐ γὰρ βασιλεὺς Ἰωάννης οὐκ
εἶπεν ὄλωσ κτείνειν τὸν πατέρα,
ἀλλὰ μόνον ζῶντα καὶ εἰς
αὐτὸν ἀγαγεῖν. Ἐκείνοι τοῦτο
μὴ φυλάξαντες, ἀλλ' ἀποκτείναν-
τες μᾶλλον τῷ βασιλεῖ Ἰωάννῃ
τὰ πρὸς χάριν πεποιθήκασιν ὁ-
κονῶντες ἴσως. Οὐδὲ β. βασιλεὺς
Ἰωάννης ὑστερον τὸν μὲν ἐτύφ-
λωσε, τὸν δὲ ἐχειροκόπησε, μὴ
θίλων τοῦτο οὕτω ποιῆσαι, ἀλλὰ
πρὸς αὐτὸν μόνον ἀγαγεῖν.

Ἐὐ Ἰωάννης τόνον καὶ ἀνε-
δέξατο τὴν βασιλείαν, τιμήσας
τὸν πατέρα αὐτοῦ ταῖς προση-
κούσας τιμαῖς, τῇ ταφῇ, ὃν καὶ
κατέθετο ἐν τῇ τῆς φεοσχεπέσ-
του μονῆ, εἰ καὶ ὑστερον ἔφερε
τοῦτον ἐν τῇ μητροπόλει.

გან მეფე ალექსი იქ იდგა ბანა-
კად იარაღითა და საომარი მასა-
ლებით; ისინი იოანეს დაეთანხმ-
ნენ, რომ ალექსისტან თავისუფ-
ლად შეუშვედნენ მსურველებს,
და რომ იოანეს კაცები თავს
დაესხნენ მას მოულოდნელად,
მიძღვარებით მოკლეს იგი შუა-
ღამის საათში.

მეფე იოანეს სრულებითაც
არ უთქვამს მოკლათ მისი მამა,
არამედ დავალებული ჰქონდათ
ცოცხალი შეეპყრათ და მასთან
მოეყვანათ. იმათ ეს კი არ შეას-
რულეს, არამედ მოკლეს, რადგან
იფიქრეს, უფრო მეტად ვასია-
მოვნებთ მეფე იოანეს აღბათო.
ისინი მეფე იოანემ დასაჯა:
ერთს თვალები დათხარა, მეო-
რეს ხელი მოკვეთა, რადგან არ
სურდა ეს ასე ექნათ, არამედ
მხოლოდ მასთან უნდა მოეყვანათ.

იოანემ ამნაირად მიიღო სა-
მეფო ტახტი; მან თავის მამას
პატივი სცა შესაფერის პატივთა
მიზღვით, დასაფლავებით; მან
იგი დაასაფლავა ღვთივდაცულ
მონასტერში. თუმცა შემდეგ იგი
გადაიტანა სატახტო ქალაქში².

¹ κατὰ ორივე შემთხვევაში განსაკუთრებული მნიშვნელობით არის ნახმარი, არა ანტიკური ბერძნულის წესით.

² საჭიროდ ვთვლით მოვიყვანოთ აკად. თ. უსპენსკის განმარტება ამ ეპი-
ზოდის [ალექსის მეფის მოკვლის] შესახებ: „Во время моих археологических
исследований в Трапезунте в 1916—1917 гг.—წერს თ. უსპენსკი—удалось
напасть на следы места погребения царя Алексея; этому вопросу была
посвящена специальная статья в журнале „Византийский Временник“ (том
XXIII). Не входя в подробности, изложенные в указанной статье, ограни-
чимся здесь несколькими замечаниями на приведенный текст об убийстве

Μετὰ δὲ τινὰς χρόνους ἐστρά-
τευσε καὶ τις ζύχης βνόματι
Ἄρταβίλης κατὰ Τραπεζούντος,
συνάξας ἀπανταχοῦ ἀπὸ τε ἀνα-
τολῆς καὶ μεσημβρίας στρατὸν,
ἀπὸ τε Σαμίου καὶ ἐξ ἄλλων
τινῶν πόλεων, καὶ ἦλθε κατ'
ἐπὶ τῆς βουλόμενος εἶεῖν καὶ πορ-
φῆσαι ταύτην.

Ὁ δὲ βασιλεὺς Ἰωάννης συ-
νάξας καὶ ἐπὶ τὸν στρατὸν διὰ τε
ξηρᾶς καὶ διὰ θαλάσσης ἅμα
τῷ πανσεβάστῳ καὶ τοῖς αὐτοῦ
ἦλθεν ἕως τοῦ ἁγίου Φωκᾶ τῆ
μονῆ τῆ λεγομένη Κορδύλη.

Συνάξας τοίνυν ὁ πανσεβάσ-
τος τοὺς τε ἰδίους καὶ τοῦ βασι-
λέως, διήρχετο ἅμα τῆ τοῦ στρα-
τοῦ βουλόμενος θαλάσση εἰσβα-
λεῖν κατὰ τοῦ ζύχης, ὅποι ἂν
εὔρηται τοῦτον· ὁ γὰρ ζύχης
Ἄρταβίλης κατέσχε τὴν τοῦ Με-
λιάρη λεγομένην τοποθεσίαν, προ-
λαβόμενος τὴν κλεισούραν ταύ-
την τοῦ Μελιάρη, τὸ Καπάμιον
λεγόμενον.

ცოტა ხნის შემდეგ ილაშქრა
ერთმა ჯიქმა, სახელით არტაბი-
ლემ, ტრაპიზონის წინააღმდეგ:
მას შეეკრიბა ჯარი ყოველი მხრი-
დან, როგორც აღმოსავლეთიდან
ისე სამხრეთიდან, როგორც სა-
მოსიდან ისე ზოგიერთი სხვა ქა-
ლაქებიდან, მოვიდა მის წინა-
აღმდეგ და სურდა მისი აღება
და მოსრვა.

ხოლო მეფე იოანემ შეკრიბა
თვითონაც ჯარი, როგორც ხმე-
ლეთით, ისე ზღვით, უდიდებუ-
ლესის [კეისრისა] და თავის ჯა-
რითურთ მოვიდა ვიდრე წმინდა
ფოკას სახელობის მონასტრამდე,
ეგრეთწოდებულ კორდილემდე.

მისმა უდიდებულესობამ [კეი-
სარმა] შეკრიბა როგორც საკუ-
თარი ჯარი, ისე მეფისა და ამ
ჯარითურთ მოიწადინა ზღვაში
შექრილიყო წინააღმდეგ ჯიქისა,
სადაც კი მას იპოვიდა; რამეთუ
ჯიქი არტაბილემ ჩამჯდარიყო მე-
ლიარად წოდებულ ადგილას და
წინასწარ დაეკავებინა ამ მელია-
რის კლისურა, ეგრეთწოდებული
კაპამიონი.

царя Алексея. Действие происходило близ Трапезунта, на морском берегу, где был подгородный монастырь Фоки, расположенный при впадении реки Пикситис (ныне Деиртенх) в море. Заняв монастырь — с ним был небольшой отряд на торговом судне, нанятом в Феодосии у генуезского купца—Иоанн вступил в переговоры с Каваситами, если уже ранее не был уверен в их содействии. Что касается положения Аханта или Ахантака, где находился царь Алексей, эта подгородная дача или царское поместье было также в указанной местности, еще ближе к городу. как можно заключить из слов Панарета под 1336 г.: «Было сражение в Ахантаке и на холме Митры». Последний господствует над городом“ (Ф. Успенский, Очерки из истории Трапезунтской Империи, Лнгр. 1929, стр. 130).

Ἐλθόντες τοῖνον οἱ τοῦ πανσεβάστου καὶ αὐτοὶ εὗρον τὸν ζύχην προκατέχοντα τὴν κλεισούραν τοῦ Καπανίου. Οἱ καὶ ἐρμήσαντες κατὰ τοῦ ζύχην ἐπ' ἐλπίδι τοῦ ναυτικοῦ στρατοῦ ἡμα, ἐπειδὴ καὶ οὗτος ὁ ναυτικός στόλος ἦν παρεσκευασμένος μετὰ τοῦ πανσεβάστου ὁῶσιν τῷ ζύχην, οὐκ ἔσχον καιρὸν ἐγχαίρον, ἀλλ' ἀνέμου βιαιῶς πνεύσαντος ἐν τῇ θαλάσῃ οὐκ ἐξῆλθον ἕξω οἱ ναυτικοὶ εἰς βοήθειαν τοῦ στρατοῦ, ἀλλ' ἄλλοθεν ποθεν σκληρίας γενομένης ἔσχον κώλυμα τοῦ ἐξελεῖν τὸν ναυτικὸν στρατὸν [τὰ πλοῖα γενόμενα].

Καὶ τότε δὴ ἐρμήσαντες οἱ τοῦ ζύχην κατὰ τοῦ πανσεβάστου καὶ τοῦ στρατοῦ διέφθειραν τε αὐτὸν πανσέβαστον καὶ τὸν υἱὸν αὐτοῦ καὶ ἑτέρους ὡσεὶ τριάκοντα. Καὶ οἱ ἕτεροι πεφευγότες ἦλθον πρὸς τὸν βασιλέα Ἰωάννην, ὃς φυγὰς καὶ αὐτὸς γενόμενος μετὰ πλοίου ἦλθεν ἐν Τραπεζούνῃ σὺν ἄλλοις καὶ τοῖς ἑτέροις, οἱ μὲν διὰ ξηρᾶς, οἱ δὲ διὰ θαλάσσης πεφευγότες κατασκευάσαντος τοῦ ζύχην ἐν τῇ μονῇ τοῦ ἁγίου Φωκᾶ, εἰς ἣν ἦν κατασκευημένος ὁ βασιλεὺς Ἰωάννης. Ἐξώργησε δὲ καὶ πολλοὺς ὁ ζύχης, οὕστινας φονεύσας ἐξ αὐτῶν, ἔχων καὶ τὸν Μαυροκώνηστον λεγόμενον ζῶντα, κελώτην ὄντα καὶ ἐξοδιστῆν τοῦ

ასე, კვისრის კაცები რომ მივიდნენ, იპოვეს ჯიქი, რომელსაც კაპანიონის კლისურა უკვე წინასწარ დაეკავებინა. და ისინი რომ გაემართნენ ჯიქის წინააღმდეგ, რასაკვირველია, საზღვაო ჯარის იმედითაც, რადგან ეს საზღვაო ჯარი კარგად იყო მომზადებული კვისართან ერთად. შეეცა ჯიქისთვის, მაგრამ ვერ შეხვდათ ხელსაყრელი დრო; პირიქარი ქროდა ზღვაში და მეზღვაურები ვერ გავიდნენ გარეთ, რომ ჯარს მიშველებოდნენ, რადგან ხან სად და ხან სად ხმელეთი ჩნდებოდა და საზღვაო ჯარს დაბრკოლება ექმნებოდა [ხომალდებისათვის].

982 წლის ივნისში, 10 ინდიქტიონს, მომხდარა შეთანხმება იოანე იბერსა და იერისოს მცხოვრებლებს შორის მონასტრის კუთვნილი მამულის შესახებ.

შეთანხმება დაამტკიცა ნიკოლოზმა, თესლონიკის ლიბელესოსმა.

ამ სიგელის შესახებ А. А. (архимандрит Антоний) წერს: „Другой акт (№ 31), получивший не так давно громкую известность, есть торговая сделка того же Иоанна Ивира с жителями сопредельного св. горе города Эриссо, написанная Ливеллисием Фессалонийским Николаем „в царствование Василия и Константина, христоролюбивых царей и самодержцев в месяце июле, 10-го индиктиона 6490 (982) года“. Верхняя часть этого документа... занята печатями или рукоприкладными знаками, вероятно жителей города, в числе 69. Каждая печать состоит из начертанного большей частью небрежно креста с надписанием в четырех углах его имени, звания и прозвания участвовавших вероятно в договоре лиц, предшествуемых везде словом: σίγνον или σήγνον, т. е. огреченное signum = знак, знамение. Первый знак есть Никифора прервопресвитера. Далее следуют:

Василия пресвитера,
Мануила пресвитера,
Иоанна пресвитера,
Стефана Архонта (Внязя?),
другого Стефана...

¹ Труды Киевской духовной академии, 1861, февраль, стр. 243—244.

ეს სიგელი მოყვანილი და გარჩეული აქვს Порфирий Успенский-ს¹ ქვემოთ დასახელებულ წიგნში, ხოლო უფრო დაწვრილებით განხილულია პ. უსპენსკის (თუ სხვის) მიერ დასაბუქდად გამზადებულ თაბახებზე, რომელთა ფოტოპირები დაცულია საქართველოს (H 3145) და ლენინგრადის (III A-21) საცავებში.

შემოხვეულ თაბახზე სწერია: Договор Иоанна Ивера с жителями сел. Эриссо, утвержденный в Салониках. Фотогр. снимок Севастьянова в И. Публ. Библ.

ფოტო-პირში სწერია: (В сборн. Порфирия № 95, стр. 19—25) Афон-Иверский акт 6490=982 года, месяца июня, индикта 10-го (sic) с глаголицею, на большом широком пергаменте. Вверху его начертаны 75 крестов (А. А.-ს უწერია 69), а над поперечниками их и под ними прописаны имена и прозвания разных лиц, которые присутствовали при совершении сего акта и при выдаче его Иверскому монастырю на Афоне. В числе этих свидетельских знаков стоит подобный им крест, около которого начертаны глаголические письма в четыре ряда. Я в свое время (1846 г. 16 июня) наглядно отподобил их в своей памятной книге, и тут же для себя приписал следующую заметку: в этом акте между прочими сигналами стоит и этот знак с сими буквами. Эта глаголица в высшей степени замечательна. Она старше всех известных памятников глаголической письменности. А появление её на судебном акте, между прочим, доказывает, что письмо подобного рода известно было даже судьям в Солуне. Представляю здесь эту глаголицу в том виде, в каком я усмотрел её на, помянутом акте и после замечаний о ней излагаю содержание сего акта, доказываю подлинность его, объясняю как появились на нем глаголические письма, а делаю выводы из него ближайшие.

Вот приснопамятная глаголица, о которой идет речь моя.

ჲ	ჲ
ბ	ჲ
Γ°	ΘροϚ

¹ Первое путешествие в Афонские монастыри и скиты. Архимандрита, ныне епископа, Порфирия Успенского, в 1815 году, часть 1-я, отделение второе, Киев, 1877, стр. 312 слл.

После первого взгляда на нее всякий знакомый с письмом подобного рода без запинки прочтет и напишет русскими буквами так

ЗН	К	
ꝛꝛ	ОР ꝛꝛ	т. е. знак
И	ОШЪ	

Тут слово знак соответствует греческому слову ΣΙΓΝΟΝ которое написано в верху каждого креста, начертанного греками. Пои ꝛꝛОРꝛꝛ написал знак бѣльбѣг, потому что начертил знак крестный, а не межевый, который в актах Влаѣболгарских называется бѣльбѣгом. Имя и нарицание свое он поставил в надеже именительном, а не в родительном, как тут же писали имена свои Греки $\sigma\acute{\iota}\gamma\lambda\omicron\nu\sigma$ $\Gamma\epsilon\omega\sigma\gamma\acute{\iota}\omicron\nu$; но это сделал он по своему разумению, как бы говоря сам себе: крестный знак поставил я, Гіоргі пои. Собственное имя его написано им точно так же как оно писалось в грамотах царей болгарских (гіоргі). Вся надпись его ничем, кроме языка, не отличается от совместных надписей греческих, ни очерком прописного креста, ни формой, установленною для актов подобного рода.

Самый акт... называется $\xi\gamma\gamma\rho\alpha\phi\omicron\varsigma$ $\delta\sigma\phi\acute{\alpha}\lambda\epsilon\iota\alpha$ т. е. письменное удостоверение. Вот содержание его, выписанное мною, частью по гречески, частью в русском переводе¹:

... οὐκίτηρες τοῦ κάστρου
 ἱερισσοῦ... ἔγγραφον ἀσφάλειαν
 ...ποιοῦμεν... εἰς ἡμᾶς τὸν εὐλα-
 βέστατον Ἰωάννην μοναχὸν τὸν
 Ἰβηρα καὶ Ἰωάννην τὸν θεοφι-
 λέστατον σύγκελλον καὶ πρὸς τὸ
 καθ' ἡμᾶς μέρος· καὶ αὐτῆς τῆς
 ἡφ' ἡμῶν εὐαγγελιστῆς βασιλικῆς
 μονῆς τοῦ Κολοβοῦ, καθὼς ἔπο-
 τέταχται.

ჩვენ იერისის ციხის მცხოვ-
 რებლები ამ წერილობით სა-
 ბუთს... გაძღვეთ თქვენ, უნეტა-
 რეს ბერს იოანე იბერს და
 ღვთივ-საყვარელ იოანე სინ-
 გელოზს და თქვენ ხელქვეით
 მყოფ ძმობას და თვით თქვენს
 ყოვლად ღირსეულ კოლოვუს
 სამეფო მონასტერს, როგორც
 დაქვემდებარებულს.

¹ მოგვყავს ქართულად.

Ἐπειδὴ ἡ τοιαύτη εὐαγεστά-
τη μονὴ διὰ τιμῆς χρυσοβούλ-
λου λόγου ἐδόθη τῷ¹ καθ' ἡμᾶς
μέρει καὶ ἀφιερῶθη εἰς τὴν
εὐαγεστάτην ἡμῶν Λαύραν τὴν
ἐπ' ὀνόματι τῆς ὑπεραγίας Θεο-
τόκου Ἰδρυμένην² καὶ τοῦ Κλή-
μεντος ἐπονομαζομένην τοῦ δεσ-
πόζεσθαι παρ' αὐτῆς...³

Μηνὶ ἰουνίῳ ἰνδικτιῶνος δε-
κάτης ἐν ἔτει τῷ ς,σγ ἐπὶ βασι-
λείας Βασιλείου καὶ Κωνσταν-
τίνου.

† Θεόδωτος ὁ ταπεινὸς ἐπίσκο-
πος τῆς Ἱερισσοῦ.

† Ἀθανάσιος μοναχὸς ὁ τῆς
Λαύρας ἡγούμενος.

† Πέτρος μοναχὸς καὶ ἡγού-
μενος ὁ Καλιούκα καὶ οἱ λοιποί.

Νικόλαος λιβελλίσσιος Θεσσα-
λονίκης.

შემდეგ პ. უსპენსკი განავრძობს:

В самой верхней части сего „письменного удостоверения“ поставили кресты и подписали свои имена и прозвания 75 свидетелей, например) Никифор протопресвитер, Василий пресви-тер (და სხვები).

¹ τῷ ab

² ἰδρυμένην ab

³ ბერძნული ტექსტი მეტი არაა, ხოლო პორფირი უსპენსკი რუსულ თარგმანს ათავსებს: „и поелику вы, благочестивейшие отцы, имеете силу и дерзнове-ние у царей Василия и Константина так, что можете отыскивать все при-надлежащее сей обители (Колову) и присвоивать себе; а нашлась земля у преддверий нашей крепости Градиска (ἐν ταῖς προθύραις τοῦ Κάστρου ἡμῶν, ἧτις Γραδίσκα λέγεται), принадлежавшая обители Колову, и взятая жителями сей крепости; то... (Далее говорится, что Иоанн Ивир отдал эту землю Иериссовцам на 29 лет за 100 золотых монет, а они отдали ему землю на Лонгосе),

რადგან ეს ყოვლად ღირსეუ-
ლი მონასტერი მოცემული აქვს
პატრიოსანი ხრისოველით თქვენს
მხარეს (ძმობას) და მიკუთვნებუ-
ლი აქვს თქვენს ყოვლად ღირ-
სეულ ლავრას, რომელიც დაარ-
სებულია ყოვლად წმინდა ღვთის-
მშობლის სახელობაზე და ეწო-
დება კლემენტოსისა, რათა მას
ფლობდეს იგი (ე. ი. ლავრა)..

წელსა 6490-სა, ინდიქტიონსა
10-სა, ივნისის თვესა, ბასილისა
და კონსტანტინეს მეფობაში
(ხელს აწერენ):

† სასწყალობელი თეოდოტე,
იერისოს ეპისკოპოსი.

† ლავრის წინამძღვარი ათა-
ნასი ბერი.

† კალიუკას წინამძღვარი პეტ-
რე ბერი და სხვ.

ნიკოლოზი, თესალონიკის ლი-
ველისიოსი.

Это письменное удостоверение есть копия, которая в том же году и месяце выдана была из Солунского судебного места Иоанну Ивиру за скрепою тамошнего чиновника, так называемого Ливеллисия. Подлинность сего акта не подлежит никакому сомнению.

Иоанн Ивир назад тому два года (6488=980 году) присоединил к своей лавре две упомянутые в акте обители, Иоанна Колову в Иериссе и Климента на Афоне и присоединил их действительно по силе хрисовула царя Василия Порфирородного. Лавра его поныне чествуется во имя Пресвятой Богородицы. А что у него был сивкелл Иоани, это подтверждается хрисовулом того же царя Василия (980 год), в котором прибавлено название этого сивкелла, Торникий (Χρυσόβουλλος γεγραμμένος κατὰ ὑψηλὴν (6488=980) ἔτος τῷ μοναχῷ Ἰωάννῃ καὶ συγγελλῷ τῷ Τορνικίῳ... Под актом 982 года подписался игумен Лавры Афанасий. А известно, что он жив был еще в 985 году, и тогда подарил оному же Иоанну Ивиру хрисовул царя Василия, предоставляющий право иметь мореходное судно...

Здесь кстати заметить, что Иериссовцы, по судебному порядку, получили другую копию сего акта с глаголицею¹ же и, быть может, с грузинскою подписью Иоанна Ивира, или сивкелла его, и что эта копия могла достаться Иверскому монастырю, когда кончился 29-летний срок обмена участков земли подле Иерисса и на Лонгосе.

ჩვენს უკრადლებას იპყრობს ამ საბუთში იოანე თორნიკის მოხსენიება იოანე სზნგელოზის სახელწოდებით: ამ საბუთში მოხსენებულია იოანე სზნგელოზი იოანე იბერის გვერდით; მათი მოხსენიება როგორც ქართველთა სავანის დამაარსებლებისა იმაზე მიგვითითებს, რომ აქ იგულისხმება თორნიკე ერისთავი. საჭიროა იმის აღნიშვნა, რომ თორნიკე ერისთავის მოხსენიება „იოანე სზნგელოზის“ სახელწოდებით მე არსად შემხვედრია ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში (არც კ. კეკელიძის „ქართული ლიტერატურის ისტორიაში“ მოხსენებული).

¹ გლაგოლიცით აწერს ხელს по Giorgi (ე. ი. მღვდელი გიორგი). შესაძლებელია რატომ წერს იგი Giorgi? ხომ არ არის აქ ქართულის გავლენა (გიორგი).

საგულისხმოა, რომ „იოანე სუნგელოზის“ სახელით ათონის ალაპებშია მოხსენებული თორნიკე ერისთავი:

1) «თუესა ღეკენბერსა: იე: ალაპი არს იოანე სუნგელოზისა, მაშენებელისა ამის დიდებულისა ლავრისაჲ» (ათ. კრ. 216).

2) «თუესა ღეკენბერსა: ზ ალაპი არს გიორგისი დიდისაჲ, და, ვითარცა სუნგელოზისსა სწერია და იოანესსა და ეფთჳმესსა, იგივე წესი აღსრულენ ლოცვისა და ჟამის-წირვისა და ძმათა ნუგეშინის ცემისაჲ» (ათ. კრებული 219).

3) «თუესა ღეკენბერსა იე: ალაპი არს იე მონაზონისაჲ და აბუჰარბისი და თორნიკისი: წესი ლოცვისაჲ უოველივე ეგრეთ აღსრულოს და ჟამისწირვა, ვითა სუნგელოზისასა სწერია, და სამხრად წლიონ ოთხ-ოთხი» (ათ. კრ. 220).

4) «თუესა ღეკენბერსა იე: ალაპი არს კოსტანტინესი, ბაგრატისი, მიქაელისი და სჳმეონისი: და იგივე განგებაჲ იქმნას, ვითა სუნგელოზისისა სწერია უოველი, და სამხრად სუან ძმათა ოთხ-ოთხი (ათ. კრ. 220).

5) «ალაპი არს გაბრიელისი... და, ვითა თორნიკისთჳს სუნგელოზისა სწერია, უოველივე წესი... აღსრულებოდენ (ათ. კრ. 228).

ამ სახელწოდებით იხსენიებს თორნიკე ერისთავს გიორგი მთაწმინდელი იწე-ექვთიმეს ბიოგრაფიაში. იოანე ანდერძად უტოვებს ძმებს:

«სულიერსა ძმასა ჩუენსა იოანე სუნგელოზისა, რამეთუ ფრიადითა სარწმუნოებითა მოვიდა ჩუენდა წმიდასა ამას მთასა, და სულიერისა მამისა ჩუენისა ათანასესსა საჯსენებელსა წლითი-წლად აღასრულებდით წმიდათა ჟამის-წირვათა შინა» (ათ. კრ. 24).

საერთო შთაბეჭდილება ჩვენ მიერ ამოწერილი ალაპების ტექსტისაგან, თითქოს, იმის სასარგებლოდ ლაპარაკობს, რომ „იოანე სუნგელოზი“ არის თორნიკე ერისთავი, მით უმეტეს, რომ ერთგან კიდევაც ნათქვამია «ვითა თორნიკისთჳს სუნგელოზისა სწერია». მთლად ნათელი არ არის მხოლოდ ვ. ალაპი, სადაც ნათქვამია; «ალაპი არს იე მონაზონისაჲ და აბუჰარბისი და თორნიკისი»; ამათაც იმავე წესით იხსენიებდეთ «ვითა სუნგელოზისასა სწერიაო». აქ „თორნიკი“ და „სუნგელოზი“ სხვადასხვა პირი უნდა იყოს. ეს მით უმეტეს საფიქრებელია, რომ „სინას მთაზე დაცულ 977 წლის სამოთხეში თორნიკე, ბიძა ექვთიმესი, ანდენძში იხსენიებს ექვთიმეს მამას, იოანე ვარაზფაჩეს, და მის შვილებს: მიქაელს, ჩოროლოჭდის, ჩორდვანელს და თორნიკეს“ (აქ ხაზი ჩვენია. ს. ყ.) (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია“ ტ. I, გვ. 164, 1941 წლის გამოცემით).

995 ზ. ომბენ ხელდის სიგელი

Σιγίλλιον¹ γενόμενον παρὰ Ἰω(ά)ννου) δουλός τῶν Ἀρμενιακῶν, τῶν Βουκελαρίων² καὶ τῆς Θεσσαλονί(κης) τοῦ Χάλδου καὶ ἐπιδοθέν ἡμῖν⁴ Εὐθυμῶ μοναχ(ῶ) τῷ Ἰβειρι⁵ τὸ σὺδ⁶ τοῦ ἐνλαβεστάνου μ(ονα)χ(ου) τοῦ κυροῦ Ἰω(άννου) εἰς ἐξκουσίαν⁷ τῆς μονῆς τοῦ Κολοβου καὶ τὸν αὐτῆς παροίκον⁸ κατὰ τὴν δύναμιν⁹ τοῦ ἐπιφερομένου παρ' αὐτῆς χρυσοβούλου¹⁰ τῶν ἀριθμῶν¹¹ τεσσαράκοντα, οἱ καὶ εἰσὶν ἡ¹² μὲν ἑπὶ τὸ κάστρον Ἐρρισσοῦ, ἡ¹² δὲ καὶ ἔχουσ[σι] πέρειξ τοῦ τοιούτου κάστρου κτήματ(α) τῆς αὐτῆς μονῆς μὴν σ(επτε)μ(βρίω) ἡνδ(ικτιῶνος) ἐνάτης †

Ἐπειδὴ... ἡ τοιαῦτη¹³ εὐαγεστατή μων(ή)¹⁴ ἡ οὕτω καλλουμένη¹⁵ τοῦ Κολοβου χρυσοβουλον¹⁶ ἐπιφέρεται ἔχουσα ἔκουσεύην¹⁷ ἀπὸ τῶ¹⁸ κάστρου. Ἐρρισσοῦ¹⁹ καὶ ἔχουσα πέρειξ τοῦ τοιούτου κάστρου κτήματ(α) [καὶ παροίκους] τῶν²⁰ ἀριθμῶν τεσσαράκοντα²¹, βουλόμεθα καὶ

სიგელი გაცემული იოანე ხალდის მიერ, რომელიც არის დუქსი არმენიაკთა, ბუკელართა და თესალონიკისა, და ბოძებული თქვენდამი, მონაზონ ექვთიმე იბერიისადმი, სათნო ბერის უფალი იოანეს ძისადმი, მეუვალობისასათვის კოლოვუს მონასტრისა და მისი ვლენებისა (თანახმად მის, ე. ი. მონასტრის, მიერ წარმოდგენილი ხრისობულებისა, რიცხვით ორმოცისა, რომლებიც ერთნი ეკუთვნიან ერისოს მიდამოებს, სხვები კიდევ ამავე მიდამოებში არსებულ სამფლობელოებს მონასტრისას. თვესა სექტემბერსა მეცხრე ინდქტიონისას.

რადგან... ეს უწმინდესი მონასტერი, ეგრეთწოდებული კოლოვუ აღდგენს ხრისობულს [იმიხვესახებ], რომ მას აქვს შეუვალობა ერისოს მიდამოების მიმართ და აქვს სამფლობელოები ამ მიდამოების გარშემო (და ვლენები) რიცხვით ორმოცი, ჩვენც ვგსურს თანახმად ამ ოქმში გა-

¹ Σιγίλλιον ² Βουκελαρίων ³ Θεσσαλονίκης ⁴ ἡμῖν ⁵ Ἰβηρι
⁶ τῷ σὺδ ⁷ ἐξκουσεῖαν ⁸ τῶν αὐτῆς παροίκων ⁹ δύναμιν ¹⁰ χρυσοβούλου
¹¹ τὸν ἀριθμῶν ¹² οἱ ¹³ τοιαῦτη ¹⁴ μονή ¹⁵ καλλουμένη
¹⁶ χρυσοβουλον ¹⁷ ἐξκουσεῖαν ¹⁸ τὸ ¹⁹ Ἐρρισσοῦ ²⁰ τὸν
²¹ τεσσαράκοντα

ἡμῆς¹... κατὰ τὴν δόγμαμην² τοῦ
 τοιαύτου ἐ[γ]νοσγράφου(!?) χρο-
 νοβούλου³ ἐγ[κουσ]σέσθαι⁴ ἀν-
 τὸν ἀπὸ παντοίας ἐνοχ[λί]σεως⁵
 καὶ ἐπηρείας⁶ καὶ διορίζωμεν⁶
 ἐγκουσεύειν⁷ ἀπὸ τε τουρμαρχ-
 χ(ῶν), μεραρχ(ῶν), χαρτουλαρίων
 τοῦ θέματος, κομήτων⁸ τῆς κόρ-
 τῆς, δρου[γ]γαροκομήτων καὶ δω-
 μεστίκων⁹, ἐτι δὲ καὶ τοῦ ἀντι-
 (προ)τωποῦντος ἡμῶν¹⁰, σὺν ἀν-
 τῷ πρωτοκεντάρχῳ¹¹, προελευσι-
 μέων¹², καὶ παντὶ¹³ ἑτέρου τοῦ
 παρημῶν¹⁴ τὴν οἰκονομῶν δουλείαν
 μεταχειριζόμενου¹⁵ [ἡ] ἐχ[ον-
 τος(?)] καστροκτισίαν¹⁶. Καὶ τοῦ
 δηδωμένου¹⁷ χώρου¹⁸ καὶ προσ-
 σοδίου¹⁹, ἀλλὰ καὶ μητάτου καὶ
 λοιπῆς, πασις ἐπιρείας²⁰ διαφω-
 λάττεσθαι²¹, αὐτοῦς ἀνενοχλεί-
 τους. Καὶ ἔστωσαν οἱ τοιαῦτοι
 τεσσαράκοντ(α)²² σιχ(οι) καθυ-
 περετήν²³ τὴν ἀπὸ²⁴ μονῆ σὺν
 τοῖς ἐκῆ²⁵ σε[βασμίαις] μοναχοῖς
 καὶ ὑπερέχουσθαι ὑπὲρ τῶν θρο-
 στεφῶν καὶ ἀγίων²⁶ ἡμῶν βασι-
 λέων²⁷ καὶ τοῦ κ[ρά]τους(?). Ἡ²⁷
 δὲ τῆς²⁸ ἀπ[ε]μ[ε]τῆς [δ]ι[κ]ῆ καὶ
 τὰ παρ' ἡμῶν ἐν τῷδε τῷ²⁹ σιγι-
 λ[ί]ῳ ὄντα οὐ φυλάξει³⁰, [ἀλλὰ

ტარებული ხრისობულისა მივცეთ
 მათ შეუვალობა ყოველგვარი შე-
 წუხებისაგან და ხარვეისაგან და
 დავადგინოთ შეუვალობა თემის
 ტურმარხებისაგან, მერარხებისა-
 გან, ხარტულარხებისაგან, მთა-
 ვარსამმართველოსაგან*, დრუ-
 გართ მმართველისაგან და დო-
 მესტიკთაგან, აგრეთვე ჩვენნი
 (ე. ი. კეისრის) წარმომადგენლი-
 საგან, მასთან ერთად მთავარი
 ასისტავისაგან, წინმობედთაგან
 და ყოველგვარი სხვა პირისაგან,
 რომელიც ჩვენთან რაიმე სამსა-
 ხურს ასრულებს ან ციხის მშე-
 ნებლობას ემსახურება. (თავი-
 სუფლდება) აგრეთვე თივით და
 პროსოდინით მომარაგებისაგან,
 ბინის მოვნისაგან, და ყველა სხვა
 სამსახურისაგან დაცული არიან
 ისინი მშვიდად და უზრუნველად.
 და ეს ორმოცი გლეხი განკუთვ-
 ნილი არიან ემსახურონ თვით
 ამ მონასტერს და იქ მყოფ პა-
 ტიოსან მონაზონებს და ილოტონ
 ღვთივგვირგვინოსანი ჩვენი წმინ-
 და მეფეებისთვის და სახელმწი-
 ფოსთვის. ხოლო თუ ვინმე არა-
 მორჩილი აღმოჩნდება და ჩვენ
 მიერ ამ სიგელში აღნიშნულს არ

¹ ἡμεῖς ² δόγμαμην ³ χρονοβούλλου ⁴ ἐγκουσεύσθαι ⁵ ἐπι-
 ρείας ⁶ διορίζομεν ⁷ ἐγκουσεύειν ⁸ κομήτωγ ⁹ δομεστίκων
¹⁰ ἡμῶν ¹¹ πρωτοκεντάρχων ¹² προελευσιμαίων ¹³ παντός ¹⁴ παρ'
 ἡμῶν ¹⁵ μεταχειριζόμενου ¹⁶ καστροκτισίαν ¹⁷ δεδομένου ¹⁸ χώρου
¹⁹ προσοδίου ²⁰ πάσης ἐπιρείας ²¹ διαφυλάττεσθαι ²² τεσσαράκοντα
²³ καθυπερετείν ²⁴ τῆ ἀπὸ ²⁵ ἐκεῖ ²⁶ ἀγίων ²⁷ ἐι ²⁸ τις
²⁹ τῷδε τῷ σιγίλλῳ ³⁰ φυλάξει

* Stabs quartiermeistern, head-quarters.

καὶ μόνον ἔξ αὐτῶν¹ παραβλά-
ψη, γηγοσκάειτο² ὁ τοιοῦτως³,
(ὅτι) μεγάλην ἀγαπάκησιν [ἡ]μῶν
ἰποστίσεται⁴. Διὸ καὶ πρὸς τε-
λεῖαν πληρωφορίαν⁵ καὶ πιστο-
σιν⁶ τῶν⁷ ἐντυχόντων⁸ τῷ⁸ πα-
ρῶν ἡμῶν σι(γίλλι)ον τῆ συνί-
ψι(ει) ἡμῶν βουλαί⁹ σφραγίσαν-
τες¹⁰ ἐπιδεδόκαμεν¹¹ μῆνι [καὶ]
[ἐ]πι(δικατῶν) τῆ¹² προγεγραμμένη

დაიცავს, (არამედ) მხოლოდ სა-
ზიანოდ გამოიყენებს მას, ასეთი
კაცი ჩვენს დიდ წყრომას მიემ-
თხვევა. ამიტომ სრული უექვე-
ლობისა და დანაჯერებლობისა-
თვის იმათი, ვისაც ეს საქმე შე-
ეხება, წინამდებარე ჩვენი სიგელი
დავბეჭდეთ ჩვენი ჩვეულებრივი
ბეჭდით და ისე გამოვეცით წინ-
წარწერილ თვესა და ინდიქტიონს.

† Ἰωάννης δούξ ὁ Χάλδος [†]

დუკი იოანე ხალდი

(Fr. Dölger, Aus den Schatzkammern, 155).

ამ სიგელის შინაარსი ასეთია: იოანე ხალდი, რომელიც არის გა-
ერთიანებული (არმენიკთა, ბუკელართა და თესლონიკის) თემის სტრა-
ტეგოსი (დუქსი, Δυξ), სიგელს ანიჭებს ექვთიმეს, იოანე იბერის
შვილს, კოლოვუს მონასტრის და მისი საბეგრო გლეხების განთავი-
სუფლების შესახებ გადასახადებისაგან. ეს გლეხები, რიცხვით 40, ზოგნი
ქალაქ იერისოს საბეგრო უბანს ეკუთვნიან, სხვებს კიდეც მონასტრის
მამულები უჭირავთ იერისოს მხარეში. 979/980 წლის საბუთის წარ-
მოდგენის საფუძველზე სიგელის გამცემს სურს, რომ მონასტერი დაუ-
ბეგრავი დარჩეს და მიენიჭოს მას შეუვალობა თემის ტურმარხებისა-
გან, მერარხებისაგან, ხარტულარებისაგან... თავისუფალი იყვნენ აგრე-
თვე თივით მომარაგებისაგან. 40 საბეგრო გლეხი განკუთვნილი უნდა
იყვნენ მონაზონთა სამსახურში, რათა მათ შესძლონ კეისრებისათვის
(იგულისხმებიან ბასილ II და კონსტანტინე VIII) და სახელმწიფოსათ-
ვის ლოცვა. ვინც ამ ბრძანებას არ დაემორჩილება, დაიმსახურებს
სიგელის გამცემის რისხვას. სანდობის ღირსების მინიჭებისათვის ამ
სიგელს თავის ჩვეულებრივ ბეჭედს ადებს სიგელის გამომცემი.

საჭიროდ ვთვლი მთლიანად მოვიყვანო რასაც წერს ფრ. დელ-
გერი ამ ხრისობულის შესახებ (Aus den Schatzkammern, გვ. 153—
154).

«მეორე სტრიქონში კოლოვუს მონასტრის წინამდგრად მოხსენიე-
ბული მონაზონი ექვთიმე იბერი ცნობილია ჩვენთვის როგორც
ივერთა მონასტრის დამაარსებლის იოანე იბერის ვაჟი.

¹ αὐτῶν ² γηγοσκάειτο ³ τοιοῦτως ⁴ ἰποστίσεται ⁵ πληρωφορίαν

⁶ πιστοσιν ⁷ τῶν ⁸ τὸ παρὸν ⁹ βούλλη ¹⁰ σφραγίσαντες ¹¹ ἐπι-
δεδόκαμεν ¹² τῆ.

«იოანე იყო დიდი ლავრის დამაარსებლის, წმ. ათანასის მოწაფე და, როგორც მისმა თანამამ დიდ ლავრაში, გამოითხოვა ამ ლავრისათვის შეღავათი 976—979/80 წლებში და „შემდეგ“ დააარსა კლემენტის ლავრა, გვიან რომ „ივერთა ლავრა“ ეწოდა¹. რომ ეს მონასტერი 979/80 წელს უნდა იყოს დაარსებული, ამას ადგენს არამარტო *terminus ante quem* (984 წ.), რომელიც იგულისხმება 984 წლის ციტირებული საბუთიდან, არამედ აგრეთვე ერთი ადგილი ერთი გამოუქვეყნებელი (ჩვენს განკარგულებაში არსებობს მისი ფოტოპირი) ლეონ პატრიკიოსისა და აღმწერალის საბუთი, 980—1025 წლებში შედგენილი, რომელშიაც თავმოყრილია ცალკეული სამეფო შეღავათები, რომლებიც ჰქონდა თავისი სხვადასხვა მონასტრებისათვის იოანე იბერს; ამ საბუთში ნათქვამია, რომ მას ჰქონდა ერთი ხრისობული, «ნეტარსენებული მეფის უფალ ბასილი პორფიროგენეტის მიერ 6488 (=980) წელს იოანე ბერისა და თორნიკე სინგელოზისადმი გაცემული ოქრობეჭედი, რომლითაც მეფე სანაცვლოდ აღუთქვამს მას, რომ ბოძებული იქნება ლეონტიას მონასტერი თესალონიკეში, და კოლოფუს მონასტერი იერისოში, გარდა ამისა კლემენტის მონასტერიც...»². იოანე, რომლის გვარი *Tornikios* ამ საბუთიდან შევიტყუეთ, კლემენტის მონასტერს ღებულობს სხვა მონასტრებზე გაცვლის წესით, 979 (980) წელს, ხოლო სულ მოკლე ხანში საკუთარ ლავრას ააარსებს.

«ამავე ხანებში მას შეუძენია, ზემოთ ციტირებული ცნობის მიხედვით, კოლოფუს მონასტერი, რომელიც მანამდე თვითთავადი იყო³ და რომელსაც იხსენიებს ჩვენი სიგელი 3. სტრიქონში.

«იოანე 1008 წლის წინა ხანებში გარდაიცვალა⁴ და კლემენტის მონასტრის წინამძღვრობა თავის შვილს ექვთიმეს გადასცა, რომელიც ამ თანამდებობაზე გვევლინება ამ ჩვენს 995 წლის საბუთშიც (შდრ. ერთი გამოუქვეყნებელი კერძო საბუთი ექვთიმესი 1012 წლისა, ივერთა საბუთი 55 და ი. 103.8 1015 წლისა). მაშასადამე, თუ მან, როგორც ეს ჩვენი საბუთიდან ჩანს, 980 წელს შექმნილი კოლოფუს მეტეხი თავის ვაჟს ექვთიმეს გადასცა, ეს უნდა მომხდარიყო 980-სა და

¹ 1080 წლის საბუთში მას ეწოდება: *της βασιλικῆς Αυτῆς τῶν Ἰβήρων*.

² ეს ის სიგელია, რომელიც ზემოთ გვაქვს დაბეჭდილი. იხ. ზემოთ გვ. 170.

³ ამის შესახებ იხ. *Aus den Schatzkammern* ი. 107,32, 942 წლის საბუთში.

⁴ ამის საბუთად დრ. დელგერი ასახელებს 1008 წელს 22 მაისს კლემენტის მონასტრისათვის შედგენილ ოქმს, სადაც სწერია, რომ ის მიწის ნაკვეთი, რომლის გარშემო დავაა, კლემენტის მონასტრის წინამძღვარმა იოანე იბერის ვაჟმა (ე. ი. ექვთიმემ) გადასცა მთავარდიკონ კოსტანტინეს. მაშასადამე 1008 წელს წინამძღვრად ყოფილა ექვთიმე და არა იოანე.

1008 წლებს შუა; მაშინ ჩვენი საბუთის თარიღი, ინდიქტიონის ჩვენების მიხედვით, შეიძლება იყოს 980 ან 995 წელი (სექტემბერი). დაუჯერებელია, რომ 979/80 წლის ხრისობული, საიდანაც ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ გარდამწყვეტი მნიშვნელობის ცნობა, თუმცა მიენიჭა სამეფო კარზე უაღრესად გავლენიან იოანე იბერს, როგორც კოლონუს მონასტრის ახალ მფლობელს, მაგრამ მასში სრულიად არ იხსენიება ექვთიმე, რომელიც წინამდებარე საბუთით იმ მეტეხის წინამძღვარია, შემდეგ — რომ იოანემ ახალი და მნიშვნელოვანი მეტეხი მაშინვე, საფიქრებელია, ჯერ კიდევ ახალგაზრდის (წმ. ათანასეს 984 წლის საბუთში რომ სრულიად არ იხსენიება) ვაჟს ექვთიმეს გადასცა, — ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ საბუთის თარიღია 995 წელი.

«ჩვენი სიგელის გამომცემს, თესლონიკის ღუკს იოანე ხალდს, ვიცნობთ სხვა წყაროთი. სკილიცა-კედრენე (II 467,15) გვაცნობებს 1018 წლისათვის, რომ, სხვათა შორის, სტრუმიცის კომენდანტი დრაგომუში ბასილ II ძღევამოსილ კეისარს შეეტაკა და უკვე „23 წლის აქეთ“ სამუილ მეფის ბულგარულ ტყვეობაში მყოფი პატრიკიოსი იოანე ხალდი თან წაიყვანა. მაშასადამე, იოანე 996 წელს ტყვედ იქნებოდა წაყვანილი, რაც, ნამდვილად, დასტურდება სკილიცას ტექსტის ერთი მინაწერით, რომელიც ეპისკოპოს მიხეილ დეაბოლისს 1118 წელს გაუკეთებია (ვენის ხელნაწერი U): B. Prokič. Die Zusätze in der Handschrift des Johannes Skylitzes cod. Vind. Hist. Gr. LXXIV, München 1906, n. 10: ὁ δὲ Σαμουήλ... τὸν δεσπῆα Θεσσαλονίκης Ἰωάννην πατρικίον τὸν Χάλδον ἐζῶγρησεν („სამუილმა თესლონიკის ღუკა პატრიკიოსი იოანე ხალდი დაატყვევა“).

«აქამდე მხოლოდ ის სიძნელე იყო, რომ ეს მინაწერი მიხეილ დეაბოლისს 1002—1010 (და არა 995) წლების ამბებისათვის მოჭყავდათ. რადგან Prokič გვ. 42 ვარაუდობს, რომ შენიშვნა მხოლოდ უაღბ ადგილას მოხვედრილა, V. Zlatarski-ს სურს (Istorijata na pürvoto bülgarsko carstvo, t. II, Sofia, 1927, S. 726, A. 2) იოანე ხალდი მიიჩნიოს თესლონიკის ღუკის ნიკიფორე ურანოსის შემკვიდრედ 1000—1004 წლებში და 1004 წელს დატყვევებულად. უკანასკნელი იმიტომ მიმჩნია შეუძლებლად, რომ სკილიცა-კედრენე 454,9 ნიკიფორე ურანოსის 1000 წელს უკან გაწვევის ცნობასთან დაკავშირებით ხაზგასმით აღნიშნავს — კეისარმა თესლონიკეში „მის შემკვიდრედ“ პატრიკიოსი დავით არიანიტე გაგზავნაო. ნიკიფორე აგრეთვე ერთს 1101 წლის საბუთში იხსენიება პატრიარქ სერგის დროს

(1107—1119) თესალონიკეში თანამდებობის მქონედ (ΕΕΒΣ 3, 1926, 114,9).

«თუმცა 995 წლისათვის (სკილ.-კედრ. 449,6 შმდ.) მოთხრობილია ღუკის გრიგოლ თესალონიკელის ვაჟის აშოტის დატყვევებაზე და ამის უშუალოდ მომდევნო სიკვდილზე მამის ჯარისკაცისა და მოცემულია ცნობა, რომ კეისარმა ამ ცნობის მიღებისთანავე ნიკიფორე ურანოსი თესალონიკეში გაგზავნა, მაგრამ არაფერია ნათქვამი იოანე ხალდზე, რომლის ღუკობა სწორედ ამ დროს ხვდება, მაგრამ ადვილად ასახსნელია, რომ მწერალმა იოანეს ეფემერული მმართველობა (995/6) გამოსტოვა და აშოტის დატყვევების აღწერის შთაბეჭდილების ქვეშ (მისი რომანტიკული შედეგებით) დაავიწყდა იოანეს მოხსენიება. ყოველ შემთხვევაში ჩვენი სიგელი, რომელიც მხოლოდ 995 წელს შეიძლება ეკუთვნოდეს, წარმოადგენს პროკიჩის აზრის დადასტურებას.

მიხეილის ამ საბუთს კერძო საბუთისაგან განასხვავებს შემდეგი:

1. პირველი პირის მრავლობითი რიცხვის ხმარება საბუთის გამცემის მხრით.
2. არ არის საკუთარი ხელით მოწერა (არის სახელი ან ჯვარი) ტექსტის წინ და
3. საბუთის გამცემის ტყვიის ბეჭდით დაბეჭდვა.

996 წ. სიმტკიცის საბუთი

ათონის პროტოსი იოანე და იგუმენთა საბჭო უთმობენ ათანასი ბერს მონოქსილიტის მონასტერს (μονή τοῦ Μονοξυλίτου). საბჭოს ეს აქტი გამოსცა ალექსანდრე E. Lauriôtès-მა: Βιβλ. Βρ. IV (1899) 452—453. ამ აქტს იცნობს Smyrnakis Ἐὶς ἄγιον Ὄρος, გვ. 40—42.

† Ἰωάννης μοναχὸς ὁ πρῶτος, καὶ οἱ λοιποὶ καθ' ἡγουμένιοι τοῦ καθ' ἡμᾶς ἁγίου ἔρους τοῦ Ἄθωνος, τὴν παροῦσαν ἔγγραψον καὶ ἐνυπόγραφον ἀσφάλειαν ποιῶμεν ἔκουςίᾳ ἡμῶν τῇ γυνάμῃ καὶ συμπροθύμῃ πολλῇ καὶ ὀλοψύχῃ προθέσει, ἀπὸ κοινῆς συμβουλίας καὶ καταθέσεως, πρὸς σὲ Ἀθανάσιον μοναχὸν τὸν πνευματικὸν ἡμῶν ἀδελφὸν καὶ καθ' ἡγουμένιον τῆς βασιλικῆς¹ Λαύρας τῶν Μελαγῶν, ἐπὶ ὑποθέσει ται-
 ასუთი².

Ἐπειδὴ, ἡτήσω ἡμᾶς τὴν μονήν τοῦ Μονοξυλίτου, ἔρημον ὄσαν καὶ ἄπορον παντελῶς, εἰς τὸ καλλιεργῆσαι, εἰ ἔστι σοι πρὸς δύναμιν, καὶ φιλοκαλλῆσαι αὐτήν εἰς ὅσῃν βουλευθείης χρεῖαν, μετὰ χαρᾶς ἀπεδέξάμεθα τὴν τοιαύτην σου ἀξίωσιν, ἐπεὶ ἠρῶμεν ὅτι καὶ τὸν τόπον τοῦ Ἰλατέως, ἔν ἡτή-

პროტოსი იოანე მონაზონი და ჩვენნი წმიდა ათონის მთის დანარჩენი წინამძღვრები წინამდებარე სიმტკიცის საბუთს და დაწერილობას გაძლევთ ჩვენნი საკუთარი თავისუფალი ნებით და სრულიადი თანაგრძნობით და მთლიანსულით, საერთო განბჭობით და დადგენილებით შენ, ათანასი ბერს და ჩვენს სულიერ ძმას და მელანთა სამეფო ლავრის წინამძღვარს შემდეგი მიზეზის გამო.

ვინაიდან შენ გვთხოვე ჩვენ მონოქსილიტის მონასტერი, რომელიც უკაცრიელი იყო და სრულიად ღარიბი, რათა იმისთვის მოგველო, შენი ძალ-ღონისდა კვალობაზე, და იგი გამოგვეკეთებინა, რა საქმეობისთვისაც ვინდოდეს, ჩვენ სიხარულით ვაკმაყოფილებთ შენს ამ თხოვნას,

¹ βασιλικῆς] μεγάλης Laur.

² თრჩხილებში ჩასმულ სიგელებს აღადგენენ გამომცემელი სხვა, 991 წელს გამოტანილ საბჭოს დადგენილებას ანალოგიით.

σα πρὸ ὀλίγων ἐνιαυτῶν, ἐφιλο-
κάλλησας αὐτὸν καὶ ἀνήγειρας
κελίαν ἐν αὐτῷ.

.....
.....

Εἰμ' οὕτως ἰσχυρὰν εἶναι τῆν
παροῦσαν ἔγγραφον καὶ ἐνυπὶ-
γγραφον ἀσφάλειαν[?] μὴν Ὀκτω-
βρίῳ ἰνδίκτ. ε', ἔτους ,σε'.

Ἰωάννης ὁ πρῶτος τοῦ ἁγίου
Ἰβρους.

Νικηφόρος μοναχὸς ἡγούμενος
τοῦ Βατοπαΐδου.

Ἰωάννης μοναχὸς ὁ Ἰβήρων.

რადგან ვხედავთ, რომ პლატის
ადგილი, რომელიც შენ გვთხოვე
ამ რამდენიმე წლის წინათ, გაგიმ-
შვენეიერებია და აღვიმართავს
მასში სენაკები.

.....
.....

ამგვარად ძალა მიეცა წინა-
მდებარე საბუთსა და დაწერი-
ლობას თვესა ოქტომბერსა[?],
ინდიქტიონსა ხუთსა, წელსა 6505
(=996 თუ 997).

იოანე, წმინდა მთის პრო-
ტოსი.

ნიკიფორე ბერი, ვატოპედის
წინამძღვარი.

იოანე ბერი, იბერთა [წინა-
მძღვარი?].

ამას მოსდევს სხვა თხუთმეტი ხელისმოწერა, წინამძღვართა და
სხვათა.

შენიშვნა 1: გამოცემის ავტორები (Rouillard და Collomp)
შენიშნავენ: R' ნუსხათა ჯგუფი შეიცავს 21 ხელმოწერას, ალ. ლავ-
რიოტისა—19 და Ἑλληνικά-ს შენიშვნა—17; ნიკიფორე ვატო-
პედის ხელწერა აკლიათ Laur., Smyrn. და Ἑλληνικά; იოანე
ივირონის და პავლე ქსეროპოტამოს ხელწერა აკლია Ἑλληνικά-ს;
იოანე ქსეროკასტრელს, ანტონი კაჭარელს, ბასილ წმ.-თეოდოსისას
და სხვებს უჭირავთ სხვადასხვა ადგილი წარმოდგენილ სიებში.

1000 წ. „გამიჯვანის აქტი“

დავა აქვთ ადგილების გამო ბერ ნიკოლოზს თუ Κόσπαιος და ბერ სვიმონს თუ Ἀτζιῶάννου. ამ დავის გამო შეიკრიბნენ პროტოსი ნიკიფორე და მრავალრიცხოვანი წინამძღვრები და გამოსცეს „გამიჯვანის აქტი“, შესახებ სადავო მიწებისა.

Ἐπειδήπερ περὶ τὸν τρόπον τὸν μεταξὺ τοῦ τε κυροῦ Νικολάου τοῦ Κόσπαιος καὶ τοῦ κύρου Συμεῶν τοῦ Ἀτζιῶάννου διαφόρως τοὺς προειρημένους φιλονικεῖσθαι συνέβη καὶ εἰς ἔγκλησιν ἐλθεῖν ὡς καὶ χρεῖαν γεννηθῆναι ἐπιτοπίως παραγεῖσθαι πρῶτον μὲν τὸν κυρὸν Ἰωάννην τὸν πρῶτον μετὰ καὶ ἐτέρων πολλῶν διαφόρων ἡγουμενῶν, ἄλλοτε δὲ πάλιν τὸν κυρὸν Νικηφόρον, ἔπειτα τὸν κυρὸν Παῦλον κατὰ τοὺς ἰδίους ἕκαστον τῆς πρωτεύσεως χρόνους διαχωρισμὸν τε πολλάκις ποιῆσαι καὶ θρια πῆξασθαι, (καὶ) οὗτοι τοῦ φιλονικεῖν οὐκ ἐπαύσαντο ἄλυσιτελεῖς δὲ ὑπῆρχε, μᾶλλον δὲ καὶ ζημιῶδες καὶ ἐπιβλαβές, τὸ τοὺς μοναχοὺς μάχας καὶ φιλονικίας ἔχειν, καὶ τὸν τῆς ἀγάπης καὶ εἰρήνης σύνδεσμον δι' οὐδαμινὰ καὶ σμικρὰ πράγματα λύειν, ἐκρίναμεν ἐπὶ τὸ αὐτὸ συνελθεῖν ὁμοθυμᾶδον ἐπὶ τῷ ἐπιμάχῳ τῷ ὅπῳ καὶ πρὸς δμόνοιαν

როდესაც ადგილის შესახებ დავა იყო უფალ ნიკოლოზ კასპაელსა და უფალ სვიმონ აჯიოთანუს შორის და მოხდა ისე, რომ ნაირნაირად წამოყენებულ საბუთით იბრძოდნენ და ბრალდებები წამოაყენეს, რათა ადგილობრივ განხილულიყო საქმე, ჯერ პროტოსი, უფალი იოანე, სხვა ბევრ სხვადასხვა წინამძღვრებთან ერთად, მერე კვლავ უფალმა ნიკიფორემ, შემდეგ უფალმა პავლემ სცადეს ხშირად თავიანთი პროტოსობის დროს გაყოფა მოეხდინათ და სამიჯნე ძალოები ჩაერჭოთ, მაგრამ იმათ არ შეწყვიტეს ერთმანეთში დავა და უსარგებლო იყო, უფრო მეტიც: საზიანო და მავნე, რომ მონახონებს შეტაკებები და დავა ჰქონოდათ და რომ სიყვარულისა და მშვიდობიანობის კავშირი დარღვეულიყო არაფრის-მაქნისი და უკნინესი საქმეების გამო, — ამიტომ განვსაჯეთ ერთხმად შეკრებილიყავით თვით სადავო ადგილზე თანხმობისა და სიყვა-

και ἀγάπην συνελάσαι τοὺς ἀδελ-
 φούς, πᾶσάν τε μάχην και ταρά-
 χην και ἀνωμαλίαν ποιήσασθαι
 ἐκ μέσου εἶναι, τὸ παρὸν δὲ
 ἐκθίβειναι ὑπόμνημα, ἕξασφαλισά-
 μενοι αὐτοὺς ἀμετάτρεπτον και
 ἀνακλῶιτων τὸ τοιοῦτον εἰς τὸ
 ἕξῃς φυλάττειν δικαίωμα.

Συνήλθομεν οὖν ἐπὶ τὸ αὐτό,
 ὃ τε κυρὸς Νικηφόρος ὁ πρῶτος,
 και ὁ κυρὸς Ῥαφαηλ ὁ τοῦ Ἐη-
 ροποτάμου, και ὁ κϋρ Θεοφύ-
 λακτος ὃ τε κϋρις Εὐθύμιος
 ὁ Ἰβηρ, μετὰ και λοιπῶν προ-
 κρίτων ἡγουμένων τοῦ καθ' ἡμᾶς
 ἀγίου ὄρους, και διεχωρίσαμεν
 τὸν φιλονεικούμενον τόπον, μετὰ
 φόβου Θεοῦ και ἀληθείας.

.....

Διὰ τοῦτο γὰρ και τὸ παρὸν
 ὑπόμνημα ἕξῃς και ἐπεδῶθη
 ἀμφοτέροις τοῖς μέρεσιν εἰς βε-
 βαιώσιν αὐτῶν και ἀσφάλειαν,
 γραφὲν διὰ χειρὸς Ἰωάννου μο-
 ναχοῦ πρεσβυτέρου και μαθητοῦ
 τοῦ κυροῦ Εὐθυμίου και ἐπιβε-
 βαιωθὲν τῇ αὐτοχείρῳ ἡμῶν ὑπο-
 γράφῃ μηνί Ἀπριλίῳ Ἰνδικτ.
 δεκάτῃς ἔτους ,σφῆ' (6508).

- † Νικηφόρος ὁ πρῶτος.
- † Πασλος.
- † Θεοφύλακτος μοναχός.
- † Εὐθύμιος ὁ ἐλάχιστος μονο-
 χῆς και πρεσβύτερος† ()

R¹: εἰς δι' ἐβηριτικῶν
 γραμμᾶτων.

რულისკენ მიგვეხმო ძმები და
 გზიდან აღმოგვეფხრა ბრძოლა,
 შფოთი და უსამართლობა, და
 დავდეთ წინამდებარე მოსაგონარი.
 რათა უზრუნველგვეყო
 ისინი უქცეველად და უცვლელად
 დაეცვათ ეს სამართალი.

შევიკრიბენით ამ საქმის გა-
 მო უფალი ნიკიფორე პროტო-
 სი, უფალი რაფაილ ქსეროპო-
 ტმისა, უფალი თეოფილაქტე და
 ბატონი ექვთიმე იბერი ჩვე-
 ნი მთაწმინდის დანარჩენ წინამ-
 დღვრებთან ერთად, და სადავრ
 აღვილი გავყავით ღვთის შიშისა
 და ჭეშმარიტების მიხედ-
 ვით.

.....

ამიტომაც შესდგა წინამდებ-
 არე მოსაგონარი და გადავცა
 ორივე მხარეს მათ დასარწმუნებლად
 და სიმტკიცისათვის, დაწერილი
 უფალ ექვთიმეს მოწაფის იოანე მონახონ-
 ხუცესის ხელით და დადასტურებული
 ჩვენი საკუთარი ხელით ხელმოწერით
 თვესა აპრილსა, ინდიქტიონსა
 მეათესა, 6508 (=1000) წელს.

- ნიკიფორე პროტოსი.
- პავლე.
- თეოფილაქტე ბერი.
- ექვთიმე უმცირესი მონახონი
 და ხუცესი ()

R¹: მან ერთმა [მთაწერა
 ხელი] იბერიული ასოებით.

† Κοσμάς μοναχός τῶν Γλωσσίων.

† Συμεὼν μοναχός ὁ Λουτρακίου.

† Ἀντώνιος τοῦ κυροῦ Ἰλαρίωνος.

† Ἀριστόβουλος μοναχός.

† Συμεὼν μοναχός.

† Νικηφόρος μοναχός ὁ τοῦ Στραβονικήτα.

† Γεώργιος ὁ ἐλάχιστος μοναχός πρεσβύτερος καὶ ἡγούμενος τοῦ κυροῦ Γεωργίου.

† Μιχαήλ μοναχός καὶ ἡγούμενος τοῦ Ῥαβδᾶ.

† Ἀγαθάγγελος μοναχός καὶ ἡγούμενος ἐλάφ Θεοῦ πρεσβύτερος.

† Εὐστράτιος μοναχός καὶ ἡγούμενος τοῦ Μαγουλᾶ.

† Συμεὼν μοναχός ἀρεσθίεις¹ ἐπὶ πᾶσι τοῖς προγεγραμμένοις ὀκειῖν χεῖρι ἠπέγραψα.

კოზმა მონაზონი, გლოსი-ელთა.

სვიმეონ მონაზონი, ლუტრაკიელი.

ანტონი, ილარიონ უფლისა.

არისტობულე მონაზონი.

სვიმეონ მონაზონი.

ნიკიფორე მონაზონი, სტრა-ვონიკეტასი.

გიორგი, უმცირესი მონაზონი ხუცესი და წინამძღვარი, უფლისა გიორგისა.

მიხეილ მონაზონი და წინამძღვარი რავდისა.

აგათანგელოს მონაზონი და წინამძღვარი, ღვთისშეწვევით ხუცესი.

ეესტრატი მონაზონი და წინამძღვარი მაგულასი.

სვიმეონ მონაზონმა მომწონებელმა ყველაფერ ზემოთ დაწერილისა, საკუთარი ხელით მოვაწერე.

შენიშვნები: 1. რადგან აქტში აღნიშნული ინდიქტიონი და წელი ერთიმეორეს არ ეთანხმება. ამიტომ გამოძეგმელნი (Rouillard-Colomp) ფიქრობენ, რომ შეიძლება თარიღი იყოს 1012 წელი, რასაც ინდიქტიონი შეეფარდებაო.

2. უურადლებას იქცევს ის გარემოება, რომ ექვთიმე მთაწმინდელი ხელს აწერს ქართულად (და არა ბერძნულად)—*δε' ἡβηριτικῶν γραμμάτων*. ლავრის აქტების სერიაში არის 1016 (?) წლით დათარიღებული „შეთანხმება წინამძღვრებს შორის“, სადაც ივერთა მონასტრის ბერი გიორგი აგრეთვე ქართულად აწერს ხელს.

¹ ეს არის სვიმეონ აჯიიოანუ, ერთი მოღვაწეთაგანი. იხ. ზემოთ.

პრამ აქტს, როგორც ჩანს, იცნობს სოფრონ ევსტრატია-
დე, რომელიც მას იხსენიებს თავის ნარკვევში „Ιστορικὰ μνημεία
του Ἁθῶν“ (დაბეჭდილია ჟურნალში „Ελληνικά“, III [1930] გვ. 333—
384); აქტის ტექსტი მოყვანილი არაა. მხოლოდ თათბირის მონაწი-
ლეთა ხელმოწერაა, რომელიც ზედმიწევნით უდგება Rouillard-Col-
lomp-ის მიერ დაბეჭდილსა და ჩვენ მიერ ზემოთ მოყვანილ ხელმო-
წერას.

1000 (ა6უ 1012) წელი * ჩუქების აქტი

ექვთიმე ბერი აძლევს თავის შვილობილს იოანე ბერს ერთ მიწას, რომელიც მას უყილია დამიანე ბერისაგან, და მეორე მიწას, რომელიც იმყოფება საზღვრად მიწისა თჳს Μαγυσλᾶ, რათა იოანემ შეძლოს, თავისი სურვილისამებრ, იქ მოთავსდეს რამდენიმე მონაზვნით (შვილი ან მეტი), იმ პირობით რომ ზემოხსენებული მიწა არასოდეს არ გაასხვისოს არც იოანემ, არც მისმა ღოწაფეებმა და შემკვიდრებმა, და დაუბრუნდეს მონასტერს, თუ ისინი არ ისურვებენ მის დაცვას.

† Ἐν δόγματι τοῦ Πατρὸς καὶ τοῦ Υἱοῦ καὶ τοῦ Ἁγίου Πνεύματος, Ἐὐθύμιος ὁ εὐτελής μοναχὸς καὶ πρεσβύτερος τὴν παροῦσαν ἀπλήν καὶ ἀμεταμέλητον δωρεάν τιμήμι πρὸς σὲ καὶ ποιῶ, Ἰωάννην μοναχόν καὶ πρεσβύτερον, καὶ πνευματικόν μου τέκνον, ἐπὶ ὑποθήσει τοιαύτη.

Ἐπειδήπερ σὺ ὁ μοναχὸς Ἰωάννης καὶ πρεσβύτερος ἐκ νεαρᾶς ἡλικίας ἀπαρνησάμενος τὸν κόσμον καὶ καταλιπὼν πατῆράν σου συγγένειαν καὶ αὐτὸν τὸν κατὰ σάρκα πατέρα σου ἡμῖν προσεκολληθήσ, ἔτι ζῶντος τοῦ μακαρίτου καὶ ἁγίου μου πατρὸς τοῦ κυρίου Ἰωάννου, καὶ παρ'

† სახელითა მამისა და ძისა და სულისა წმიდისა, მე ექვთიმე სრულყოფილი ბერი და ხუცესი წინამდებარე მარტივსა და და უზრუნველ საჩუქარს გიძღვნი შენ და გიშვრები [ამას] იოანე ბერსა და ხუცესს და ჩემს სულიერ შვილს, შემდეგი მიზეზის გამო.

ვინაიდან შენ, მონაზონმა იოანემ და ხუცესმა, ახალგაზრდა ასაკიდანვე უარყავი ეს ქვეყანა და დასტოვე მთელი შენი ნათესაობა და თვით შენი იგი ხორციელი მამა და ჩვენ მოგვეკედლე, ჯერ კიდევ მამა ჩემის ნეტარი და წმინდა უფალ იოანეს სიცოცხლეში¹, და მიიღე ჩვენგან მონაზვნის სქიმა,

* მსოფლიოს თარიღი 6508 (=1000 წ.) და ინდიქტიონის თარიღი 10 ერთი-მეორეს არ უდგება. გადამწერის მიერ η, ალბათ, გაგებულ იქმნა როგორც ζ (20) და ამან გამოიწვია აღრევა.

¹ ესე იგი იოანე იბერი, ექვთიმე მთაწმინდელის მამა.

ἡμῶν τὸ μοναχικὸν ἔλαβες σχήμα, ἔπειτα καὶ εἰς τὸν τῆς ἱεροσύνης ἡλθες βαθμὸν, τελευταῖον δὲ ὁ ἄγιός μου πατήρ εἰς τὰς ἐμάς σε κατέλιπε χεῖρας, σὺ δὲ μετὰ τὴν ἀποβίωσιν τοῦ κατὰ σάρκα πατρός σου, εἴ τι ἂν σοι περιῆλθεν ἐκ προγονικῆς κληρονομίας τῆ καθ' ἡμᾶς προσέφερες ἐκκλησίᾳ, κατὰ τὸν τύπον καὶ κανόνα τῶν ἀληθινῶν ὑποτακτικῶν, νυνὶ δὲ ὀχληθεὶς κατὰ τὸν λογισμὸν τοῦ καθίσαι ἰδίως ἐν κελλήρ ἡξίωσάς με πολλαῖς τοῦ πρόνοιάν σου τρόπου εἰς σύσπασιν κελλείου ποιήσασθαι· αἴξας οὖν τῆ ἀξιώσει σου ἐζήτουν τρόπον ἐπιτήδειον.

Ἐπειδὴ δὲ σὺ αὐτὸς εὖρες τρόπον πλησίον ἡμῶν παρακείμενον, ἐν ᾧ πρῶτον ὁ Μιχαὴλ ἐκεῖνος ὁ λεγόμενος Αἰχμάλωτος ἐκαθίστατο, καὶ ἀρεστός σοι οὗτος ἐφάνη, ἐξωνησάμενοι αὐτὸν παρὰ τοῦ μοναχῶν Δαμιανοῦ τοῦ μαθητοῦ αὐτοῦ εἰς νομισματα τρία, καὶ ὀγδοήκοντα ἀποχαρίζομαι σοι τὸν τοιοῦτον τρόπον, καθότι καὶ εἰς λόγον σου τοῦτον ἐξωνησάμην σοι ποιῆσαι ἐν αὐτῷ κελλήρ καὶ εὐκλήριον· ἐπεὶ καὶ οἱ φίλοι σου ὑπέσχοντο συνεργῆσαι σοι, καὶ οὐδεμίαν καινοτομίαν ἢ καθ' ἡμᾶς ὑψίσταται λαύρα· καὶ καθίστασθαι σε ἐκεῖσε μετὰ τῶν ἀδελφῶν τῶν θελόντων σοι καθύπερθε εἶτε ὄνο εἶτε τριῶν, ἢ τὸ πολὺ μέχρι τῶν ἑπτὰ γε-

შემდეგ კი მოხვედი მღვდლობის ხარისხში, ხოლო უკანასკნელ წმინდა მამა ჩემმა დაგტოვა ჩემს ხელში, შენ კი შენი ხორციელი მამის გარდაცვალების შემდეგ, რაც კი რამ გადარჩა წინაპართა მემკვიდრეობიდან გადმოეცი ჩვენს ეკლესიას, ჭემმარიტ ქვემდებარეთა სახისა და კანონის მიხედვით, ხოლო ეხლა შეწყლებული (გადასახადთან დაკავშირებით) მთხოვდი ხშირად გამეთვალისწინებია შენთვის ადგილი სენაკის მოსაწყობად; ანგარიში ვაგუწვიე შენ თხოვნას და შესაფერისი ადგილი გამოვიძიე.

ხოლო როდესაც შენ იპოვე ადგილი ჩვენს მახლობლად მდებარე, რომელშიც ჯერ კიდევ გარდაცვალებული მიხელი, ეგრეთწოდებული „ტყვე“ იჯდა, და იგი შენ მოსაწონად მოგეჩვენა, მე შევისციდე იგი მონაზონ დამიანესაგან, მისი მოწაფისაგან, სამ ნომიზმად, და გიწყალობე შენ ეს ადგილი, რამდენადაც მე შევისციდე ის ადგილი იმისათვის, რომ შენ მასში მოგეწყო სენაკები და ევქტერი. და შენი ბიძები დაგპირდნენ, რომ ხელს შეგიწყობენ. და არავითარ ახალკვეთას არ მიალწევს ჩვენი ლავრა; და იქ მჯდარიყავ შენ ძმებითურთ, რომლებიც ისურვებენ შენ მოგემსახურონ, ან ორი, ან სამი, ან ბევრი, თვისთ შვილამდე განდებოდეთ თქვენ,

γέσθαι ἡμᾶς ἵνα μὴ εἰς πλεῖονα
 ἐκτεινόμενοι σύστασιν εἰς ἄνωμα-
 λίαν χωρήσητε τῆ ἐγγύτητι τῆς
 καθ' ἡμᾶς λαύρας· σύστασιν γὰρ
 ἐπάνω συστάσεως γενέσθαι ἄλυ-
 σιτελεῖς ὑπάρχει· καὶ ἔχειν σε
 ὑπ' ἐξουσίας τὸν τοιοῦτον τρόπον,
 καὶ εἰ τι ἔχει καλλιεργήσῃς, πά-
 σας τὰς ἡμέρας τῆς ζωῆς σου·
 καὶ ἀπὸς μετὰ τὴν σὴν τελευ-
 τὴν παραπέμπειν μαθηταῖς καὶ
 διαδόχοις σου καὶ ὧν ἂν φελή-
 σῃς διορίζεσθαι εἰς τὸ διηγεῖς·
 μὴ ἔχειν δὲ σε ἐξουσίαν μήτε
 τοὺς μετὰ σὲ πιπράσκειν τὸν
 τοιοῦτον τρόπον ξένοις τισὶ καὶ
 ἄλλοτρίοις προσώποις ἢ προσκυ-
 ροῦν εἰς ἕτερον μοναστήριον· ἀλλ'
 εἴπερ ἀπογενέσθαι τοῦτον φελή-
 σῃτε, παρέχειν τὸ τίμημα τὴν
 καθ' ἡμᾶς λαύραν, καὶ ἀναλαμ-
 βάνεσθαι τὸν τρόπον, καὶ τὰ ἐν
 αὐτῇ βελτιωθέντα· οὕτω δὲ κατὰ
 διαδοχὴν παραπέμπειν ἀλλήλοις,
 καὶ ὡς ἔχεις αὐτὸς διορίσασθαι.

Σὺν δὲ τῇ τοπίῳ τῇ ἐξωνη-
 θέντι παρὰ τοῦ μοναχοῦ Δαμια-
 νοῦ ἀπέσπασα καὶ ἕτερον ὀλίγον
 τόπον ἐκ τοῦ περιορισμοῦ τοῦ
 ἀγροῦ τοῦ Μαγουλᾶ, καὶ ἐπιδέ-
 δωκά σοι, διὰ τὸ πᾶν μικρὸν
 εἶναι· ἔχεινον τὸν ἐξωνηθέντα τό-
 πον· ἔστι δὲ ὁ περιορισμὸς τοῦ
 τε ἐξωνηθέντος τοπίου καὶ τοῦ
 προστεθέντος ἐκ τῆς διακρίσεως
 τοῦ Μαγουλᾶ, καὶ ὡς διαχωρίζει

რათა უფრო მეტად არ გაიჭი-
 მოს მდგომარეობა ანომალიამდე,
 მიიღოთ ჩვენ ლავრის სიახლოვეს;
 რამეთუ, თუ შერწყმა შერწყმის
 ზემოთ იქნება, უვარგისად ჩა-
 ითვლება. და გქონდეს შენ ეს
 ადგილი მფლობელობაში, თუ იქ
 რამეს გააუმჯობესებ, შენი სი-
 ცოცხლის მთელი დღეების გან-
 მავლობაში; და კვლავ შენი გარ-
 დაცვალბის შემდეგ გადაეცეს
 შენს მოწაფეებსა და მონაც-
 ვალებს და რომელთაც შენ
 ისურვებ მიეზღოს საუკუნოდ;
 ხოლო შენ არ გქონდეს უფლება
 არც იმათ, ვინც შენ შემდეგ
 იქნებიან, ეს ადგილი მიჰყიდონ
 ვინმე უცხოელებს და სხვა პი-
 რებს, ან სხვა მონასტრის გადა-
 სცენ საუფლოდ. მაგრამ თუ მო-
 ინდომებთ ამის გაკეთებას, ჰქონ-
 დეს ჩვენს ლავრას პატივდება
 და მიიღეთ ეს ადგილი და ის
 გაუმჯობესებანი, რომლებიც მას-
 ში არის; ამრიგად მონაცვლეო-
 ბით გადაეცით ერთმანეთს, რომ-
 გორც თვითონ განსაზღვრო.

მონაზონ დამიანესაგან შესყი-
 დულ ადგილთან ერთად, მოვი-
 პოვე სხვა მცირე ადგილიც, რომ-
 ელიც იმყოფება მაგულას მამუ-
 ლის საზღვარზე და გადმოგეცი
 შენ, რადგან ძალიან პატარაა ის
 შესყიდული ადგილი. როგორც
 ის შესყიდული ადგილი, ისე
 დამატებული ადგილი მაგულას
 წრიდან იყო შემოსაზღვრული,
 როგორც ამას განყოფის რუ, რომ-

τὸ ρύακιον τὸ διακείμενον μεταξὺ τοῦ τοπίου ἐκείνου καὶ τοῦ μοναχοῦ Εὐστρατίου· ἀνέρχεται εἰς τὸν παλαιὸν ἀγρὸν τοῦ Μαγουλά, ἕως τοῦ συνόρου τοῦ διαχωρίζοντος τὸν ἡμέτερον τόπον ἐκ τοῦ Κραββάτου· ἀκχεῖται ἐκνεύει δεξιὰ, καὶ κατέρχεται τὴν ῥάχιν τὴν οὖσαν ἐπάνω τοῦ κελλίου τοῦ μοναχοῦ κῆρ Στεφάνου, ἕως τοῦ ποταμοῦ τοῦ κατερχομένου σύνεγγυς τοῦ κελλίου τοῦ μοναχοῦ κῆρ Στεφάνου, καὶ κατέρχεται τὸν ποταμὸν¹ ἕως τοῦ μύλου τοῦ Μαγουλά, ὃν ἐπιδέδωκα εἰς τὸν περιορισμὸν τοῦ κελλίου σου, καὶ ἕως τῆς μίξεως τοῦ ποταμοῦ τοῦ κατερχομένου εἰς τοῦ μοναχοῦ Εὐστρατίου· ἐτι δὲ ἔχειν σε καὶ εἰς τὸν περιορισμὸν τοῦ κάτω ἀγροῦ τοῦ Μαγουλά, ἀπὸ τὴν ἑδὸν τὴν κατερχομένην εἰς τὸ ὄρος πρὸς τὸν Μυλοπόταμον τὰ χύνοντα πρὸς τὸ ἐκείθεν μέρος πρὸς τὸν μύλον κατωφερῆ κρημνάσια, εἰς καταβολὴν μικρῶν σπερμάτων· ἔχειν δὲ σε καὶ εἰς τὸν Αἰγιαλόν, εἰς τὴν ἐνορίαν τοῦ ἀγροῦ τοῦ Μαγουλά, ἐκείθεν τοῦ ποταμοῦ τοῦ Σκλαβοῦάγγελου, τόπον τοῦ ποιῆσαι οἴκημα εἰς καρaboστάσιον καὶ ἀποθήκην· καὶ τὸ πλάγιον ἐνθα ἦν τὸ κελλίον τοῦ μοναχοῦ Ἀγάθωνος πλησίον τοῦ συνόρου τοῦ Μυλοποτάμου κατέχειν σε, τὸ δὲ

მელიც მდებარეობს იმ ადგილსა და მონაზონ ეესტრატის ადგილს შუა; ის აღწევს მაგულას ძველ მამულამდე, ვიდრე საზღვრამდე, რომელიც ჰყოფს ჩვენს ადგილს კრავატისაგან. ჩამოდის იმ მთიდან, რომელიც არის მონაზონ უფალ სტეფანეს სენაკის ზემოთ, ვიდრე იმ მდინარემდე, რომელიც ჩამოდის მონაზონ უფალ სტეფანეს სენაკის გვერდით, და ჩადის მდინარეში ვიდრე მაგულას წისქვილამდე, რომელიც (დამატებით) მოგვცი შენი სენაკის მოსაზღვრედ, და ვიდრე იმ მდინარის შერევამდე, რომელიც ჩამოდის მონაზონ ეესტრატის [სენაკის] გვერდით. გარდა ამისა შენ გექნება ქვედა სოფელ მაგულას საზღვარში, იმ გზიდან, რომელიც ჩამოდის მთაში მილოზოტამოსკენ, რომელიც იღვრება იქიდან წისქვილზე და მოაქვს კლდოვანი ნაწილები წვირილი თესვების დასანთქმელად, ხოლო შენ გაქვს ეგიალამდე, სოფელ მაგულას საზღვარზე, იქიდან სლავოთიანეს მდინარემდე, ადგილი ბინის გასაკეთებლად, ნავების დასადგომად და საწყობად. და კორდი, სადაც იყო მონაზონ აგათონის სენაკი მილოზოტამის საზღვრის მახლობლად, გქონდეს შენ, ხოლო მონაზონ სტეფანეს სენაკი იყოს მის მფლობელობაში მისი სიცოცხლის მთელი დღე-

¹ უნდა იყოს ეἰς τὸν ποταμόν.

κελλίον τοῦ μοναχοῦ Στεφάνου
 ἔστω ἐν τῇ αὐτοῦ ἐξουσίᾳ πάσας
 τὰς ἡμέρας τῆς ζωῆς αὐτοῦ, καὶ
 ὡς θέλει οἰκονομεῖτω περὶ αὐτοῦ·
 μετὰ δὲ τὴν αὐτοῦ τελευτῆν
 ἔχειν σε τὸ τοιοῦτον κελλίου διὰ
 τὸ πλησιάζειν σε.

Таύτην οὖν τὴν ὄρωρᾶν θέλω
 ἀμετάτρεπταν καὶ ἀναλλοίωτον
 εἶναι, μὴ ἔχοντός τινος τῶν μετ'
 ἐμὲ καθηγγησομένων ἐξουσίαν τοῦ
 ἀνατρέμειν ταύτην, σοῦ δηλονότι
 καὶ τῶν μετὰ σὲ ἐμμενόντων ἐν
 τοῖς παρ' ἐμοῦ ἔρισθίσειν. Εἰ δὲ
 τις μετ' ἐμὲ ἀνατρέψαι θελήσῃ
 τὴν παροῦσαν ὄρωρᾶν, καὶ ἐπη-
 ρειᾶν σοι ἐπαγαγεῖν ἔνεκεν τῆς
 δεσποτείας τῶν παρ' ἐμοῦ δοθέν-
 των σοι τοπίων, ἐχέτω τὴν ἀρὰν
 τῶν ἀγίων πατέρων, καὶ μὴ
 ἀκούεσθω παρὰ τῶν τιμίων γε-
 ρόντων, μήτε παρ' ἄλλου τινὸς
 ἐκκλησιαστικοῦ καὶ πολιτικοῦ κρι-
 τηρίου, ἀλλ' εἶναι βεβαίαν τὴν
 παροῦσάν μου ὄρωρᾶν, γραφείσαν
 οἰκείᾳ μου χειρὶ μὴνι Ἀπριλίῳ
 ἰγδικτ. δεκάτης ἔτους ,CFVI' ¹.

ბის მანძილზე, და, თუ სურს,
 მოუაროს მას; მისი გარდაცვა-
 ლების შემდეგ შენ გქონდეს ეს
 სენაკი, რადგან შენს მეზობლად
 არის.

ეს საჩუქარი მიხდა იყოს
 უქცეველი და უცვლელი და არა-
 ვის, ვინც ჩემ შემდეგ იქნება
 წინამძღვრად, არ ჰქონდეს უფლე-
 ბა იგი გააბათილოს, სანამ, რა-
 საკვირველია, შენ და შენი მემ-
 კვიდრენი დარჩებით ჩემგან მი-
 ჩენილ საზღვრებში. თუ ვინმემ
 ჩემს შემდეგ მოისურვა წინამდე-
 ბარე საჩუქრის გაბათილება და
 შენ მოგაყენოს ზედღაწოლა ჩემ
 მიერ შენთვის ჩუქებულ ადგი-
 ლებზე გასაბატონებლად, ჰქონ-
 დეს მას წყევლა წმიხდა მამები-
 სა, და ნუშეც ყოფილა მოსმენილი
 პატრიოსან მოხუცთაგან, ნუცა
 ვინმე სხვისაგან, საეკლესიო და
 სამოქალაქო მსჯავრისაგან, არა-
 მედ იყოს უეჭველი წინამდებარე
 ჩემი ჩუქება, დაწერილი ჩემი საკუ-
 თარი ხელით თვესა აპრილს, ინ-
 დიქტიონსა მეათესა, 6508 წელსა.

¹ ეს აქტი „ჩუქებისა“, დაწერილი 1000 (ან 1012), წელს მიეწერება ექვთიმე მთაწმინდელს, როგორც ეს სწერია ტექსტის წინ. მოთავსებულს შენიშვნაშით, წერენ გამომცემელნი: L' acte est attribué à saint Euthyme, fondateur d' Iviron, dans une notice qui précède le texte. გამომცემელნი, ალბათ, ჰგულისხმობენ შემდეგ სიტყვებს: *Εὐθύμιος... ἔτι ζῶντος τοῦ μακαρίτου καὶ ἀγίου μου πατρὸς τοῦ κυρίου Ἰωαννοῦ*. იხ. ზემოთ, ტექსტის პირველ გვერდზე.

1016 წ. შეთანხმება წინამძღვრებს შორის

შინაარსი ამ შეთანხმებისა ასეთია: წმ. ელიას მონასტრის წინამძღვარი ნიკოლოზი კისრულობს დაბინავდეს სიმეონის მონასტერში (რომელიც არის წინამძღვარი წინამორბედის ე. წ. აჯიითანუს მონასტრისა) სულიერი შვილის სახით; ერთი წლის განმავლობაში ის წარმართავს მონასტრის ყველა მიმდინარე, ყოველდღიურ საქმეებს იმ პირობით, რომ მას სრული თავისუფლება ექნება, სვიმეონს კი სულიერი გამგებლობა. ერთი წლის შემდეგ სვიმეონი ნიკოლოზს გადასცემს როგორც სულიერს ისე ყოველდღიურ უფროსობას მთლიანად და თვითონ წავა თავის სენაკში ერთი მსახურიტურთ. ასე განახორციელებს ნიკოლოზი თავის უფროსობას სვიმეონის სიცოცხლეში და გარდაცვალების შემდეგ. ნიკოლოზს უფლება ექნება თავისი მემკვიდრე დანიშნოს. იმ შემთხვევაში თუ ნიკოლოზი ან მისი მემკვიდრე ვერ უზრუნველყოფენ სვიმეონის დასვენებას, როგორც მას სურს, ისინი მას უხდიან ყოველწლიურად 30 მოდიოს ხორბალს, 50 საწყაო ღვინოს, 6 მოდიოს ბოსტნეულს და სვიმეონისა და მისი მსახურის ნაპერ ჰენძსეაჲ დაი პრაჲფაჲსია („შესანახად“) ექვს ოქროს ნომიზმას.

მოგვყავს ზოგიერთი ადგილი ამ „შეთანხმებისა“ და ხელმოწერა.

ὁ δὲ ἔμδος διὰδοχος χρεώσσης
 ἔσται κἀκείνος, ὡπερ κἀγὼ, ἀνα-
 παύσειν σε ἄς πνευματικὸν πα-
 τέρα. Εἰ δὲ πολλὰκις, ὅπερ μὴ
 γένοιτο, οὐ δυνήσῃμὲν σε ἀνα-
 παύσαι ἄς θῆλεις, εἴτε ζῆγ ἔτε
 ὁ ἔμδος διὰδοχος, τότε ἐκ συμ-
 φώνου καὶ ἀρεσκείας κατὰτίθημι
 παρῆχειν σοι ἐτησίως σῆτου μο-
 θῆνους τριάκοντα καὶ οἶνον μέτρα
 πενήκοντα καὶ ὄσπρια μισθῆνους
 ̄̄̄ καὶ ნაპერ ჰენძსეაჲ დაი პრაჲ-

ხლო ჩემი მონაცვლე ვალ-
 დებულია ისიც, როგორც მე,
 მოგასვენოთ შენ, როგორც სუ-
 ლიერი მამა. ხლო თუ ხში-
 რად — ნუშეც მომხდარა ეს — ვერ
 შევძლეთ შენ მოგასვენოთ ისე,
 როგორც გსურს, ვერც მე, ვერც
 ჩემმა მონაცვალემ, მაშინ შეთანხ-
 მების და მორიგების შესაბამი-
 სად ვდებ გაძლიოთ შენ ყოველ-
 წლიურად: ხორბალი ოცდაათი
 მოდიოსი და ღვინო ორმოცდა-

φαγίου σφῶν τε και τοῦ ἑπουρ-
γοῦ σου, χρυσίῳ νομίματα ἔξ.

Τούτων οὕτως συμφωνηθέν-
των, μὴ ἔχειν ἐξουσίαν μήτε ζῆ-
μήτε ἐσὲ χωρήσαι εἰς ἀνατροπήν
τῆς παροῦσης ἀσφαλείας· εἰ τις
δὲ ἐξ ἡμῶν τῶν ὄντων φαρασί-
ἀνατρέπειν ταῦτα και καταλύειν,
ἔχειν τὴν ἀρὰν τῶν ἀγίων πατέ-
ρων και ἔσται καταδικασμένος
ἀπὸ παντὸς κριτηρίου.

Και εἰδὲ ὁὕτως ἰσχυρὰν μὲ-
νειν τὴν παροῦσαν ἡμῶν ἀσφα-
λείαν, γραφείσαν γυνάμην ἡμῶν
και ἀρესκέια διὰ χεῖρδς Ἀντω-
νίου μοναχοῦ μαθητοῦ τοῦ κυροῦ
Ἐμθιμίου μὴνι Φεβρουαρίου ἰ-
δικτι(ῶνος) ἰδ' κατὰ παρουσίαν
τῶν παρευρεθέντων μαρτύρων·
ὄνδ και πρὸς περισσοτέρων ἀσφα-
λείαν προέταξα ἰδὲ χεῖρδς τὸν
τίμιον σταυρὸν και τὸ ἴδιον
ἰθνομα.

† Νικηφόρος ὁ πρῶτος.

† Θεοδώρητος μοναχὸς και
προεστῶς τῆς Λαύρας παρῶν
ἀπέγραψα ἰθιοχείρας.

† Ἐμθιμῖος ὁ ἐλάχιστος μονα-
χὸς και πρεσβύτερος ἀπέγραψα
ἰθιοχείρας.

† Γεώργιος μοναχὸς ὁ Ἰβηρ
ἀπέγραψα ἰθιοχείρας.

† () (+)

ათი საწყაო და ბოსტნეული ექვსი
მოდიოსი და შენი და შენი მსა-
ხურის შესანახი ექვსი ოქროს
ნომიზმა.

რადგან ასე ვართ ამაში შე-
თანხმებული, ნუ გვექნება უფლე-
ბა ნურც მე და ნურც შენ გადა-
ვუღვეთ და გადავუხვიოთ წინა-
მდებარე სიმტკიცეს; თუ რომე-
ლიმე ჩვენ ორთაგანი გავებდავთ
ამის გადახვევას და ჩაშლას,
ჰქონდეს მას წყევლა წმინდა მა-
მებისა და იყოს იგი დადანაშაუ-
ლებული ყველა მსაჯულის მიერ.

და ასე და ამრიგად ძალაში
დარჩეს წინამდებარე ჩვენი სა-
ბუთი, დაწერილი ჩვენი თხოვ-
ნით და მოწონებით უფალ ექვ-
თიმეს მოწაფის ანტონი მონაზო-
ნის ხელით თვესა თებერვალსა,
ინდიქტიონსა 14-სა, თანადასწ-
რებით აქ მყოფი მოწმეებისა,
ამიტომ უფრო მეტი სამტკიცე-
სათვის დავღვევი საკუთარი ხე-
ლით პატრივოსანი ჯვარი და სა-
კუთარი სახელი.

პროტოსი ნიკიფორე.

თეოდორიტე მონაზონი და
ლავრის თავმჯდომარე, დავესწა-
რი და ხელი მოვაწერე საკუთარი
ხელით.

ექვთიმემ, უმცირესმა მონა-
ზონმა და ხუცესმა, საკუთარი ხე-
ლით მოვაწერე.

მონაზონმა გიორგი იბერმა
საკუთარი ხელით მოვაწერე.

Ⲡⲓ ⲉⲗⲥ ⲃⲓ' ⲓⲃⲏⲣⲓⲁⲛⲥ (ერთად)-ერთი ვაწერ იბე-
 Ⴀⲣⲁⲙⲡⲁⲧⲁⲥ. რიული ასოებით;

(სულ ბოლოს)

† Συμῆν μοναχὸς κατὰ πάν- მონაზონმა სვიმეონმა ყველა-
 τα ἀρεσθεὶς ἔδωκά σοι τὸν χάρ- ფერით კმაყოფილმა მოგეცი შენ-
 τῆν τὸν [τῆς συμφωνίας] καὶ τὸ ხარტა [შეთანხმებისა] და მონას-
 μοναστήριον (καὶ) οὐκ εἶχε χεῖρὶ ტერი, და საკუთარი ხელით მო-
 ἑπεγραψα. ვაწერე.

შენი შენიები:

1. მესამე ადგილას რომ აწერს ხელს **Ἰβῆμῆς**, ეს არის ექვთიმე მთაწმინდელი, რომელიც მონაწილე თუ დამსწრე უოფილა იმ შეთანხმებისა, რომელიც მოხდა ნიკოლოზსა და სვიმეონს შორის. Rouillard-Collomp-ის გამოცემასთან დართულ საძიებელში, მართალია, კითხვის ქვეშ, მაგრამ მაინც სწერია, რომ ეს არის **Ἰβῆμῆς** l' Ibère (იხ. გვ. 197).

2. თვით ტექსტი ამ „შეთანხმებისა“ დაწერილია ექვთიმეს მოწაფის ანტონი მონაზონის ხელით.

3. ამ შეთანხმებას დასწრებია ივერთა მონასტრის მონაზონი გიორგი, რომელიც ხელს „აწერს ქართული ასოებით“ (ⲉⲗⲥ ⲃⲓ' ⲓⲃⲏⲣⲓⲁⲛⲥ Ⴀⲣⲁⲙⲡⲁⲧⲁⲥ).

1017 წ. ნიკიფორე პროტოსის და რამდენიმე წინამძღვრის დადგენილება

სამიჯნო დავა ატყდა შესახებ ლავრის ე. წ. „კრავატის“ მამულისა, მონაზონ ევსტათი მაგულელისა და გაბრიელ პტერელის მამულებისა.

ნიკიფორე პროტოსი, სხვადასხვა მონასტრების წინამძღვართა მონაწილეობით, დაადგენს მიწის საზღვრებს და აღიარებს ჭინახულის აღების უფლებას ლავრის და უფალ გაბრიელის მამულებზე კოზმა ტორნარის სასარგებლოდ.

ნიკიფორეს მიერ მოწვეულ პირებს შორის არიან ექვთიმე მთაწინდელი და გიორგი მონაზონი ქართველი.

Κατὰ τὸν Μάχιον μῆγχα τῆς
α' ἰνδοκτιῶνος ἀμφισπῆτῆσεως τι-
νος γενομένης μεταξὺ τοῦ Κραβ-
βάτου τῆς Λαύρας καὶ τοῦ μονα-
χοῦ Εὐστρατίου τοῦ Μαγουλᾶ
καὶ τοῦ κῆρ Γαβριήλ τῆς Πτέ-
ρης, ἀπῆλθομεν ἐπιτοπίως Νικη-
φόρος μοναχὸς ὁ πρῶτος, Ἰωάν-
νης μοναχὸς ὁ Ἀμκλφτινός,
Ἐὐθύμιος καὶ Γεώργιος
μοναχοὶ οἱ Ἰβηρες, Νικη-
φόρος μοναχὸς ὁ Στραβονιήτας,
Γρηγόριος μοναχὸς τοῦ Καλλινί-
κου, Κοσμᾶς μοναχὸς ὁ Τορνά-
ρης, Μιχαήλ μοναχὸς τοῦ Ῥαβδα,
καὶ οἱ λοιποὶ ἐνρεμίντες ἡγούμε-
νοι, καὶ ἰδόντες τὸν ἐπιφιλνοει-
κούμενον τόπον διεχωρίσαμεν ἀ-
τὸν δικαίῳ λόγῳ, καὶ ἀπεδώκα-

მაისის თვეში პირველი ინ-
დიქტიონისა რალაც დავა ატყდა
ლავრის კრავატსა და მონაზონ
ევსტათი მაგულელსა და უფალ
გაბრიელ პტერელს შორის; ამი-
ტომ ჩავედით ადგილობრივ ნი-
კიფორე მონაზონი, პროტოსი,
მონაზონი იოანე ამაღლიტელი,
ექვთიმე და გიორგი იბერიელები,
მონაზონები, ნიკიფორე ბერი
სტრავონიკეტა, მონაზონი გრი-
გოლ კალინიკელი, მონაზონი
კოზმა ტორნარი, მონაზონი მი-
ხეილ რაბდელი და დანარჩენი
იქ მყოფი წინამძღვრები, ვინი-
ლეთ საღაგრო ადგილი და დავყა-
ვით იგი სამართლიანი სიტყვით,
და მივეცით ლავრის ნაწილი,
როგორც იმთავითვე იყო, და

μεν τὸ μέρος τῆς Λαύρας, κα-
θὼς ἔκπαλαι τῶν χρόνων, ἐπε-
δόθη αὐτοῖς τὰ λεγόμενα Καμίνια.

Ἄπο δὲ τοῦ ἄλλου μέρους
τῶν Ἰβήρων διαχωρίζει οὕτως·
ἄρχεται ἀπὸ τῆς θαλάσσης καὶ
τοῦ ῥύακος τοῦ Ἀτζιῶάννου καὶ
ἀνέρχεται δυτικά, κρατῶν τὸν
αὐτὸν ῥύακα μικρόν, εἶτα κλίνει
μέσση δύσεως καὶ ἀνατολῆς πρὸς
μεσημβρίαν καὶ ἀνέρχεται εἰς τὴν
βραχώνην*, περικόπτει ταύτην καὶ
κατέρχεται κατ' ἐπιείκην εἰς τὸν
ῥύακα.

Εἰ δὲ ἐνρεθεῖη τις ἐξ αὐτῶν
περικόπτειν τοὺς τοιοῦτους ὄρους,
ἔχέτω τὴν ὀργὴν τοῦ παναγαθοῦ
Θεοῦ, καὶ τὸ ἀνάθεμα καὶ τὴν
ἀρὰν τῆς ὑπεραγίας Θεοτόκου,
καὶ τῶν τῆ' ἁγίων πατέρων: Εἰμ'·
οὕτως ἀποπειπέσθω ἀπὸ παντὸς
δικαστηρίου, τοῦ τε ἐκκλησιαστι-
κοῦ καὶ τοῦ πολιτικοῦ καὶ ζῆμι-
οῦσθω ἢ πέθπυρα ἕ', τὰ δὲ
παρ' ἡμῶν ἐρρωσθαι κατὰ πάντα.

Διὰ τοῦτο ἐγγράφει τὸ παρὸν
ἔγγραφον καὶ ἐνυπόγραφον εἰς
ἀσφάλειαν καὶ ἐπεδόθη τῷ μέρει
τῆς Λαύρας ἐν ἔτει 'σφκς' (6525).

ამას მოსდევს ხელმოწერა

† Νικηφόρος μοναχος ὁ πρῶ-
τος.

მათ მივეციით ეგრეთწოდებულთ
კამინია.

ივერთა მეორე ნაწილიდან
გამოჰყოფს ამნაირად: იწყება
ზღვიდან და აჯიოთანუს რუდან,
ადის დასავლეთით, მოიციებს იმ
პატარა რუს, შემდეგ იხრება და-
სავლეთსა და აღმოსავლეთს შუა-
სამხრეთისაკენ და ადის ქედზე(?)
გადაკვეთს მას და ჩადის პირ-
